619
1964

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 10 ოქტომბერი 1964



ეროვნული ბიბლიოთეკა

სართულები ცისკენ მიიწევენ.

ფოტო თ. არჩვაძისა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 10 (159) ოქტომბერი, 1964 წ.

გამოცემის XIV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი



ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობა

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

მიმდინარე წლის 14 ოქტომბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დააკმაყოფილა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის თხოვნა, რომ გაათავისუფლონ იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ხანდაზმულობისა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევი.**

9397

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ა. ი. მიქოიანის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის საკითხი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა ამხ. ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის თხოვნა, რომ გაათავისუფლონ იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ხანდაზმულობისა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. ალექსი ნიკოლოზის ძე **კოსიგინი** და გაათავისუფლა იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის განთავისუფლების შესახებ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ა. ნ. კოსიგინის დანიშვნის შესახებ ერთხმად მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა გულთბილად მიულოცეს ამხ. ა. ნ. კოსიგინს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნა.

ამხ. ა. ნ. კოსიგინმა გულითადი მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ნდობისათვის და აღუთქვა, რომ მთელ ძალ-ღონეს მოახმარს იმას, რომ შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა.

# ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ა. ნ. კოსიგინის დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ამხ. ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და განთავისუფლდეს იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 ოქტომბერი.

# ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის განთავისუფლების შესახებ

დაკმაყოფილდეს ამხ. ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის თხოვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ ხანდაზმულობისა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 ოქტომბერი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



ვლადიმერ მიხეილის-ძე
კომაროვი



კონსტანტინე პეტრეს-ძე
ფეოქტისტოვი



ბორის ბორისის-ძე
ეგოროვი

# სამშობლოს სადიდებლად

მთელი მსოფლიო აღაფრთოვანა საბჭოთა ადამიანების ახალმა ბრწყინვალე გამარჯვებამ. სამი კოსმონავტი ერთ კაბინაში — მსოფლიოში პირველი ეკიპაჟი პირველი მრავალადგილიანი კოსმოსური ხომალდის „აისისა"! საბჭოთა კავშირის მოქალაქეები — მფრინავი-კოსმონავტი ვლადიმერ კომაროვი, მეცნიერი მუშაკი კონსტანტინე ფეოქტისტოვი და ექიმი ბორის ეგოროვი, რომლებიც მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს აიჭრნენ კოსმოსურ უსაზღვროებაში, მთელი დღე-ღამის განმავლობაში აწარმოებდნენ სამეცნიერო დაკვირვებებს მიწისახლო კოსმოსურ სივრცეში. თექვსმეტჯერ შემოუფრინეს მათ ირგვლივ დედამიწას, გაიარეს 700 ათასი კილომეტრი კოსმოსური გზისა და, ბრწყინვალედ დაამთავრეს რა თავიანთი ისტორიული მოგზაურობა, მშვიდობიანად დაეშვნენ დედამიწაზე.

„აისის" ეკიპაჟის ტრიუმფალურმა გამარჯვებამ ერთხელ კიდევ დაანახა მსოფლიოს, რომ შესანიშნავ საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, ჩვენს სახელოვან მუშათა კლასს წარმატებით შეუძლიათ დაძლიონ კოსმოსის საიდუმლოებათა დაუფლების ყველა სიძნელე. ამ გმირულ ნაბიჯში მთელი სიდიადით ჩანს სოციალისტური წყობილების უდიდესი უპირატესობა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით, აქ კიდევ ერთხელ ჩანს ჩვენი ხალხის შემოქმედებითი გენია, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების ძლევამოსილება.

„ახალი დიადი გამარჯვება კოსმოსის დაპყრობაში, — ნათქვამია პარტიისა და მთავრობის მიმართვაში, — კიდევ უფრო ამაღლებს ჩვენი სამშობლოს დიდებას. იგი ნათლად უჩვენებს მთელ მსოფლიოს, თუ რა უმაგალითო გმირობის განხორციელება შეუძლია კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ საბჭოთა ხალხს, თუ რა გიგანტური ძალები და ტალანტები წარმოშვა ხალხში რევოლუციურმა ენერგიამ".

დიახ, გამარჯვებები, რომლებსაც საბჭოთა ხალხი აღწევს, მართლაც რომ გასაოცარია თავიანთი ბუმბერაზული მასშტაბებით. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის ორმოცდაშვიდი წლისთავის აღნიშვნისათვის ემზადება მთელი პროგრესული კაცობრიობა, საფუძველი ჩაუყარა ახალ სოციალისტურ სახელმწიფოს, რომლის ეკონომიური და სულიერი სიძლიერის ზრდა ამჟამად ასე აოცებს მთელს მსოფლიოს.

საბჭოთა ადამიანები აღფრთოვანებულნი არიან თანამგზავრ ხომალდის „აისის" უმაგალითო ფრენით და მისი ეკიპაჟის გმირობას უპასუხებენ ახალი მიღწევებით კომუნისტური მშენებლობის ყოველ უბანზე.

დიდება სახელოვან საბჭოთა კოსმონავტებს!

უკრაინული ლიტერატურის დღეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქსიმ რილსკი

## მტრედები მოსკოვის ცაზე

როცა გაქრება ღამის უკუნი
და ზეცას იის ფერი დალაქავს,
დიდი ხმაურით, ზათქით, გუგუნით,
იღვიძებს მთელი მოსკოვ-ქალაქი.

მეტროს გრიალით, საყვირთა ხმებით
გათენებულა ახალი დილა,
და ხედავ: გუშინ ძლივს რომ ამჩნევდი
ის სახლი უკვე ცამდე აწვდილა!

თვალისმომჭრელი ფერით ბრწყინავენ
ფართო ქუჩები და მოედნები,
მოსკოვის ცაზე ლაღად ფრინავენ
ფრთებდაუღლელი თეთრი მტრედები.

საგაზაფხულო მოწმენდილ ცაზე,
მოჩანან როგორც თეთრი ფთილები,
სჭყრეტენ ბავშვები ხალისით სავსე,
მტრედების ფრთხიალს კმაყოფილებით.

უცებ ხმაური შეესმათ მტრედებს
ჩიტებმა რაღაც უცხო ხმა იგრძნეს,
მათ გაოცებით ზეცას შეხედეს
ჰაეროპლანი ჰკვეთავდა სივრცეს.

მოუნდათ მძლავრად მოქნევა ფრთისა,
გამოედევნენ უკან ჩრდილივით,
მაგრამ ვერ შესძლეს დაწევა მისი
და ჩამოეშვნენ დაბლა ლივლივით.

ანდრეი მალიშკო

## მარად დიდება

დიდება ხალხის ნამოღვაწარს, მთებს, ველებს,
ანძებს,
დიდება დიად საქმედ ქცეულ ილიჩის ანდერძს,
დიდება დღეის დღეს ბედნიერს,
ჩვენს შნოს და იერს,
ბრძენი ლენინის ნაოცნებარს, ნაფიქრს და ნაწერს.

დიდება მიწას დამშვენებულს ბაღჩა-ბაღებით,
ქალაქებს, ბრძენის ანდერძით რომ გვაქვს ანაგები,
დიდება შრომით მოყვანილ ყანებს —
ჩვენს სათაყვანებს;
მისი ხალისით მუდამ რომ ვართ განალაღები.

მარად დიდება მტერთან ომში დაცემულ გმირებს,
თავისუფლების საქმისათვის თავი გასწირეს,
მარად დიდება ლენინის დროშას
შუქურად რომ ჩანს,
ვაჟკაცობისკენ რომ ეძახის ამაყ არწივებს.

ჩვენი კავშირი შეჰქმნა დიდი ლენინის ნებამ,
სახელი მისი კაშკაშებს და მარად ბრწყინდება,
მარად დიდება ჩვენს სიხარულს,
ძმობას, სიყვარულს,
დიდება მარად ჩვენს ქვეყანას, მარად დიდება.

ვიცხოვროთ ისე ვით ცხოვრობდა ლენინი დიდი,
შრომა და ძმობა სიყვარულის გზაა და ხიდი,
ჩვენს საქმეშია გამოვლენილი
ანდერძი ბრძენი მამა ლენინის —
კაცობრიობა დღეს ლენინის მართალ გზით მიდის.

თარგმანი ნოდარ გურეშიძისა





ფოტო ო. თურქიასი და

ე. პესოვისა

შემოდგომა — ხვავისა და დოვლათის დროა, რთველის დროა. მეჩაიეებმაც ახლა დააყენეს თავიანთი ხვავები — მათ კვლავ ბრწყინვალე გამარჯვებით დაამთავრეს ჩაის კრეფის სეზონი და პატაკით წარუდგნენ სამშობლოს — ჩვენი ვალი პირნათლად მოვიხადეთ.

ხვალ ეს ჩაი, ფაქიზად და სათუთად შეფუთული გამოჩნდება ჩვენი უზარმაზარი სამშობლოს ყველა ქალაქისა და სოფლის მაღაზიების თაროებზე — და ყველგან — მოსკოვი იქნება ეს თუ კიევი, სტანიცა თუ აული, მყიდველები დაინახავენ ნაცნობ იარლიყს — „ქართული ჩაი" და კიდევ ერთხელ მადლობას შემოგითვლიან თქვენ, ჩვენო სახელოვანო მეჩაიეებო: მათ კარგად იციან, რომ ქართული ჩაი — საუკეთესოა მსოფლიოში!

ჩაის კრეფის ცხარე დღეები იყო, როცა ჩვენი ფოტოკორესპონდენტები — ოთარ თურქია და ედუარდ პესოვი მეჩაიეებს ესტუმრნენ. დილით ჩავიდნენ ისინი ნატანების კოლმეურნეობაში და აბა, რაც დაინახეს, უყველაფერი გადაიღეს.

ირიჟრაჟა. ორიოდე წუთიც და შემოდგომის ნამით დაცვარული პლანტაციისაკენ გუგუნით დაიძვრებიან მკრეფავებით სავსე ავტომანქანები.

# საუკეთესოა მთელ მსოფლიოში




ახლა შესვენების დროა. სუფრა იქვე ახლოს, პლანტაციის გვერდითაა გაშლილი.





მწვანე ზღვა, ჩალის ქუდები და გამრჯე, დაუღლელი ხელები... ასე ემატება ტონა ტონას და იზრდება საქვეყნო დოვლათი.

# პოეტის უკვდავება

მ. ი. ლერმონტოვის დაბადების 150 წლისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მ. ლერმონტოვი საქართველოში.
ნახატი ტ. ბ ა რ დ ა ძ ი ს ა

ლერმონტოვის წიგნს რომ გადაშლით და ლექსებს შორის ჩართულ პოეტის ფერწერული სურათების რეპროდუქციებს დააკვირდებით, თქვენი ყურადღება არ შეიძლება არ მიიპყროს ერთმა პეიზაჟმა, რომელზეც გამოხატულია მაღალი კლდე და ციხე-კოშკი იმ კლდის ნაპრალზე, დაბლა, დაბურული ტყის პირას გზა მიემართება, გზაზე მხედარს ცხენი შეუჩერებია და რაღაცას ეკითხება ქვეითად მომავალ კაცს; ეტყობა, ის კაცი მწყემსია — ხელთ კომბალი უჭირავს. მხედარს ორი აქლემი მოსდევს, ერთს მეაქლემე წინ მოუძღვის, მეორე კი — აქლემზე ზის... შორს ჩანს ფართოდ გადაშლილი ალაზნის ველი და იმას იქით, ნაზ სილურჯეში კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები ამართულან.

ეს ქართული პეიზაჟია, რომელიც ლერმონტოვს კახეთში დაუხატავს, ხორნაბუჯის ტყეში; დიახ, ახლაც ასე დგას ეს კლდე, ახლაც ასე დგანან ეს ხეები, ასე გადაშლილია ალაზნის ველი, და იმ ქიზიყელი მწყემსის შთამომავალთაც იმავე ბილიკებით დაჰყავთ პირუტყვი საძოვარზე.

უმიზეზოდ ქვეყანაზე არაფერი არ ხდება, მით უმეტეს, შემოქმედის შთაგონებასაც მუდამ რაღაც აღძრავს და გაალვიძებს ხოლმე. მართლაც, მეტად ლამაზი და სულის შემძვრელი უნდა იყოს ადგილი — მთა თუ მინდორი, რომ მან ასე დაატყვევოს პოეტის თვალი, ფრთა შეასხას მის ოცნებას, ხელთ ფუნჯი თუ კალამი აალებინოს.

ასე დაემართა ლერმონტოვსაც. ამას პოეტი თვითონაც აღიარებდა. სვიატოსლავ რაევსკისადმი მიწერილ წერილში იგი ამბობს: „არასოდეს ვყოფილვარ ასე ჯანსაღი, ეს იმიტომ, რომ სამაგალითო ცხოვრებას ვეწევი... კარგი ახალგაზრდა აქ ბევრია, მეტადრე თბილისში არიან ძალიან რიგიანი ადამიანები... როგორც კი მთები გადავლახე და საქართველოში აღმოვჩნდი, ეტლზე უარი ვთქვი და ცხენით ვიწყე მოგზაურობა: ავფოფხდი თოვლიან ჯვრის მთაზე, სულ მთლად მაღლა; ეს არც ისე ადვილია. იქიდან ნახევარი საქართველო ისე ჩანს, როგორც ხელისგულზე. არ ძალმიძს აგიხსნა, ან აგიწერო ეს გასაოცარი გრძნობა... ემმაკსაც წაულია მოწყენილობა, გული ფეთქავს, მთელი მკერდით ვსუნთქავ, — არაფერი მსურს ასეთ წუთს; ასე ვიჯდებოდი და მთელ სიცოცხლეს ამ გარემოს დათვალიერებაში გავატარებდი“.

ეს განწყობილება ნათლად ჩანს ლერმონტოვის მხატვრულ ქმნილებებში. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ აალებინა ლერმონტოვს ხელში კალამი საქართველოს სილამაზემ! აქ, პირველ რიგში, უნდა გავიხსენოთ მისი შესანიშნავი პოემა „მწირი“ რომელიც მცხეთისა და არაგვის მიდამოების აღწერით იწყება. ეს ნაწარმოები სუნთქავს ქართული ჰაერით, აქ ჩვენი ძველი ლეგენდების ხმა ისმის.

ქართული თემა ლერმონტოვის შემოქმედებაში მარტო ამით არ ამოიწურება. შეიძლება აქ დავასახელოთ არა ერთი ლექსი, რომლებშიც უბადლო ოსტატის ხელითაა აღბეჭდილი ქართული ბუნება და ქართველი კაცის სულიერი სამყარო — მისი თავისუფლებისმოყვარეობა, მისი მაღალი ზნეობრივი იდეალები. გაჰყვებით დარიალის ხეობას საქართველოს სამხედრო გზაზე და აქ მთებიც ლერმონტოვის ლექსებივით დგანან, ვინაიდან ისინი სამუდამოდ აღბეჭდილნი არიან პოეტის ქმნილებებში; მარტო მთები კი არა, პოეტის ლექსებში ცოცხლდებიან იმ დროის ადამიანები, ვხედავთ იმ დროის თბილისს; ვკითხულობთ პოეტის ლექსებსა და მოთხრობებს. და მასთან ერთად ვმოგზაურობთ ჩვენს სამშობლოში. ლერმონტოვი საქართველოს სტუმარი კი არ იყო, არამედ მისი განუყრელი, უახლოესი მეგობარი და მთელი მისი შემოქმედება სუნთქავს ხალხთა ძმობის წმინდა ჰაერით. ყველაფერი ეს იმაზე მიგვითითებს თუ რაოდენ ახლოა, რაოდენ განუშორებელია ჩვენგან ეს გენიალური პოეტი, რომელსაც ესოდენ ძლიერი სიყვარულით უყვარდა საქართველო.

და საქართველოსაც მუდამ ულრმესი სიყვარულით უპასუხნია პოეტისათვის. ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, 1859 წელს თარგმნის ლერმონტოვის „მწირს“; ამას გარდა, შემდგომში მან თარგმნა ლერმონტოვის „ჰაჯი-აბრეკი“, „სიზმარი“, „წინასწარმეტყველი“, „ციცაბო კლდე“. ვაჟა-ფშაველამ მთლიანად თარგმნა ლერმონტოვის „დემონი“, რომელსაც ქართულად „ქაჯი“ უწოდა. ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით ყველა თარგმანს ლერმონტოვიდან, რომლებიც ჩვენს კლასიკოსებს ესოდენ დიდი სიყვარულით შეუსრულებიათ; ავღნიშნავთ მხოლოდ, რომ ლერმონტოვის ნაწარმოებთა თარგმნამ ჩვენს დროში მეტად ფართო გაქანება ჰპოვა. საუკეთესო ქართველმა საბჭოთა პოეტებმა ენერგია არ დაიშურეს, რათა დიდი რუსი პოეტის ქმნილებანი მთელი ხმით აჟღერებულიყო ქართულ ენაზე.

* * *

ლიტერატურის ისტორიის ყველა სახელმძღვანელოში წაიკითხავთ, რომ რუსული სიტყვის დიდმა გენიოსმა მიხეილ ლერმონტოვმა მარტო ოცდაშვიდი წელი იცოცხლა ამ ქვეყნად. ასოცზე მეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პიატიგორსკში, მაშუკის მთის ძირას, მუხთალმა ტყვიამ გამოასალმა ის სიცოცხლეს, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ჭაბუკი გენიოსი მუდამ ცოცხალი იყო, მუდამ ზარივით ისმოდა მისი ხმა, კვლავ რაზმავდა ადამიანებს, აწრთობდა მათ სულს, ვაჟკაცური და სასახელო საქმეებისაკენ მოუწოდებდა.

ლერმონტოვის მთელი ხანმოკლე სიცოცხლე — გაუთავებელი ბრძოლა იყო. 1830 წელს, სტუდენტობის დროს, იგი წერს პოემას „თავისუფლების უკანასკნელი შვილი“, რომელშიაც ნათლად ისმის გამოძახილი დეკაბრისტთა რევოლუციური იდეებისა. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი მისი შემოქმედებისათვის. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას მე-19 საუკუნის დასაწყისში სათავეში სწორედ დეკაბრისტები ედგნენ, „მათს საქმეს ამაოდ არ ჩაუვლია, დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი. გერცენმა გააჩაღა რევოლუციური აგიტაცია“. ლერმონტოვი გერცენთან და ბელინსკისთან ერთად სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში და გასაგებია, რომ ისინი ერთნაირად იყვნენ გამსჭვალული თავისუფლების იდეებით. დეკაბრისტებმა გზა უჩვენეს მთელ თაობებს და მათ შორის ლერმონტოვსაც; და აი, პოეტი სიჭაბუკის წლებშივე იწყებს შეურიგებელ ბრძოლას ბატონყმური წყობილებისა და საერთოდ იმ დესპოტიზმისა და უსამართლობის წინააღმდეგ, რომელიც დამკვიდრებული იყო მთელ იმპერიაში. ჩვენი სამშობლოს ხალხთა პოეზია — სიმართლისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა იყო მუდამ და ლერმონტოვი ამ სახალხო ბრძოლის მედროშეთა და ბაირახტართა შორის იდგა. ამ ბრძოლის სულისკვეთებითაა აღსავსე პოეტის პირველივე ლექსები — „წინასწარმეტყველება“, „კავკასიას“, „ნოვგოროდი“.

უნივერსიტეტის შემდეგ ლერმონტოვი იუნკერთა სკოლაში შედის, სადაც გვარდიის ოფიცრებს ამზადებდნენ; 1884 წელს, ოცი წლის ჭაბუკი ამთავრებს სამხედრო სასწავლებელს და სამსახურს იწყებს ჰუსართა პოლკში, რომელიც პეტერბურგის მახლობლად, ცარსკოე სელოში იყო დაბანაკებული. სწორედ ამ პოლკში ყოფნის დროს შეიტყო ლერმონტოვმა თავზარდამცემი ამბავი პუშკინის სიკვდილზე. გერცენი წერდა: „რევოლვერის გასროლამ, რომელმაც მოკლა პუშკინი, საბრძოლველად აამხედრა ლერმონტოვი“; და მართლაც, მისი ლექსი „პოეტის სიკვდილი“ მთელ რუსეთს მოედო. თანამედროვეთა მოწმობით, მანამდე არავის არ ახსოვდა, რომ ლექსს ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინოს. სწორედ ეს ლექსი გახდა მიზეზი ლერმონტოვის საქართველოში გადმოსახლებისა.

მომდევნო წლებში პოეტი განაგრძობს დაუცხრომელ შემოქმედებითს მუშაობას. წერს თავის პოემას „დემონს“, „სიმღერას ვაჭარ კალაშნიკოვზე“, რომანს „ჩვენი დროის გმირს;“ შესანიშნავ ლირიკულ ლექსებს. ამ ლექსებში გამოისახა რუსი ხალხის სულიერი სამყარო, მისი მისწრაფებანი. მალე ლერმონტოვი კვლავ ბრუნდება პეტერბურგში; თვითმპყრობელური რეჟიმის მოხელენი თვალს ადევნებენ მის ყოველ ნაბიჯს; სულ მალე მას ისევ კავკასიაში, პიატიგორსკში ვხედავთ, სადაც 1841 წლის 15 ივლისს შედგა მისი საბედისწერო დუელი მარტინოვთან. თვითმპყრობელობამ მარტინოვის ხელით მხეცურად გაუსწორა ანგარიში დიდ პოეტს.

ლერმონტოვი ეკუთვნის იმ დიდ ადამიანთა რიცხვს, ვინც კაცობრიობის სულიერ მასწავლებლებად ითვლებიან. მის სტრიქონებში ანთია ის ჩაუქრობელი ცეცხლი, რომელიც გზას უნათებს ადამიანებს, წინ ეძახის, ამხნევებს და სიძნელეთა გადალახვას უადვილებს.

გ. ნატროშვილი

# ბონის ნიღაბი და ბუნდესვერის დივიზიები

## ზეებომი საომრად ემზადება

ფედერალური კანცლერის კონრად ადენაუერის გადადგომის შემდეგ დასავლეთის პრესაში ფართო დისკუსია გაჩაღდა იმის შესახებ, თუ რა პოლიტიკურ გზას დაადგებოდა მისი მემკვიდრე. მაგრამ დისკუსიის მონაწილეებს ავიწყდებოდათ, რომ დასავლეთ გერმანიაში პოლიტიკის ნამდვილი შემქმნელნი და წარმმართველნი სწორედ ის ვაჟბატონები არიან, რომლებმაც თავის დროზე გზა გაუხსნეს ადოლფ ჰიტლერს, ხოლო შემდეგ „ახალი დროის მესიად“ გამოაცხადეს კონრად ადენაუერი; თუნდაც ამით უნდა მიხვედრილიყვნენ ისინი, რომ პიროვნების შეცვლა სრულიადაც არ გამოიწვევს ძველი რევანშისტული საგარეო კურსის შეცვლას. მართლაც, ახალმა კანცლერმა ლუდვიგ ერჰარდმა გასული წლის აპრილში ასე განუცხადა ადენაუერს: „თქვენი დახმარებით და ღვთის შემწეობით მე შევეცდები გავამდიდრო კონრად ადენაუერის მემკვიდრეობა“.

მართალია, დრო გამოიცვალა, ევროპაში სულ სხვა ნიავმა დაჰბერა და ეს მემკვიდრეობაც გულმოდგინედ შენიღბეს „სამართლიანობისა“ და „ურთიერთგაგების“ ფრაზებით, მაგრამ მისი არსი მაინც უცვლელი დარჩა. ამას ადასტურებს თუნდაც ის პოლიტიკური მაქინაციები, რომელსაც ბონში საკმაოდ უგერგილოდ ეწევიან.

„გერმანელ ხალხს არა აქვს არავითარი მტრული განზრახვა რუსი ან სხვა რომელიმე ხალხის მიმართ, — აცხადებს ფედერალური კანცლერი ერჰარდი, — ჩვენ ტყუილად გვაბრალებენ რევანშიზმს“. მისი კაბინეტის წევრი, ტრანსპორტის მინისტრი ჰანს ქრისტოფ ზეებომი კი მოითხოვს „გერმანელებისაგან მიტაცებული მშობლიური სუდეტის მიწების დაბრუნებასა“ და მიუნხენის 1938 წლის ხელშეკრულების დაცვას, იმ ხელშეკრულებისა, რომელმაც თავის დროზე ხელ-ფეხი გაუხსნა ჰიტლერულ გერმანიას მეზობელ ქვეყნებზე თავდასასხმელად.

„ჩვენ არ გვაქვს არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები ჩეხოსლოვაკიისადმი, — აცხადებს ერჰარდი, — საერთოდ „ტერიტორიული პრეტენზიები“ არ არის კარგი სიტყვა. ჩვენ არავისთან არავითარი პრეტენზია არა გვაქვს“.

იგივე ზეებომი კი გაჰკივის: „ჩეხოსლოვაკიამ უნდა დაგვითმობს ის, რაც ჩვენ, გერმანელებს გვეკუთვნის“.

მაშ ასე, მინისტრები და ბუნდესტაგის დეპუტატები წარმოთქვამენ ომისგამჩაღებლურ სიტყვებს, აღვივებენ მოსახლეობის გარკვეულ ფენებში რევანშისტულ განწყობილებას. მაგრამ როცა ამ ამბავს სერიოზულ ყურადღებას აქცევენ, განსაკუთრებით საზღვარგარეთ, მთავრობის მეთაური ოფიციალურად „იბანს ხელს“ — რას მოითხოვთ ჩვენგან? ჩვენში აზრის გამოხატვის სრული თავისუფლებაა, მინისტრიც ხომ ადამიანია, მას შეუძლია ჰქონდეს პირადი აზრი და მისი გამოთქმის სრული უფლება.

მაგრამ განა საქმე ზეებომსა და მის მსგავს ვაჟბატონებშია! ბონში ეწევიან სახიფათო თამაშს და „მშვიდობისმოყვარეობის“ შესახებ ფარისევლური სიტყვების საფარით მისდევენ პოლიტიკას, რომლის ღერძსაც წარმოადგენს ტერიტორიული პრეტენზიები და ომისშემდგომი საზღვრების გადასინჯვის მოთხოვნა, უპირველეს ყოვლისა კი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შთანთქმა.

## ასე იწყებოდა მიუნხენიც

დავუშვათ ერთი წამით, რომ ჰანს ზეებომსა და მის კოლეგებს მართლაც თავისდაუნებურად წამოაბოდათ. რა მშვიდობისმოყვარულ ფრაზებს ამოაფარებს კანცლერი ერჰარდი დასავლეთ გერმანიის მთელს ეკონომიკას, რომელსაც მილიტარიზმის დაღი აზის, და იმ გაშმაგებულ შეიარაღებას, რასაც ბონის მესვეურები მისდევენ.

ამჟამად დასავლეთ გერმანია თავისი სამხედრო-ეკონომიური პოტენციალით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა კაპიტალისტურ სამყაროში. ომის შემდეგ ასეთი მძაფრი ცვლილებანი გამოიწვია დასავლეთ გერმანიის შიგნით კარტელების, სინდიკატებისა და ტრესტების ძლიერების აღდგენამ. ახლა ეს მონოპოლიური გაერთიანებები კონტროლს უწევენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელს ეკონომიკას. მათ სათავეში უდგანან იგივე მრეწველები, რომლებმაც თავის დროზე გააჩაღეს პირველი და მეორე მსოფლიო ომების ხანძარი. გერმან აბსი, ფრიდრიხ ფლიკი, მაკს ილგნერი, იოჰან ჰენრიხ ფონ შტეინი, ვილჰელმ ცანჰენი და სხვები, რომლებიც ზურგს უმაგრებდნენ და აფინანსებდნენ ჰიტლერს, დღეს კვლავ განაგებენ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას, ფლობენ მილიარდებს და კვლავ ოცნებობენ იმ „დიად წამზე“, როცა ხელმეორედ იფეთქებს ომი და სისხლიანი ოქრო მღვრიე ნაკადად დაიძრება მათი ფოლადის სეიფებისაკენ.

ამიტომაც არის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმოშობისთანავე მათ კურსი აიღეს მისი სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის აღდგენისა და გამტკიცებისაკენ. დღეისათვის დასავლეთ გერმანიამ სამრეწველო პროდუქციის მატების ტემპით ბევრად გაუსწრო ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი. მაგალითად, ჯერ კიდევ 1960 წელს, საფრანგეთთან შედარებით, იგი აწარმოებდა ორჯერ მეტ ქვანახშირს, ფოლადს, თუჯსა და ელექტროენერგიას. ოქროს მარაგი კი თითქმის ხუთჯერ მეტი ჰქონდა, ახლა ეს განსხვავება კიდევ უფრო გაიზარდა და საგრძნობი გახდა.

მრეწველობის ასეთი ინტენსიური განვითარება, რა თქმა უნდა, აიძულებს გერმანელ მონოპოლისტებს ეძებონ ამ მრეწველობის პროდუქციის გასასაღებელი ახალი ბაზრები. დასავლეთ გერმანული კაპიტალი უკვე ავიწროებს და დევნის ბაზრებიდან ევროპულსა და ამერიკულ კაპიტალს, რაც ამ ქვეყნებს შორის უთანხმოებისა და უნდობლობის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს.

გერმანული მონოპოლიები, ეყრდნობიან რა თავიანთ სამხედრო-ეკონომიურ სიძლიერეს, ისევე როგორც პირველი და მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ, აშკარად აყენებენ საკითხს იმის შესახებ, რომ კაპიტალისტურ ევროპაში მათ დათმობილი უნდა ჰქონდეთ წამყვანი ადგილი. მათი ასეთი მისწრაფება ეკონომიური ექსპანსიისაკენ წარმოადგენდა და წარმოადგენს პოლიტიკურ და სამხედრო ექსპანსიისათვის მზადებას. სწორედ ასე იწყებოდა ოდესღაც მიუნხენიც, რომლის შეთანხმებამ შემდგომში ომის ცეცხლში გახვია მსოფლიო.

ეკონომიურ სიძლიერეს ეს ვაჟბატონები განიხილავენ არა როგორც ხალხის კეთილდღეობის საფუძველს, არამედ როგორც აგრესიისა და სხვა ხალხების დაპყრობის შორს გამიზნული გეგმების განხორციელების საშუალებას. ამიტომ არის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სამხედრო წარმოების გადიდებასა და რევანშისტული სულით გამსჭვალული მასობრივი არმიის შექმნას.

## ბუნდესვერი ძალას იკრებს

სიტყვა „ბუნდესვერი“ ცხრა წლის წინათ გამოჩნდა მსოფლიო პრესის ფურცლებზე; ეს გახლდათ ფედერალური შეიარაღებული ძალები, რომლის შექმნა დასავლეთ გერმანიაში დაიწყეს პარიზის 1955 წლის 5 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე.

თუ დასავლეთის პრესის მონაცემებით ვიმსჯელებთ, 1964 წელს ბუნდესვერის რიცხვი 443 ათას კაცს აღემატება. სულ კი დასავლეთ გერმანიის თავდაცვის მინისტრის განკარგულებაში 600 ათასზე მეტი შეიარაღებული კაცი იქნება.

ბუნდესვერის სახმელეთო ძალები შედგება 7 მოტორიზებული, 3 სატანკო, 1 სამთო და 1 სადესანტო დივიზიისაგან. „ბუნდესვერ-კალენდარის“ ცნობით, თვითეული ეს დივიზია შედგება 15 ათასი კაცისა, 200 ტანკისა და 260 ჯავშანტრანსპორტიორისაგან. ყველა ეს შენაერთი აღჭურვილია თანამედროვე იარაღითა და საომარი ტექნიკით, მათ შორის, ატომური მუხტების მისატანი დანადგარებით, თუმცა ამ მუხტებს ჯერჯერობით ამერიკელები უწევენ კონტროლს.

დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები შედგება 2500 საბრძოლო თვითმფრინავისაგან, ხოლო სამხედრო-საზღვაო ფლოტი ანუ ბუნდესმარინი — 237 საბრძოლო ხომალდისა და სამხედრო-საზღვაო ავიაციის ესკადრისაგან.

დღეისათვის კაპიტალისტურ სამყაროში თითქმის არც ერთ ქვეყანას არა ჰყავს ასეთი ძლიერი შეიარაღებული ძალები. მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ ჰიტლერსაც კი არ ჰყავდა ასეთი ძლიერი არმია, ავიაცია და საზღვაო ფლოტი. სრულიად ბუნებრივია, რომ ნატოს შეიარაღებულ ძალებში ბუნდესვერს წამყვანი როლი ენიჭება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ მას სათავეში უდგანან ყოფილი ჰიტლერელი გენერლები და ოფიცრები, ნათელი გახდება, თუ სად არის სინამდვილეში „ძაღლის თავი დამარხული“.

კანცლერი ერჰარდისა და ბონის სხვა მესვეურების ვერავითარი ფრაზა ვერ დაფარავს დასავლეთ გერმანიის ჰორიზონტზე კვლავ ავისმომასწავებლად წამომართულ ძუზარადიანი ჯარისკაცის ლანდს. ბუნდესვერი იზრდება, ძალას იკრებს და სულ უფრო დაჟინებით იწვდის ხელს ატომური იარაღისაკენ. მართალია, ერჰარდი მშვიდობისა და მეგობრობის სურვილს გამოთქვამს, მაგრამ მთელს დასავლეთ გერმანიაში მაინც ძველებური საომარი ისტერიაა გამართული.

## „ჩვენ გვსურს მშვიდობა და მეგობრობა!“

ომისგამჩაღებლების „ძველ მებაირაღტრეთა“ თაობა იჩქარის გადასცეს თავისი მხრჩოლავი ჩირაღდანი ახალგაზრდა გერმანელებს, რომლებმაც არა იციან რა წარსული ომის მწარე გამოცდილებისა, წინდაწინ წამლავენ მათ სულებს ლეგენდებით „მიტაცებული უფლებების“ შესახებ. ისინი იმედოვნებენ, რომ ეს ჩირაღდანი ოდესმე უეჭველად აინთება. მაგრამ იმ გერმანელების თაობა, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია ომში, არც ისე გულუბრყვილოა როგორც ეს რევანშისტებს ჰგონიათ. ისინი ხშირად ხვდებიან ამერიკელებსაც, ინგლისელებსაც, ფრანგებსაც. ამას გარდა, მათ სურთ გაიცნონ თავიანთი აღმოსავლელი მეზობლები, სურთ დაამყარონ მათთან ნორმალური ადამიანური ურთიერთობა. მათ იციან, რომ პირველი თანამგზავრი გაშვებულ იქნა სწორედ საბჭოთა კავშირში, რომ პირველი ადამიანი, რომელმაც განახორციელა კოსმოსური გაფრენა, საბჭოთა მოქალაქე იყო. მათ სურთ გაიცნონ ეს საოცარი ქვეყანა, მისი კულტურა, მისი მეცნიერება.

აი რას წერდა დასავლეთ გერმანელი ჟურნალისტი ჰანს იურგენ მაიერი, რომელმაც ამას წინათ „მშვიდობის მატარებლით“ იმოგზაურა საბჭოთა კავშირში: „ჩვენ, ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეებს, გვსურს ვუთხრათ საბჭოთა ადამიანებს, რომ მოწადინებული ვართ ჩვენს ხალხებს შორის მშვიდობა და მეგობრობა იყოს. ორივე ომის სამწუხარო შედეგი იმას მოწმობს, რომ ყველაზე მეტად სწორედ რუსები და გერმანელები დაზარალდნენ. კეთილმეზობლური ურთიერთგაგება საბჭოთა კავშირსა და ჩვენს ქვეყანას შორის წარმოადგენს ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფის აუცილებელ წინამძღვარს“.

ასე ფიქრობს დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბევრი მოქალაქე. ისინი მტკიცე პროტესტს აცხადებენ მათი სამშობლოს რემილიტარიზაციისა და მთავრობის რევანშისტული პოლიტიკის წინააღმდეგ. ყოველწლიურად აწყობენ ამ პროტესტის გამომხატველ სააღდგომო ლაშქრობებს, რომლებშიც ათეულ ათასობით გერმანელი იღებს მონაწილეობას. მარტო წელს ლაშქრობის ორგანიზატორების მოწოდებას ხელი მოაწერა დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობის 8 ათასმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა: მათ შორის პროფკავშირული მოძრაობის 200-ზე მეტმა მოღვაწემ, ეკლესიის 1100 წარმომადგენელმა, 200 მწერალმა და პუბლიცისტმა, 100-ზე მეტმა იურისტმა და სახელმწიფო მოხელემ, 300-ზე მეტმა პედაგოგმა, 200 ექიმმა და 183 საქვეყნოდ ცნობილმა მეცნიერმა. ლაშქრობაში კი მონაწილეობა მიიღო ასეულ ათასობით ადამიანმა, რომლებიც ჰგმობენ რევანშისტებსა და ხალხთა შორის მტრობის მოსურნეებს და მთელი გულით შესტრფიან საქვეყნო მშვიდობას.

ა. კუსრაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქ ყოველდღე ქორწილია




ბარელიეფი „ნათლობა“
გ. ოჩიაურისა.



გზა გახსნილია, მობრძანდით!

ნეტავ მალე გავიდეს ეს წელიწადი?
ინსტიტუტს დავამთავრებთ და...



თბილისში, მტკვრის სანაპიროზე არის ერთი სახლი, სადაც გაუთავებლად ირევიან მაყრები, მოჰყავთ და მოჰყავთ საპატარძლოები და სასიძოები, ისმის ძველებური სიმღერა: „მოვდივართ, მოგვიხარიან“...

მეორე თვეა, რაც ეს მშვენიერი დარბაზი გაიხსნა. აქ ყოველდღე ხელს აწერს ოცი-ოცდაათი წყვილი.

ამ სახლის პირველი ნეფე-დედოფალი.





ფოტო თ. არჩვაძისა

# ჩვენი უახლოესი მეგობარი

საბჭოთა უკრაინის გამოჩენილ პოეტებს შორის პირველი ადგილი უჭირავს პავლო ტიჩინას. იგი ფართოდ არის ცნობილი არა მარტო სამშობლო ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ტიჩინას ლექსები და პოემები თარგმნილია რუსულ და სხვა მოძმე ხალხების ენებზე. პავლო ტიჩინა საბჭოთა პოეტური კულტურის ერთი ყველაზე თვალსაჩინო ოსტატთაგანია.

პ. ტიჩინამ თავის შემოქმედებაში განაგრძო უკრაინული კლასიკური ლიტერატურის ჯანსაღი დემოკრატიული ტრადიცია, რომელსაც მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს ტ. შევჩენკომ, ლესია უკრაინკამ, მ. კოციუბინსკიმ, ივანე ფრანკომ.

პირველი კრებული პ. ტიჩინას ლექსებისა „მზიური კლარნეტები“ გამოვიდა 1918 წელს, უკვე ამ ლექსებშივე გამოჩნდა პ. ტიჩინას ორგანიული სიახლოვე ხალხურ შემოქმედების ცხოველმყოფელ წყაროებთან.

რევოლუციურმა სინამდვილემ უაღრესად ცხოველი გამოხატულება ჰპოვა პ. ტიჩინას ლექსების კრებულში „უკრაინის ქარი“ (1924 წ.). მთელ რიგ ლექსებში პოეტმა ასახა საკოლმეურნეო ცხოვრების სურათები. ლექსში „მოდის ზაფხული“, პოეტმა შესანიშნავი ოსტატობით გვიჩვენა, თუ როგორ ასრულდა მშრომელი გლეხობის საუკუნოვანი ოცნება თავისუფლებაზე, როგორ ხარობს მისი გული ნაყოფიერი საკოლმეურნეო შრომით, ბედნიერი ცხოვრებით.

საბჭოთა პატრიოტიზმის სულით არის გაჟღენთილი პ. ტიჩინას ლექსთა მომდევნო კრებულებიც: „ჩერნიგოვი“ და „პარტია მიგვიძღვის“. ამ ლექსების მთავარ მოტივს წარმოადგენს ერთგულება და ღრმა სიყვარული ლენინის უძლეველი პარტიისადმი, რომელიც ხელმძღვანელობს ურყევი ძმობით დაკავშირებულ ერთა დიდ ოჯახს და წარმართავს ჩვენს ხალხს ნათელი მომავლის გზით.

1938 წელს პ. ტიჩინამ გამოსცა ლექსების წიგნი „ერთიანი ოჯახის გრძნობა“. ამ ლექსებში პოეტი მთელი ხმით უმღერის ხალხთა ძმობას, სოციალისტურ მშენებლობას, საბჭოთა არმიას.

სამამულო ომის დროს პ. ტიჩინას ლექსები მოუწოდებდნენ საბჭოთა ხალხს ფაშიზმის წინააღმდეგ დაუნდობელი და შეურიგებელი ბრძოლისაკენ, აღანთებდნენ ჩვენს საბჭოთა მებრძოლებს გმირული თავდადებისა და შეუპოვრობის გრძნობით.

პ. ტიჩინა ითვლება უკრაინული პოეტური სიტყვის ერთ-ერთ უდიდეს ოსტატად და ნოვატორად. მის ლექსებში მთელი თავისი ბრწყინვალებით თავი იჩინა უკრაინული ენის მელოდიურობამ, მუსიკალურმა მეტყველებამ, პოეტურმა ფერადოვნებამ.

პავლო ტიჩინას დიდი ღვაწლი მიუძღვის საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა კულტურული დაახლოების საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მუშაობა საქართველოს და უკრაინის ხალხთა ძმობის განსამტკიცებლად. პ. ტიჩინას ბევრი ნაწარმოების თემას შეადგენს საქართველო, მისი ცხოვრება, მისი ადამიანები. პ. ტიჩინას კალამს ეკუთვნის შესანიშნავი ლექსები „დავით გურამიშვილი“, „ქართველ პოეტებს“ და სხვ. მას სხვადასხვა დროს ნათარგმნი აქვს ქართველი კლასიკოსი პოეტების — დავით გურამიშვილის, აკაკი წერეთლის და სხვათა ნაწარმოებნი, აგრეთვე ლექსები თანამედროვე ქართველი საბჭოთა პოეტებისა.

პავლო ტიჩინამ 1937 წელს შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა მწერლების კავშირის რუსთაველის საიუბილეო პლენუმზე, თბილისში. თავის სიტყვაში მან ხაზი გაუსვა რუსთაველის უკვდავი ქმნილების უდიდეს მნიშვნელობას საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების მხატვრული კულტურის საერთო განვითარებაში, მათი კულტურული დაახლოვებისა და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცების საქმეში; მან აღნიშნა ის შესანიშნავი ფაქტიც, რომ რუსთაველის სახელი უკრაინაში შეიტანა XVIII საუკუნეში მეორე დიდმა პოეტმა — დავით გურამიშვილმა.

დავით გურამიშვილის დიდმა შემოქმედებამ, მისმა საოცარმა თავგადასავალმა თავისი გამოხატულება ჰპოვა პ. ტიჩინას პოეზიაში. ამ თემას მიუძღვნა მან თავისი „სკოვოროდა“. ხსენებული ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი უდიდესი პატივით იხსენებს „ქართველ პოეტს დავით გურამიშვილს“ და უწოდებს მას „დაჩაგრულთა მფარველს“. ამავე ნაწარმოებში გამოყვანილია აგრეთვე ქართველი ახალგაზრდა გლეხი ვახტანგი, ბედისაგან გადასროლილი უცხო მხარეში. და აი ეს ქართველი გლეხკაცი ოცნებობს იმ ბედნიერ მომავალზე, როდესაც ყველა ქვეყნის ჩაგრულნი შეერთდებიან ერთ ძმურ კავშირში და შეუდგებიან თავისუფალ, მეგობრულ, უშფოთველ ცხოვრებასა და შრომას.

**ლევან ასათიანი**

**განსვენებული მწერლის ლევან ასათიანის ეს წერილი რედაქციას გადმოსცა მწერლის მეუღლემ — თინა ასათიანმა, წერილი იბეჭდება პირველად.**



# ცხოვრებისეული სიმართლის გზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიხეილ მრევლიშვილის დაბადებიდან 60 წლისთავის გამო

როცა იყალთოს ნანგრევებიდან გაჰყურებ ალაზნის ველს და იმას იქით აღმართულ კავკასიონის მწვერვალებს, როცა ალავერდის ტაძრიდან თვალს გააყოლებ ალაზნის მდინარებას, სადღაც ჰორიზონტთან, ცისფერ ნისლში რომ იკარგება, არ შეიძლება არ გაგახსენდეს გიორგი ქუჩიშვილის სტრიქონები: „ვინც ეწვევა საქართველოს საოცნებო სერებს, სიმღერა რომ არ იცოდეს, მაინც დაიმღერებს“.

აქ, ამ წარმტაცი ბუნების წიაღში გაატარა თავისი ბავშვობა და ყრმობა ქართული სიტყვის გამოჩენილმა ოსტატმა—ბელეტრისტმა და დრამატურგმა მიხეილ მრევლიშვილმა. აქედან ის ხშირად მიჰყავდათ დედულეთში, რაჭაში, რომელიც თავისი სილამაზით ტოლს არავის დაუდებს. ამ მიდამოებში მიიღო მომავალმა მწერალმა პირველი ცხოვრებისეული შთაბეჭდილებანი, აქ იგრძნო პირველად ქართული სიტყვის ძალა და ძარღვიანობა.

ოცდაერთი წლის ჭაბუკი იყო მიხეილ მრევლიშვილი, როცა გამოქვეყნდა მისი პირველი რომანი „ინონ“ („მნათობი“, 1926 წ. № 8-9, 10-11). ამ ნაწარმოებმა თავიდანვე მიიქცია როგორც მკითხველების, ისე ლიტერატურული საზოგადოებრიობის ყურადღება. მას მაღალი შეფასება მისცა ქართული პროზის დიდმა ოსტატმა მიხ. ჯავახიშვილმა. ახლა, როცა ხელახლად გადავიკითხე „ინონი“, დავრწმუნდი, რომ მ. ჯავახიშვილის მიერ წარწერილი სიტყვები მ. მრევლიშვილისადმი ნაჩუქარ წიგნებზე: „ახალგაზრდა ნიჭიერ მწერალს, რომლის პირველი რომანი „ინონ“ ძალიან ბევრს მპირდება“, „ბევრს მპირდებით, მეც ბევრს ველოდები. იმედი უნდა გამიმართლო“, არ არის ახალგაზრდისადმი მხოლოდ წახალისებისათვის წარწერილი სიტყვები, არამედ ნამდვილად თვითმყობადი ტალანტის აღიარებაა.

მწერლის პირველივე ნაწარმოებები „ინონ“, „ობობა“, „სემიდა“, „ხავსმოდებული ნაფოტები“, რომლებიც 1926-29 წლებში გამოქვეყნდა, ნათლად ადასტურებენ, რომ მიხეილ მრევლიშვილი თავიდანვე რეალიზმის გზაზე იდგა და უშუალოდ გრძნობდა ქართული სიტყვის ძარღვიანობას, მის საამო სურნელსა და შინაგან სითბოს.

1928 წლიდან მიხ. მრევლიშვილი მოსკოვში მიდის სასწავლებლად. ხუთი წელიწადი სწავლობს და მუშაობს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. საქართველოში დაბრუნებისას მან ერთი პატარა მოთხრობა „შიში“ გამოაქვეყნა (1933 წ.) და შემდეგ ათზე მეტი წლის განმავლობაში ეძიებდა, აგროვებდა მასალებს, უფრო ღრმად სწავლობდა ცხოვრებას. 1944 წელს მან გამოაქვეყნა სამამულო ომისადმი მიძღვნილი მოთხრობა „ოქროს ზარნიშიანი ხანჯალი“ და დრამატული ნაწარმოების „ნიკოლოზ ბარათაშვილის“ წერას შეუდგა.

1947 წელს გამოქვეყნდა მიხ. მრევლიშვილის შესანიშნავი პროზაული ნაწარმოები „ხარატაანთ კერა“; ამ მოთხრობამ ავტორი ქართული პროზის პირველხარისხოვან ოსტატთა რიგებში ჩააყენა. „ხარატაანთ კერა“ გასცდა საქართველოს ფარგლებს, მისმა პერსონაჟებმა წიგნის ფურცლებიდან მალე გადაინაცვლეს ადგილი თეატრის სცენაზე.

„ხარატაანთ კერას“ გმირები ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის კეთილი ადამიანები არიან, თავდადებული მშრომელები, ქვეყნისა და ოჯახის ერთგულნი; მთელი მათი ცხოვრება გამსჭვალულია ნამდვილი საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით, მორალური კეთილშობილებით. სიუჟეტი აქ მეტად საინტერესოდ იშლება და მძაფრ ფსიქოლოგიურ სიტუაციებს წარმოგვიდგენს: „ხარატაანთ კერას“ გმირები—ახალგაზრდა კოლმეურნე ქალი ნატო, კოლმეურნეობის თავმჯდომარე აკმია ხუცურაული, სამამულო ომიდან დაბრუნებული გიორგი თუ მოხუცი ზურია ხარატელი, ნამდვილად ცოცხალი სახეებია, რომლებიც აღბეჭდილია დიდი ცხოვრებისეული სიმართლით.

ყოველივე ამის გამო „ხარატაანთ კერა“ გახდა ჩვენი ხალხის საყვარელი წიგნი. მას მოჰყვა მწერლის ახალი ნაწარმოებები: „იონა ოსტატი“, „მისი სურათის გმირი“, „მწუხრის სიმღერა“ და სხვა. ცალკე უნდა აღინიშნოს მისივე „თბილისური ნოველები“, რომელიც პოეტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს.

მიხეილ მრევლიშვილმა ასევე თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა მოწინავე ქართველ დრამატურგთა შორისაც. მისმა „ბარათაშვილმა“ დიდი ოსტატობით წარმოგვისახა გენიალური ქართველი პოეტის სულიერი ცხოვრება, მისი რევოლუციური შემართება ძველი საქართველოს ფეოდალური ცხოვრების რღვევის ფონზე; „ზვავი“ ძველი ტრადიციების გადმონაშთების აღმოფხვრის პროცესს ასახავს, ხოლო „მგზნებარე მეოცნებე“ გამოჩენილი რუსი პოეტისა და საქართველოს ერთგული მეგობრის ალექსანდრე გრიბოედოვის ტრაგიკული ცხოვრების მართალი მხატვრული მატიანეა.

წელს მიხ. მრევლიშვილს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნო მწერლის დაბადებიდან სამოცი წლის შესრულებასთან დაკავშირებით გამოგზავნილ მილოცვის წერილში აღნიშნავდა: „თქვენი მოთხრობები, რომანები ახალი ცხოვრების მშენებლობაზე, საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბებაზე, საკოლმეურნეო სოფლის გარდაქმნაზე დიდად დაეხმარნენ და ეხმარებიან ჩვენს პარტიას, მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის საქმეს“.

მიხეილ მრევლიშვილი, გარდა ლიტერატურული და დრამატურგიული მუშაობისა, თვალსაჩინო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. იგი მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობს საქართველოს მწერალთა კავშირის დრამსექციას, დიდხანს იყო საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, ამჟამად კი იგი რედაქტორობს საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრულ ჟურნალს — „ლიტერატურნაია გრუზიას“.

მიხ. მრევლიშვილი დაუცხრომელი ენერგიით და გატაცებით მუშაობს ახალ ნაწარმოებებზე, რომლებშიც, ეჭვი არ არის, ჩვეული ოსტატობით გაიელვებს მწერლის მართალი, ნათელი და ძარღვიანი სიტყვის მხატვრული ძალა.

**ანდრო თევზაძე**

# მაცხოვრებლის წინ ბიჭები იცინიან

გულნარა ბახბაძე

მოთხრობა

მხატვარი დინარა ნოდია

ავტობუსი, რომელიც ახლა ვაკე-საბურთალოს გზაზე მიდიოდა, არ იყო სამარშრუტო. მას ფეხდაფეხ მისდევდა რამდენიმე ავტობუსი, ესეც ნაქირავები გახლდათ. შიგ მიცვალებულის გამყოლი მგზავრები ისხდნენ.

ეს ორი ქალი, ერთი გამხდარი, თავიდან ფეხებამდე შავებში შემოსილი, მეორე — ჩასუქებული, რომელსაც თავზე ეხურა ჩალის ვეებერთელა ფარფლებიანი ქუდი, ავტობუსში უკანასკნელები ამოვიდნენ. ქალები თავზე დაადგნენ ახალგაზრდა კაცს. ის შოფრის ჯიხურის უკან იჯდა, ავტობუსის ძგიდეზე იდაყვი დაეყრდნო, ფეხები გაეშალა და ერთ წერტილს ჩაციებოდა.

— ერთი, შენს გაზარებას, დაგვსვი ბებრები, — თქვა შავებიანმა ქალმა. — შენ გეუბნები, შვილო, — მან მხარზე შეახო ხელი ახალგაზრდას, ოდნავ დაიხარა და სახეში ჩახედა.

— გიორგი შენა ხარ? მადლობა ღმერთს!

ახალგაზრდა შეცბა, ფიქრიდან გამოერკვა. თავი ასწია. შეხედა ქალებს და მაშინვე ფეხზე წამოიჭრა.

შავებიანმა ჯერ თავისი ამხანაგი შეუშვა, მერე თვითონ შეძვრა — შენც დაეტევი, დაჯექი, — მიიპატიჟა ახალგაზრდა. ქალები ერთმანეთს მიეშუჭკნენ.

— არა, ნუ სწუხდებით, ბრძანდებოდეთ, სულ არა ვზივარ? — თქვა უარი ახალგაზრდამ, ხელი ასწია და სახელურს მოეჭიდა.

— შორია იმ დასაქცევამდე, ფეხზე დგომით ჩამოწყდები! ელენე, იცი ვინ არის ეს? — ჰკითხა ქალმა ამხანაგს.

— ნინოს მდგმური, არა? თქვენ ძალიან უყვარდით იმ საწყალს! — თქვა სინანულით ქალმა და ნაღვლიანად გაიღიმა.

— ჰო, ამისი დიდი იმედი ჰქონდა. სად დაიკარგე, შე კაცო? მართალი გითხრა, ცოცხლებში აღარ მეგულებოდი! — უსაყვედურა ახალგაზრდას შავებიანმა.

ახალგაზრდა აწრიალდა. შეიშმუშნა. — დიახ, სამწუხაროდ, საქმე გამომიჩნდა. გადაუდებელი საქმე. მივლინებაში გამგზავნეს, — თქვა, დაიმორცხვა და უხერხულობის დასაფარავად ქოჩორზე გადისვა ხელი.

— ჰო, გასაგებია შვილო, გასაგები! — გააწყვეტინა შავებიანმა ქალმა და ცხვირზე ჩამოხული სათვალე გაისწორა.

ეს ავტობუსი პირველი მიჰყვებოდა სამგლოვიაროდ გაწყობილ მანქანას, რომელზედაც მიცვალებული იყო დასვენებული. მანქანა მიდიოდა და არწევდა კუბოს. მიცვალებულის შევერცხლილი თავი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს ვარდებოდა.

შავებიანმა ქალმა უცებ გადაიწია შოფრისაკენ და ხალათზე დაექაჩა:

— ბიჭო, რაღა შენ მიჰყვები პირველი იმ უბედურს? სად გეჩქარება? ნუ გეშინია, ისედაც მოასწრებ მისვლას.

შოფერმა სკამიდან წამოიწია, სარკეში ჩაიხედა. შიგ წარბშეკრული მოხუცი ქალი დაინახა.

— ვითომ ეგ გვიშველის დედი? აბა, მაგაზე გაწყენინებ? — თქვა და გაიღიმა.

მანქანამ სვლას უკლო. თავის წინ სხვები გაუშვა და უკან ჩადგა.

— ასე არა სჯობს? — და მერე ამხანაგს მიუბრუნდა — ამან ვერ გამიგო, — შოფერზე ანიშნა — სიკვდილის კი არ მეშინია, იმ საცოდავის ცქერა მიმძიმს, ჭკუას მირევს... სიცოცხლე სწყუროდა საწყალს, ეგონა დიდხანს იცოცხლებდა. ამბობდა, ღმერთს ვალი აქვსო ჩემი, გადასახლებაში გატარებულ თხუთმეტი წელიწადის არც ერთ დღეს სიცოცხლეში არ ითვლიდა. არც მოკვდებოდა... — ქალმა ახლა დაიყვირა. — დიახაც, არ მოკვდებოდა, — გაიმეორა ისევ, მუხლებზე დაგდებული ჩანთა გახსნა, იქიდან პაპიროსი ამოიღო და გამომწვევად შეხედა ახალგაზრდა კაცს.

იმან კი სახეზე ისეთი გულგრილობის იერი აიკრა, თითქოს არაფერი გაუგიაო.

— ავად მაინც გამხდარიყო? იქაც კი, რა არ გამოვიარეთ: შიმშილი, წყურვილი, სიცივე, სიტიტველე, და დაიჯერებთ, ფრჩხილიც არ წამოსტკივნია. ხუთი წელია ჩამოვედით და არც აქ მინახავს ავად. გაგიგონია, ბიჭო, მისი ავადმყოფობა? — მიუბრუნდა იგი ახალგაზრდას.

იმას კვლავ არაფერი უთქვამს, ჯიბეში ჩაიყო ხელი, ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე მომდგარი ხვითქი მოიწმინდა.

შავებიანმა ვერ მოისვენა — შენ გეკითხები, არ გესმის? — ჩააცივდა იგი ისევ ახალგაზრდას, — ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდით. ფანერის ტიხარი ჰყოფდა თქვენს ოთახებს, სიფრიფანა კედელი. ერთმაც და მეორემაც ერთმანეთისა ყველაფერი იცოდით, გეკითხები ყოფილა ავად? მაშ რამ მოჰკლა, რამ? დილით ჩაიც გაუწყო თურმე ამას, ასე არ იყო?

ახალგაზრდამ თავი ასწია, შეხედა შავებიან ქალს და კვერი დაუკრა. დიახ, ასე იყო. იმ დილით, როგორც ყოველთვის, უთენია ადგა დიასახლისი. ჩაი დაალევინა მდგმურს, იმავე დღეს მდგმურმა დიასახლისი უნივერმაღში ნახა. ის იდგა, სადაც იყიდება მამაკაცის მზა ტანსაცმელი. დიასახლისმა მოჰკრა თუ არა თვალი მას, სახე ჩამალა თავსაფარში და გაქრა.

გაოცებული მდგმური დიასახლისს დაეძებდა, კისერწაწვეტილი, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, რომ ის იყო მისი ყურადღება დახლთან მდგარმა აყლაყუდამ მიიპყრო.

— მომეცი საჩივრის წიგნი... სად გაიზარდნენ ეს მამაძაღლები, ზრდილობის ნატამალი არ გააჩნიათ! — უყვიროდა იგი ვიღაცას, თვალებს აბრიალებდა და თითით ემუქრებოდა.

— რატომ ბატონო? რა დავაშავე! მე არ მაქვს უფლება და რა ვქნა?! ვუთხარი ვერ დავიბრუნებ-მეთქი კოსტუმს, სექციონერთან გავგზავნე. — აწრიპინდა იქით გამყიდველი გოგო. მან დახლზე წაქცეული ჭიქა წამოაყენა, ზედ დაღვრილი წყალი ხელისგულით გადაფერთხა. მდგმური გამყიდველ გოგონას დააჩერდა, მერე იატაკზე დაღვრილ წყალს დახედა, აღარ უძებნია თავისი დიასახლისი.

ჩქარი ნაბიჯით მაღაზიის გასასვლელ კარებს მიაშურა და შინისკენ გასწია. დიასახლისი აივანზე არ შეეგება გიორგის. იგი საწოლზე გაშოტილიყო, პირზე სანთლის ფერი დასდებოდა, თვალები დაეხუჭა, გულზე ეწყო ხელები. მოულოდნელი სანახაობით გაოცებული გიორგი კარებთან აიწურა. ისე გარინდდა და გაშტერდა, რომ ადგილიდან ვეღარ დაიძრა. კარგა ხანს იდგა ასე გაუნძრევლად. მერე გიორგი აქ აღარავის უნახავს. მხოლოდ ახლა, გასვენებაზე გამოცხადდა. დიასახლისის ცხედარი მხრით ატარა უნივერსიტეტამდე. მერე ავტობუსში ჩაჯდა.

შავებიანი ქალი სულ უფრო და უფრო უტევდა ახალგაზრდას. რა ჰქონდა-მეთქი სასიკვდილო, ჩემს ნინოს? მითხარი გეთაყვა, მითხარი ერთი — თუმცა იცი რა, ჩემო გიორგი? იქნება ასეც სჯობდა! მოკვდა და მოისვენა. მაგრამ მე გული იმაზე მწყდება, ერთ ქარბუქიან ღამეს მე და ნინო ტყეში დავიკარგენით და ბარაკს ორი დღის შემდეგ ძლივს მივაკვლიეთ. მადლი არ იყო, ტყეში მგელს დაეგლიჯა, წყალში ჩაეხრჩვალიყო, მიწაში ეს სიმწარე მაინც არ ჩაჰყვებოდა!

მეორე ქალმა, რომელიც აქამდე გაჩუმებული იყო და არ ერეოდა მის საუბარში, ახლა ნერვიულად გაისწორა ქუდი თავზე.

— რას ამბობ, ევგენია? იქ როგორ სჯობდა, უცხო ადგილას, უთვისტომოდ, დაუტირებლად.

— თორემ აქ იკლავს თავს ვინმე! — გააწყვეტინა სიტყვა შავებიანმა და პაპიროსი მოქაჩა.

ჩასუქებულმა ქალმა იქით-აქეთ მიმოიხედა, მერე ამხანაგს ყურთან მიუტანა ტუჩი და რაღაც ჩასჩურჩულა.

იმან ხელით განზე გასწია მეგობარი და გააგრძელა: — ჩემო კარგო, ამათ ჩემზე უკეთ იციან ყველაფერი. იცოდე, ხალხს არაფერი არ ემალება. იმ ვაჟბატონს, რაზან კრუსუნით თავს არ აბეზრებდა დედამისი, ეგონა, არაფერი აწუხებსო! ჩემო კარგო, დარდი ყველაზე მძიმე სენია, დარდმა სიცხე არ იცის, დარდს აურომიცინი არ სჭირდება, სიხარული ჰკურნავს დარდს. ნინოს ეგონა დაბრუნდებოდა შინ და გაიხარებდა. სისხლი გაუშრეს, დატანჯეს — სიბრაზისაგან ძლივს სუნთქავდა ქალი.

— ევგენია, ცოდოა ბავშვები, რას მისდგომიხარ და თხრი — სცადა ისევ მისი დამშვიდება მეზობელმა, — რას ერჩი იმათ? ქალს წნევა ჰქონდა, მახსოვს გულსაც უჩიოდა, მოვიდა მოსასვლელი და აღსრულდა კიდეც. დაგიჩინია დატანჯეს, სისხლი გაუშრესო, რაც თქვენ იქ ჭირი და ავდარი გადაიტანეთ, რატომ არ დაიხოცეთ?

— ვინ გითხრა, რომ არ დავიხოცეთ? რა დარჩა ჩვენგან? საცოდავ ნინოს აქამდე სული სიზმრებმა მოატანინეს. იქ რომ ვიყავით, დაღამება უხაროდა: სიზმარში ხან ურეცხავდა შვილს, ხან უკერავდა, სკოლაში დაჰყავდა... მეტი ნატვრა არ ჰქონდა საცოდავს, შინ დაბრუნებულიყო და შვილს გამოსდგომოდა. ეს უნამუსოები კი გამოეყვნენ. მოხუცებული ქალი ცალკე სჭამდა და ცალკე სვამდა. ეს მდგმური რომ არა, სულს უფრო ადრე განუტევებდა! — ქალს ლოყები აეფაკლა, კისრის ძარღვები დაებერა.

— ნუ, ნუ, ჩემო ევგენია, პირში შემოგყურებს მთელი ავტობუსი... განა არ იცი, ხალხი რანაირია? შენს ნათქვამს ის გაბერავს და გააზვიადებს, არ გაგიკვირდეს თუ ხვალ ვინმე მოვიდეს და გითხრას — ნინო რძალმა და შვილმა დანით დაუკლავთო!

— მერე და რა განსხვავებაა? გინდ ენით მოგკლას კაცი და გინდ დანით დაგიკლავს! — შავებიანი ქალი კიდევ აპირებდა რაღაცის დამატებას, რომ ავტობუსში ფერდობზე შეფენილმა ყაყაჩოებმა შემოანათეს. შავებიანი ქალი გაჩუმდა. დაიკარგა თუ არა ყაყაჩოს ყანა, შავებიანი ისევ მიუბრუნდა მდგმურს.

— ამ ზაფხულს თავის დედულეთში მეპატიჟებოდა. პატარა ბიჭის წაყვანა სწყუროდა გულით, იმ ქალბატონმა არ დაანება. წყნეთში გავარდა. რა იქნებოდა, ერთი ზაფხული მაინც გაეყოლებინათ სოფელში შვილიშვილი? რა იქნებოდა?

ახალგაზრდამ ისევ არაფერი უპასუხა. თავი უფრო ძირს ჩაჰკიდა.

— ამას ვითომ არ ესმის! — გაჰკრა ხელი შავებიანმა ამხანაგს, — ნუ ესმის! მე ისედაც ვიცი რას ფიქრობს ეგ. გაბრაზებულია იმათზე. განა არ ვიცი რატომ დაიკარგა? იმათი დანახვა არ უნდა, იმათაც რცხვენიათ ამისი. თვითონ დავინახე, იმ გაწრიპულმა თვალი ვერ გაუსწორა, შავი სათვალე აიფარა. ასეა, მოწმე არავის უყვარს. არაფრად აგდებდნენ, არაფერი მოსწონდათ მისი. საწყალი ქალი, რა სიხარულით ვიყიდეთ კოსტუმი? რა ერთი ყოფით მოვარბენინეთ სახლში, გახსოვს გიორგი? მე იმის სახე არ მშორდება თვალიდან.

გიორგი, თითქოს მკვახე ტყემალი გაკბიჩაო, უსიამოვნოდ დაიღრიჯა, ემწარა იმ წუთის გახსენება.

...ის და მერაბი ტახტზე მიწოლილიყვნენ, შუაში ჭადრაკი ჩაედგათ და თამაშობდნენ. კარი გაიღო და ოთახში ქალები შემოცვივდნენ — დიასახლისი და მისი განუყრელი მეგობარი, ევგენია. დიასახლისს იღლიაში ამოეჩარა ვეებერთელა შეკვრა და გამორბოდა პირმღიმარი. ქალები მაგიდას მიცვივდნენ, გადახსნეს კანაფი.

— მერაბ, მოდი ბიჭო, მოდი და ნახე რა მოგიტანეთ! — მიიხმო ევგენიამ დიასახლისის შვილი.

მერაბმა მოჰკლა დედოფლით ტურა, გახარებული წამოვარდა, იატაკის საწმენდი ნაბდის ქოშები ფეხებში მოიგდო და დედასთან მისრიალდა. მაგიდას დააცქერდა, მერე დედას შეხედა, გაიღიმა და გახარებულმა წამოიძახა:

— დედი, ეს რა გიყიდია დედი? ჩემია? გიორგი, შეხედე ერთი, რა ძველია დედაჩემი! საიდან გქონდა ფული? — მერაბმა სასწრაფოდ გაიხადა პიჟამო, ტახტზე დააგდო. თვალის დახამხამებაში ახალ კოსტუმში გამოეწყო.

— იფ, იფ, იფ — დატრიალდა სარკის წინ.

დიასახლისი გათამამდა. — მოგეწონა, დედიკო! ასეც ვიცოდი. ოღონდ იმისი მეშინოდა, ვაი თუ არ მოერგოს-მეთქი! კარგია არა, დედიკო, მე არ მიყვარს შენზე ის ვიწრო კოსტუმი, გამოფსკვნილი ხარ შიგ — დაჰქოთქოთებდა შვილს დედა, როგორც კრუხი წიწილას.

მდგმური თვალს ადევნებდა მათ. ასპირანტი მერაბ ხელაშვილი მოდას აყოლილი ბიჭი იყო. მის შარვლის ტოტში მუშტს ძლივს გაატევდი, პიჯაკსაც ვიწროს ატარებდა, ისეთს, რომ იფიქრებდი, ამის შემკერავს ნაჭერი დაჰკლებიაო.

დედის ნაყიდი კოსტუმი სულ სხვა იყო — ვეებერთელა მხრებით, შარვალს ისეთი ფართო ტოტები ჰქონდა, გიორგიც კი არ ატარებდა ასეთს. შეეძლო მერაბს ეს კოსტუმი გამხარებოდა? — მდგმური გაოცებული უყურებდა მერაბს. მას კი უკმაყოფილების არაფერი ეტყობოდა, პირიქით. დედა კიდევ უფრო მიეხალისა შვილს. ქალი გაბადრულ მთვარეს დაემსგავსა, მის თვალებში უსაზღვრო ზრუნვა, სითბო და სიყვარული ჩადგა.

მერაბმა ხელით აიტაცა გაცისკროვნებული დედა და მოჰყვა ოთახში სირბილს — ვაშა, ვაშა, ვაშა!

— გამიშვი, გამიშვი, დედიკო! წელი მოგწყდება — იძახდა დიასახლისი და შვილის მკლავებში თევზივით ფართხალებდა.

დედა-შვილს ამ წუთში არავისთვის ეცალათ, მათ არც შეუმჩნევიათ როგორ შემოვიდა ოთახში ლეილა.

ლეილას სახე უბრწყინავდა. უკანასკნელი გამოცდის ჩასაბარებლად იყო წასული და ეტყობოდა ისიც მოეხერხა. კარებთან იდგა. ვერ გაერკვა რა ხდებოდა აქ და შეყოვნდა. უეცრად სახეზე ჩრდილმა გადაჰკრა, წარბები შეჰკრა, ზღვასავით ლურჯი დიდრონი თვალები გადაუთეთრდა და აღარაფერი დარჩა ლამაზი ქალისაგან.

მერაბმა გული რომ იჯერა სირბილით, ცოლის გაავებულ თვალებს მაშინღა წააწყდა. შედგა. თითქოს ცივი წყალი გადაავლესო, ხელიდან გაუშვა დედა. მერე საქციელწამხდარმა კოსტუმზე დაიხედა, ხელები გაშალა და მანჭვით ცოლისაკენ წავიდა.

— ლეილა, ნახე რა კოსტუმი მაჩუქა დედამ? დღეს ჩემი დაბადების დღეა. შენ სულაც დაგავიწყდა!

ისედაც ჩახმახზე შემართულ ლეილას ნაღვერდალიღა სჭირდებოდა.

— არ მომეკარო, არ მომეკარო! ჩანჩურა, რას ჰგევხარ? — თითქოს კეთროვანს ემალებაო, უკან გაიწია ლეილამ და ლოყაზე იტაცა ორივე ხელი.

მერაბი მაინც მიჰყვა. — არ გაბედო, გესმის? დედამ მიყიდა!

— დედამ მიყიდა, დედამ მიყიდა — გამოაჯავრა მან, — რა ვუყოთ მერე? შენ სად გაქვს თვალები?

— ჩუ, ლეილა, გემუდარები, გესმის რას შვრები — მერაბმა ყელთან მიიტანა ხელი.

— ვინ გთხოვათ, ვინ? — მიუბრუნდა გაკაპასებული რძალი დედამთილს — რატომ ერევით ჩემს საქმეებში? შეხედეთ ერთი, რასა ჰგავს თქვენი მერაბი. სპირიდონ მცირიშვილი არ გაგიგონიათ? გინდათ დაგვცინონ? მასხრად აგვიგდონ, დაგვიფუს-ტვინონ? მე ველარ გავივლი მის გვერდით. ბარემ გალიფე შარვალიც ჩააცვით. გამოაწყვეთ ქურქში, ხომ გაქვთ ზანდუკში ჩაკეცილი? ამოიღეთ და ჩააცვით, რაც გინდათ უყავით, — რძალმა სულ უფრო და უფრო უმატა წივილს.

კარებთან აწურული ნინო სულ უფრო და უფრო აეწება კედელს. ხუთი წუთის წინ თვალები ცეცხლივით ანთებოდა, ახლა კუთხეში მიმალული თვალებდახუჭული ისმენდა თავზედატეხილ რისხვას. რძლის ყოველ სიტყვაზე ბურთივით ავარდებოდა, მერე ისევ დგებოდა ფეხზე და გრძნობდა როგორ ეშვებოდა ძირს, სულ ძირს, ძალიან ღრმად, სადღაც უფსკრულში.

მდგმური შესწრებია გაწიწმატებულ რძალს, რძალზე გამწყრალი დედამთილიც უნახავს, მაგრამ არ უნახავს არც ერთი ასე მოთმინებიდან გამოსული, ზომიერებადაკარგული. დიასახლისი ბუნებით საოცრად მშვიდი და დინჯი ქალი იყო, იმისი წონასწორობიდან გამოყვანა არც ისე იოლი უნდა ყოფილიყო. ახლა მდგმური უცქერდა დიასახლისს და ხედავდა როგორ ჰკარგავდა იგი ამ კარგ თვისებას.

დიასახლისი ძლივს სუნთქავდა სიბრაზისაგან. დაიძრა ადგილიდან როგორც ძუ ვეფხვი, ეცვეთა მუხის მძიმე მაგიდას, მუშტით ბაგაბუგი აუყენა და ააპირქვავა. მერე მივარდა კედელზე ჩამოკიდებულ სურათიან ჩარჩოს, მოგლიჯა ლურსმნიანად და იატაკზე დაახეთქა.

— კმარა, კმარა ჩემგან! არ გაბედო, არ გაბედო, არ გაბედო-მეთქი კიტელის ავად ხსენება, უგნურო გოგო, კიტელიანებმა მოგიტანეს ეს ქვეყანა შენ და შენნაირ ბოიყებს ასე მზამზარეული! აფსუს, რომ შენნაირ თხებს შესწირეს თავი! უმადურო, უმსგავსო, უგულო შენ!.. — დიასახლისმა დაავლო ხელი ძირს დაგდებულ მოსასხამს და ოთახიდან გავარდა.

— ნინო, მოიცადე ქალო, სად მიდიხარ, რამ გადაგრია, რა მოხდა ასეთი! — დაადევნა სიტყვა [illegible] და უკან გაჰყვა.

ყველაფერი ეს, რასაც ახლა ავტობუსში ასე საქვეყნოდ მოუთხრობდა ხალხს შავებიანი ქალი, მოხდა დიასახლისის სიკვდილის წინა დღეს, ქალი არაფერს არ აჰყვებოდა, არც აკლებდა. მეგობარმა ბოლომდე დააცალა სათქმელი შავებიან ქალს. და[illegible] თუ არა ამბავი, [illegible] მიუბრუნდა — ჩვენც ვცოდავთ, მაშ აბა მოირთე თავი ჩიხტიკოპით, დედამშენი ხომ ატარებდა? რა ენაღვლებოდა ნინოს, თვითონ ხომ უყიდა, გული გაიხარადაე, შვილი ნუ ჩაიცმევდა.

— ადვილი სათქმელია! ქალმა რვა წლისა დატოვა ბავშვი, ახლა ძლივს მოახერხა რაღაც ეყიდნა შვილისათვის, გესმის? იმათ კი წყალში გადაუყარეს, მარტო ეს კი არა, ისინი წყალში უყრიდნენ ყველაფერს, მოდი და ნუ გაგისკდება გული. წვითა და დაგვით ააშენა ოჯახი, მერე მოვიდეს ვიღაც ტინგიცა გოგო და აგაწიოკოს, დაგაქციოს. რა ჰქონდა დასაწუნი ნინოს ნიკელის საწოლებს? ოფლითა ჰქონდათ შეძენილი ცოლ-ქმარს. გაუიდა იმ გომბიომ. იმის მაგიერ ხის საწოლები ჩამოუყარა ლვოვიდან. რაც ბროლი იყო სახლში, სადღაც გააქრო, მაწვნის ქილები შეალაგა პიანინოზე. თვი-





თონ ხომ ისე შეღებილა, ნილაბს ჰგავს, ბინაც წითელ-ყვითლად აჭრელა, სახლი ცირკს დაამსგავსა. ეს არაფერი, მამამთილის სურათი ჩამოხსნა კედლიდან და ვილაც გადამთიელი ქალაჩუნა არტისტი ჩამოჰკიდა.

— იგიც მოდაა, ქალო! აბა, თვითონ განსაჯე, ვის რად უნდა შენი და ჩემი სურათი? ერთი არ დამავიწყდეს, სიკვდილამდე უნდა დავიბარო: ჩემი და ჩემი მოკეთეების სურათები, რაც კი გამაჩნია, კუბოში ჩამატანონ. ახლა სხვაგვარად ფიქრობენ, სხვაგვარად ცხოვრობენ ახალგაზრდები. იცვლება დრო და იცვლება კაცი. ეგ კი არა, არ შეგიმჩნევია? საცივი აღარ მოაქვთ სუფრაზე. მოდაში არ არისო...

უკან ვილაცამ გულიანად გადაიხარხარა. გაბრაზდა შავებიანი ქალი. აჰა, ხომ ხედავ? ვითომ რა აცინებს? ეგენი გინდა გაამართლო? უმცროს-უფროსობას რა დრო სჭირდება, ზრდილობას მოდა როგორ გაუვა. იმ ლაყე ბიჭის ბრალია ყველაფერი. ერთი გავტყეპავდი იმ თხას, და გათავდებოდა ყველაფერი. ახლა კი პირი დაუღია და ბღავის — არ მეცოდება, არ მეცოდება, არა! დაინახე? ის და. წუნებული კოსტუმი აცვია. ჯერ ცოლის ჭკუას აჰყვა და ახლა ვითომ რაო? დაინახავს დედამისი თუ? ქალი მოჰკლეს და ახლა უნდათ ასიამოვნონ?

— რას ამბობ რას, ნუ სცოდავ, თავი დანებე იმ ბავშვებს! იმათ თავისიც ეყოფათ. ადექი, მოვედით — გააწყვეტინა სიტყვა შავებიანს მეგობარმა და წამოსადგომად მოემზადა.

გამოჩნდა სასაფლაო — გულუხვი მასპინძელი. აქ მომსვლელს — გამოჩენილსაც და ვიგინდარასაც ერთნაირად რომ ეგებება და იკრავს გულში. ქალები მიყუჩდნენ.

უკანა სკამზე ბიჭები ისხდნენ. აქამდე ისინი ყურს უგდებდნენ ქალებს; როცა სასაფლაოს მიუახლოვდნენ, ერთმა ხელი ფანჯარაში გაჰყო — აგერ, შესასვლელთან მარხია ჩვენი გურამი.

— მე არ ვიყავი მაშინ თბილისში და ძალიან მწყდება გული, რომ უკანასკნელად ვერ ვნახე გურამი — თქვა მეორემ.

— რას ნახავდი? თუთიის კუბოთი ჩამოიტანეს. საწყალი დედამისი ფრჩხილებით ფხოჭავდა სახურავს, შვილის დანახვა სწყუროდა, კუბო საგანგებოდ დაჭედეს სვანებმა. დაჭედეს ბევრი ლურსმებით, მაგრად, რომ დედის სიმწარეს გამკლავებოდა.

— თითქო გული მიგრძნობდა, სხვაგვარად მისი სიკვდილი ვერ წარმომედგინა — თქვა ისევ პირველმა.

— ბიჭო, იცი რა მემართება, როცა გურამის საფლავთან ვდგავარ? — გააგრძელა მეორემ, — ვეძებ ხვრელს, კარს, ვეძებ გასასვლელს საფლავიდან. ასე მგონია, გურამი მიწის ქვეშ ვერ დადგებოდა. აგლეჯდა მხრებით თუთიის სახურავს. გურამი დადის მიწაზე, უფრო მაღლა, ისევ მთებშია, მზეზეა. ჩამოვა გურამი, ჩამოვა გარუჯული, მხარზე აპარატგადაკიდებული. რედაქციის წინ შემომხვდება.

— კაი გამარჯობა შენი, — იტყვის ის და გადმოყრის თეთრ კბილებს.

შოფერმა ავტობუსი დაამუხრუჭა.

მიცვალებული მიწაზე დაასვენეს. მუსიკოსებმა ერთი რაღაც კი დაამთავრეს, მეორე მიაფუჩეჩეს, მესამეც. მესაფლავემ ბარი მოიმარჯვა. ჩქარობდნენ მუსიკოსები, ჩქარობდა მესაფლავე.

მიწა არ ჩქარობდა მხოლოდ, სად გაექცეოდა მკვდარი? მიცვალებულსაც არ ეჩქარებოდა. ამის შემდეგ იქაურობა იყო მისი სამუდამო სასუფეველი.

დიასახლისს მზისათვის ხარბად მიეშვირა სახე. მზე გადიდდა, გაწითლდა, ცეცხლი მოეკიდა.

მერაბს ხელებში ჩაემალა სახე და კვნესოდა.

შეწყდა მუსიკა, წავიდნენ დამკვრელები. მესაფლავე თავზე დაადგა კუბოზე დამხობილ მერაბს. მერაბი ტიროდა, ტიროდა განწირული, როგორც პატარა ბიჭი, როცა დედა მიდის შინიდან და არ მიჰყავს შვილი.

ლეილა შორიახლო იდგა, ცხვირსახოცის ყუა პირში ჩაედო, წიწკნიდა და ყრუდ ქვითინებდა.

გიორგის ზურგს უკან ქალები აჩურჩულდნენ:

— შეხედე, შეხედე იმ უტიფარს, კიდევაც იწირპლება — თქვა პირველმა.

— არტისტი, ნამდვილი არტისტი! — თქვა მეორემ.

— ტყუილად ირჯება, ვინ დაუჯერებს — თქვა ისევ პირველმა.

გიორგის დასცხა. საკინძე შეიხსნა, — ეს უკვე მეტისმეტი იყო. გიორგი ცოტ-ცოტას შავებიან ქალსაც ეთანხმებოდა, ბევრი ამტყუნებდა ცოლქმარს. მაგრამ მას სჯეროდა ლეილას ცრემლიც. ამ გოგოს მიწისათვის არ ემეტებოდა მერაბის დედა. არც წარმოედგინა მისი სიკვდილი. ეს იყო მისი ყველაზე დიდი შეცდომა. ხდება ხოლმე, ადრე მიდის ახალგაზრდაც, მაგრამ ჯერი ხომ მაინც უფროსისაა. მისი სიცოცხლის დღენი დათვლილია. მაშ რაღაზე უსწრაფებ?

ტიროდნენ შვილები. ცრემლი ეყრებოდა მოხუცის მკერდს და გულისპირს უსველებდა. თეთრ თმას, შარავანდედივით რომ შემოვლებოდა მის თავს, ნელი სიო სწეწავდა. გიორგი დააკვირდა დიასახლისს, დააკვირდა და თვალს არ დაუჯერა. უფრო ახლო მივიდა, დააცქერდა. მიცვალებული ადრინდელივით შუბლშეკრული და განრისხებული აღარ იყო.

გიორგის მოეჩვენა, წყალს ითხოვდა ეს ქალი, სწყუროდა სიცოცხლე და არ უნდოდა მზისაგან წასვლა.

გვიანი იყო. კუბოს დაჰხურეს თავი. მესაფლავემ მომარჯვებული ბარი დაატრიალა და საფლავს მტვერი აადინა.

მერაბი თავჩაკიდებული ისმენდა გახარებული მიწის სიმღერას. მერე ყურებზე იტაცა ხელი, გამობრუნდა და წავიდა წინ.

გიორგის გასასვლელთან წამოეწია, ხელი გამოსდო მკლავში — სახლში ხომ მოდიხარ, გიორგი! თუ ძმა ხარ — უთხრა მან, — ყელში მოაწვა ცრემლი და სათქმელი აღარ დაემორჩილა.

ისინი მანქანაში ჩასხდნენ. გიორგიმ პაპიროსი ამოიღო, მერაბს გაუწოდა, სახლამდე იმგზავრეს ისე, სიტყვა არ დაუძრავთ.

მანქანა გასტრონომის წინ გაჩერდა. იქით გასვლა არ შეიძლებოდა, ქუჩა ათხრილი იყო, გაზი გაჰყავდათ.

ისინი მანქანიდან გადმოვიდნენ. ორთავეს ხმამაღალი ხარხარი შემოესმა. გიორგიმ უკან მიიხედა. გასტრონომის წინ ბიჭები იდგნენ. სიცილისაგან იგუდებოდნენ.

— ეი, შენ, სად იშოვე ეგ ანაფორა? — დაიძახა ერთმა.

— მღვდელს არ ჰგავს, ოხერი! — თქვა მეორემ.

— შენ გეუბნებით, მკვდარს ხომ არ გახადე, ვინ შეგიკერა? თარგი არა გაქვს?

ეს უკვე მესამე იყო. მაღალი, მოსული ბიჭი. ღვინო კოჭებში დასტყობოდა, ფეხი და ენა ეშლებოდა. ის სადარბაზო შესასვლელთან წამოეწია მერაბს, მხარში ჩაავლო ხელი და ზემოთ აზიდა.

— თქვი რაღა, ვერ იტყვი? ვალიკოს შეაკერინე?

მერაბი დანებდა და თავი ჩაჰკიდა.

გიორგი აენთო. იგრძნო როგორ მოაწვა სისხლი ტვინში, თითები შეჰკრა, ხელი დასტაცა მოძალადეს და მხრიდან ააგლიჯა.

— გიორგი, შენი ჭირიმე, ბიჭო, ჩხუბის თავი მაქვს? — ჩადგა იმათ შუა მერაბი და თავისკენ მოსწია გიორგი.

— ვა, რა იყო, გაწყენინე რამე? — ნირწამხდარი მოძალადე უკან-უკან წავიდა.

გიორგი გაჰყვა მერაბს, ისინი სადარბაზოში შევიდნენ და კიბეს აჰყვნენ.

გარეთ, გასტრონომის წინ ბიჭები ისევ იცინოდნენ...



ეროვნული ბიბლიოთეკა







შავი ზღვა. რა თევზი არ გინდათ, რომ აქ არ იყოს. ამიტომაც არის, რომ მის ლურჯ ზედაპირს დღენიადაგ სერავენ მეთევზეთა სწრაფმავალი სეინერები

არის ისეთი კოლმეურნეობები, სადაც თავმჯდომარე უსათუოდ კაპიტანი უნდა იყოს. ერთ მათგანს თქვენ ხედავთ ამ სურათზე. ეს გახლავთ ბათუმის რაიონის კოლმეურნეობის „წითელი მეთევზის" თავმჯდომარე ახმედ წუწუნავა





ფოტო თენგიზ ფურცხვანიძისა







„წითელი მეთევზე" ყოველწლიურად ათეულ ათასობით ცენტნერ თევზს აბარებს სახელმწიფოს. წელსაც „მოსავალს" კარგი პირი უჩანს და სეინერებიც ერთიმეორის მიყოლებით გადიან ღია ზღვაში

თევზის აღმომჩენმა ხელსაწყომ ნიშანი მისცა მეთევზეებსა და კაპრონის ვეება ბადეც შრიალით ჩაეშვა ზვირთებში



ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ფეტრის შლიაპები გაკეთებულია შავი ზღვის ჯუჯა ზვიგენის—კატრანის ტყავისაგან. მეთევზეები ვასილ ივჩენკო (მარცხნივ) და რამინ ანთაძე ანკესებს ამზადებენ კატრანის დასაჭერად

დადგა გადამწყვეტი წუთი, იწყება ბადის ამოღება

# ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ





ბადე ამოღებულია. წუთიც და...

გემბანზე ალივლივდა, აფართხალდა „ზღვის საჩუქარი“. მეთევზეები კარგ მოსავალს იმკიან





ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ახალი ქართული ოპერები

მირა ფიჩხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული საბჭოთა მუსიკა დღეს სიახლითა და თვითმყოფადობით, მუდმივი ძიებითა და მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინდივიდუალობებით გამოირჩევა. თუ შეიძლება ასე ითქვას, იგი კალაპოტიდან გადმოსულ ადიდებულ მდინარეს ჰგავს, რომლის მძლავრ სწრაფ წყლებს მუდამ გამოაქვთ ნაპირზე რაღაც კარგი და ახალი.

ქართველი კომპოზიტორები დღეს თამამად აყენებენ თანამედროვეობისა და ხალხურობის, ტრადიციისა და ნოვატორობის პრობლემებს, რომლებიც ყოველ მოწინავე ხელოვანს აღელვებს.

ხალხურობა მუდამ ეროვნული კულტურის საფუძველთა საფუძველი იყო. ხალხური სიმღერა — ერის ისტორიული წარსულის შესანიშნავი ძეგლია; ესაა ის „წმინდათა წმინდა“, რასაც გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი ხელოვანი. ქართველ კომპოზიტორთა დიდი შემოქმედებითი ბედნიერება სწორედ ის არის, რომ ძაფები, რომლებიც მათ აკავშირებს მშობლიურ ფოლკლორთან — არასოდეს გაწყვეტილა, არ შესუსტებულა.

ხალხური მუსიკა თავის დროზე შესანიშნავად აითვისა და შემოქმედებითად განაზოგადა დიდმა ზაქარია ფალიაშვილმა. ჯერ კიდევ იმ წლებში, როცა ქართული საბჭოთა მუსიკა ახლად ყალიბდებოდა — კვლავ ხალხურ სიმღერას მიუბრუნდნენ შალვა მშველიძე და ანდრია ბალანჩივაძე; ქართულ მუსიკას მათ ახლებური ჟღერადობა მიანიჭეს.

თითქოს სულ სხვა სიომ დაჰბერა, როცა ქართულ მუსიკას მშველიძის ნაწარმოებები მოევლინა. ახლებურად გაისმა ფშავ-ხევსურული სიმღერების ინტონაციური სამყარო, უჩვეულო კილოები, დიდებული მელოდიები.

ანდრია ბალანჩივაძე მისთვის დამახასიათებელი სიფაქიზით შეეხო ხალხურ საუნჯეს, უხვად გამოიყენა. მისი მელოდიური და რიტმული სიმდიდრე, საქართველოს მრავალი კუთხის ფოლკლორის თავისებური სურნელება.

თვითეული ეროვნული მუსიკალური კულტურისათვის ახლა ერთ-ერთი ყველაზე ცხოვრებისეულია ტრადიციისა და ნოვატორობის პრობლემა. ბოლო წლებში, ქართულ მუსიკაში, ამ პრობლემამ განსაკუთრებული სრულყოფილი ასახვა საოპერო ჟანრში ჰპოვა; ეს ჟანრი აქამდე კომპოზიტორებისათვის ყველაზე ძნელი მისაწვდომი იყო.

უკანასკნელ წლებში ქართულ მუსიკას ორი ჭეშმარიტად შესანიშნავი ოპერა შეემატა. მათ ერთგვარად შეცვალეს ეროვნული საოპერო ჟანრის მდგომარეობა, მწვავედ დააყენეს ტრადიციისა და ნოვატორობის პრობლემა. ისინი ჩვენი მუსიკალური კულტურის დიდ ნახტომს წარმოადგენენ. ეს არის შალვა მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“ და ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“.

* * *

ჩვეულებრივად, ხელოვნების ყოველ დარგს განვითარების ორი საფეხური გააჩნია; ერთი „მშვიდი“, თანდათანობითი ზრდაა, რომელიც გარდაუვლად რაღაც საყურადღებომდე, მნიშვნელოვნამდე უნდა მივიდეს. მეორეს, პირველიდან გამომდინარეს, მივყავართ იმ დიდ ნახტომამდე, რომელიც მთელი ეტაპია ეროვნული ხელოვნებისათვის. ეს ნახტომი მოულოდნელი როდია. იგი მანამდე განვლილი დიდი გზის კანონზომიერი შედეგია.

ქართული მუსიკის ისტორიაში განვითარების ამგვარი გზები ყოველმა ჟანრმა განიცადა — დიდმაც და მცირემაც. მაგრამ განსაკუთრებით საგრძნობი იგი საოპერო ჟანრისათვის აღმოჩნდა.

ქართული საბჭოთა ოპერის ჩამოყალიბების ათეული წლების მანძილზე ვხვდებოდით გამარჯვებებსაც და მარცხებსაც. იყო ოპერები, რომლებიც დაუმსახურებლად დავივიწყეთ (ისინი კი ნამდვილად უნდა იყოს ჩვენი თეატრის რეპერტუარში) და ისეთებიც, რომლებიც სამართლიანად ჩაბარდა წარსულს.

საბჭოთა საოპერო ჟანრის ჩამოყალიბების გზამ ლოღიკურად მიგვიყვანა ზემოხსენებულ ორ ოპერამდე, რომლებშიაც განსაკუთრებული სისრულითა და სისხარტით აისახა ეროვნული ჟანრის საუკეთესო, განზოგადებული თვისებები. აქ ჩვენს წინაშეა ორი სხვადასხვა სტილი, საოპერო ჟანრის ორინაირსახეობა — „დიდოსტატი“ დიდებული, მონუმენტური ეპოპეაა, ხოლო „მინდია“ — ლირიკულ-ფსიქოლოგიური დრამა.

შალვა მშველიძე ერთ-ერთი ყველაზე თავისებური ხელოვანია. პირველი ნაწარმოებებითვე (სიმფონიური მინიატურები „აზარი“ და „ფშაური“) გამოიკვეთა კომპოზიტორის მკაფიო, ნათელი გზა. მათ მოჰყვა ეროვნული მუსიკის ბრწყინვალე ნიმუში „ზვიადაური“.

არსად, არც ერთ ნაწარმოებში, მას არ უღალატნია თავისი თავისათვის, თავისი სტილისათვის, საკუთარი წერის მანერისათვის. ყოველ ნაწარმოებში მშველიძე მტკიცედ დგას მშობლიურ ნიადაგზე. უაღრესად ინდივიდუალურმა შემოქმედმა, ადვილად აუარა გვერდი ახალი მოდური მიმართულებების ზეგავლენას.

შ. მშველიძის მონუმენტური, ფართო ეპიკური ტილოები გვაგონებენ უძველეს ქართულ ფრესკებს, რომელთა მკაცრი სისადავე და სიდიადე დროს ვერ შეულახავს. მისმა პირველმა ოპერამ („ამბავი ტარიელისა“) ქართულ საბჭოთა მუსიკაში ეროვნული მონუმენტურ-ეპიკური ოპერის ჟანრი დაამკვიდრა. „დიდოსტატში“, კომპოზიტორმა გადალახა თავისი პირველი ოპერის ჭარბი მონუმენტურობა და ორატორიულობა. მთელი თავისი სიდიადით წარმოსდგება ოპერაში ხალხი, მისი გენია, რომელიც მშველიძემ ესოდენ მრავალმხრივად და დიდებულად ასახა გაშლილ, პლასტიკურ საგუნდო ეპიზოდებში.

ოპერის თვითეული პერსონაჟი მონუმენტური და პლასტიკურია. ამავე დროს, არც ერთი მათგანი განყენებული სახე არ არის. ისინი შინაგანი ექსპრესიით აღსავსე, მრავალფეროვანი ემოციებითა და ძლიერი ადამიანური ვნებებით არიან დაჯილდოებულნი. სწორედ სახეების ეს ექსპრესიულობა ანიჭებს ოპერას შინაგან ძალას და დინამიურობას.

„დიდოსტატი“ თვითონ ავტორმა არ მიიჩნია ბოლომდე სრულყოფილად, კვლავ დაუბრუნდა და მისი ახალი ვარიანტი შექმნა. ოპერამ ბევრად უფრო მოიგო ამ სახით, უფრო დახვეწილი, მოქნილი, დრამატულად შეკრული გახდა. თავისთავისადმი უაღრესად მომთხოვნი ხელოვანი, ალბათ, კიდევ დახვეწს საყვარელ ნაწარმოებს.

ოთარ თაქთაქიშვილი, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში აღიარებული სიმფონისტი (ორი სიმფონია და საფორტეპიანო კონცერტი) თანდათანობით, მაგრამ შეუპოვრად „მიადგა“ ვოკალურ ჟანრს. მისმა ვოკალურმა ციკლებმა ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მიხედვით ერთგვარად უწინასწარმეტყველეს მსმენელს კომპოზიტორის შემოქმედების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოების — ოპერა „მინდიას“ დაბადება.

„მინდია“ თაქთაქიშვილის პირველი ოპერაა და საუკეთესო, რაც კი მას აქამდე შეუქმნია — ამ ოპერას ფასდაუდებელი ღირსებანი გააჩნია — იგი მთლიანად იმღერება, თავიდან ბოლომდე, რითაც ავტორის დიდ ვოკალურ შესაძლებლობებს ამჟღავნებს. მისი მუსიკა მომხიბვლელია იმ ადამიანურობითა და შინაგანი სითბოთი, რომელიც გაჯადოებთ, გათბობთ, გიზიდავთ. სწორედ ამ მაღალ ჰუმანურობაშია „მინდიას“ წარმატების საიდუმლოება.

ორმოქმედებიანი „მინდია“ მისაბაძი ნიმუშია მუსიკალური დრამატურგიის ერთიანობისა, ნიმუშია მუსიკალური აზრის სისხარტისა და შინაგანი ექსპრესიულობისა. მით უფრო დასანანია, რომ ასეთ ნაწარმოებს აშკარა ნაკლი აქვს (ჩვენის აზრით ადვილად გამოსასწორებელი); ვგულისხმობთ, პირველი მოქმედების პირველივე ნახევრის რამდენიმე ვოკალურ მონაკვეთს, მათ შორის მინდიას გამოსასვლელ არიეტასა და მზიას სიმღერას (არც ერთი და არც მეორე თავისი მსუბუქი ხასიათითა და საერთო იერით არ შეესაბამება მთელი ნაწარმოების ამაღლებულ და ღრმად ემოციურ სტილს).

ქართული მუსიკის დღევანდელი დღე — მრავალფეროვანი და შესანიშნავი ახალგაზრდობაა, რომელიც შეუპოვრად მიისწრაფვის ახლისაკენ. ის ძვრები, რომლებიც უკანასკნელ წლებში ქართულმა საოპერო ჟანრმა განიცადა, ალბათ, ახალი ნაწარმოებების დაბადების მაუწყებელია. ბალეტ „ოტელოს“ შემდეგ ალექსი მაჭავარიანი იმდენად გაიტაცა შექსპირმა, რომ ახლა მან მთლიანად დაიმორჩილა კომპოზიტორის შემოქმედებითი აზრები. ოპერა „ჰამლეტი“, რომელსაც კომპოზიტორი უკვე ამთავრებს, ბუნებრივია, დიდ ინტერესს გამოიწვევს.

კომპოზიტორი ალექსანდრე შავერზაშვილი წერს „ოიდიპოს მეფეს“ სოფოკლეს მიხედვით. მისი ჩანაფიქრით იგი ერთმოქმედებიანი ოპერა უნდა იყოს.

ქართული მუსიკა დღეს მდიდარია ახალი სახელებით და ახალი ნაწარმოებებით. ჩვენი კომპოზიტორები გაბედულად ეძიებენ ახალს, რომელიც მუდამ გასხივოსნებულია მშობლიური მუსიკისადმი დიდი სიყვარულით.



# ნოვატორი — პოლიგრაფისტი

ყველა დარგს, ყველა საქმეს თავისი ენთუზიასტი ჰყავს. ასევე ითქმის პოლიგრაფიულ მრეწველობაზეც. ერასტი წივწივაძე ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, ვინც თავიანთი ცხოვრება მთლიანად დაუკავშირეს ქართული სასტამბო ხელოვნების განვითარების საქმეს.

ერასტი ქუთაისში დაიბადა, პროფესიული რევოლუციონერის ოჯახში. მამით ადრე დაობლებული ბიჭი ლუკმაპურის ძებნამ სტამბაში მიიყვანა შეგირდად, სადაც მას ჩაენერგა დიდი სიყვარული პოლიგრაფიული საქმისადმი. მალე ის მბეჭდავის თანაშემწე ხდება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ერასტი გადმოდის თბილისში და სწავლას იწყებს მუშფაკში, საღამოობით კი სტამბაში მუშაობს.

მალე იგი სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება მოსკოვს, სადაც წარმატებით ამთავრებს პოლიგრაფიულ ინსტიტუტს; ის იყო პირველი ქართველი ინჟინერ-პოლიგრაფისტი, რომელიც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ქ. კუიბიშევის სტამბაში გაგზავნეს ტექნიკურ ხელმძღვანელად, სადაც სამ წელზე მეტი დაჰყო და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება მიიღო.

1939 წელს ერასტის კვლავ თბილისში ვხედავთ. აქ აღარ ჩამოვთვლით ყველა პოსტსა და თანამდებობას, რომელიც ერასტის ეჭირა, ვიტყვით მხოლოდ, რომ მისი ცხოვრების ყოველი დღე სავსე იყო დაუცხრომელი შრომით, სიახლის ძიებით, იმაზე ფიქრით, თუ როგორ წავწიოთ წინ ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე.

1961 წლიდან ე. წივწივაძე მუშაობს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობისა და პოლიგრაფკომბინატის დირექტორის მოადგილედ და მთავარ ინჟინრად. იმ რთულ შრომაში, რომელსაც პოლიგრაფკომბინატის მრავალრიცხოვანი კოლექტივი ეწევა, სახელდობრ: ერთდროულად — მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლოატაცია, ე. წივწივაძის ღვაწლი და ამაგი მეტად ნათლად ჩანს; ამიტომაც ერასტი დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შორის.

ე. წივწივაძე, როგორც ინჟინერ-პოლიგრაფისტი, ხელმძღვანელობს ქართული ენის განმარტებითი რვატომიანი ლექსიკონის პოლიგრაფიულ-ტექნიკურ გაფორმებას, რომელიც მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული. მას გარკვეული ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ქართული ფერადი წიგნების (განსაკუთრებით საბავშვო ლიტერატურის) ბეჭდვის დანერგვის საქმეში.

ე. წივწივაძეს ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, დაბადებიდან 60 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის წოდება.

# საყვარელი ლილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ დემეტრაშვილი ნამდვილი ამბავი მხატვარი თ. სამსონაძე

გია ვასაძე ოპერატიულმა მუშაკებმა ტახტზე დაასვენეს.

ბეჭებში წახრილი პოდპოლკოვნიკი რამდენიმე წუთი ყურადღებით დასცქეროდა გვამს, მერე ელექტრონის შუქით განათებულ ოთახს მიმოავლო თვალი.

ოთახი პატარა იყო. ერთადერთი სარკმელი, რომელზეც აბრეშუმის ნაოჭებიანი ფარდა ეფარა, ვიწრო ეზოს გადასცქეროდა.

მტვრით დაფარული ძველებური ავეჯი და უწესრიგოდ მოფანტული ნივთები ნათლად მეტყველებდა, რომ ოჯახს დიასახლისის ხელი აკლდა.

შუა ოთახში დადგმულ მაგიდაზე საჭმელის ნარჩენები ელაგა. პირმოტეხილ თეფშზე ერთმანეთში არეული ეწყო მოხარშული ხორცი, ხელით დატეხილი ყველი და ძეხვის რამდენიმე ნაჭერი.

მაგიდის კიდეზე, პაპიროსის ნამწვავებით სავსე საფერფლის გვერდით, კონიაკის ცარიელი ბოთლი და პატარა ზომის თლილი ჭიქა იდგა, რომელშიც რამდენიმე წვეთი სასმელიღა იყო ჩარჩენილი...

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო!— ლევან ხარბედიას მოულოდნელად შემოესმა კარებთან გაჩერებული არჩილ ლაფაურის ხმა,—თქვენი დავალება შესრულებულია. ვასაძის ბიბლიოთეკის დათვალიერება და ოთახში გაბნეული წიგნების შეგროვება დავამთავრეთ!..

— მერე?

— ლეიტენანტმა გიგაურმა საწოლ ოთახში კარადაზე დალაგებულ წიგნებში ვასილ ბარნოვის მეორე ტომი იპოვა...

ლევან ხარბედია სწრაფად შემობრუნდა ლაფაურისკენ.

— შემიძლია მოგახსენოთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, რომ წიგნს 379-ე გვერდის ნაწილი აკლია!..

ლევან ხარბედიამ ფრთხილად გადაფურცლა ლაფაურის მიერ მიწოდებული წიგნი. ხმარებისაგან გაცრეცილ ტომს 379-ე გვერდის ქვედა ნაწილი მართლაც მოხეული ჰქონდა. ამ მოხეულ ფურცელს ზუსტად მოერგო ხის კოლოფში სათუთად შენახული ქაღალდის ნაგლეჯი, რომელიც რამდენიმე დღის წინ, თბილისის ზღვაზე, ლილი ჯაყელის ჯიბეში იპოვეს.

— როგორ მოვიქცეთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო?

ლევან ხარბედიას თითქოს არც კი გაუგია ლაფაურის სიტყვები, რამდენიმე ხანი მდუმარედ იდგა ერთ ადგილზე და მერე ჩუმად ჩაილაპარაკა:

—ვასაძის ბინის გაჩხრეკა გულმოდგინედ უნდა გავაგრძელოთ... იმ ოთახში კი, სადაც ინჟინერმა თავი ჩამოიხრჩო, ჯერჯერობით ფეხი არავინ შემოდგას!...

* * *

ვასილ ბარნოვის მეორე ტომი, რომელიც სამძებრო განყოფილების მუშაკებმა იპოვეს, თავისთავად ლაპარაკობდა, რომ ლილი ჯაყელი და გია ვასაძე ერთმანეთთან ახლო ურთიერთობაში იყვნენ.

ახლა უკვე ნათელი იყო, რომ რვა ოქტომბერს, სამუშაოზე ქმრის გასტუმრებისთანავე, ლილი აეროდრომისაკენ გია ვასაძესთან შესახვედრად წავიდა.

ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ლილის სწორედ თავისი საყვარლის ოთახში ასწყდა ჟაკეტიდან ღილი. ახალგაზრდა ქალმა, როგორც ეტყობა, ხელში მოხვედრილ პირველივე წიგნიდან ანგარიშმიუცემლად ამოხია ფურცელი, სადაფის ღილი შეახვია შიგ და შალის კაბის ჯიბეში შეინახა.

ჯერ კიდევ ძნელი იყო იმისი თქმა, რატომ დასჭირდა ინჟინერს თავიდან მოეშორებინა ლილი. ვიდრე ძიება დამთავრდებოდა, პოდპოლკოვნიკს მხოლოდ შორეულად შეეძლო ევარაუდა, რომ რაღაც მიზეზის გამო, გია ვასაძე იძულებული გახდა ვერაგულად დაეხრჩო ქალი და გაძარცული გვამი ფარულად გადაეგდო წყალში.

ლილის სიკვდილის შემდეგ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ჩადენილმა დანაშაულმა ალბათ უცბად მოსტეხა და შიშის თავზარი დასცა ინჟინერს.

გაოგნებულ გია ვასაძეს უტყუარი ალღოთი უნდა ეგრძნო, რომ გამოძიების რკალი თანდათან უფრო ვიწროვდებოდა მის გარშემო, რომ დღეს თუ ხვალე, დადგებოდა მომენტი, როცა მას პასუხი უნდა ეგო ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის.

პანიკურმა შიშმა ერთიანად გათელა და დაიმონა ინჟინერი. ყოველი ხისა და სახლის უკან ჩასაფრებული მდევარი ელანდებოდა.

გია ვასაძის ნერვიულმა დაძაბულობამ უკანასკნელ ხანებში უმაღლეს წერტილს მიაღწია. როგორც ლევან ხარბედია ფიქრობდა, თვითმკვლელობის დღეს ინჟინერი აფორიაქებული დაბრუნდა სახლში, მაგიდასთან მიმჯდარმა ბოლომდე გამოსცალა კონიაკის ბოთლი და ჭაღის დასაკიდ კაუჭზე გამობმულ თოკზე ჩამოიხრჩო თავი.

პოდპოლკოვნიკი იმედს არ ჰკარგავდა, რომ ოპერატიული მუშაკები ბინის გაჩხრეკის დროს გია ვასაძის მიერ დატოვებულ რაიმე ბარათს იპოვიდნენ. ეს ბარათი, ალბათ, დასტურის ბეჭედს დაასვამდა ლევან ხარბედიას ვარაუდს და ნათელს მოჰფენდა ჩახლართულ საქმეს...

* * *

ვასაძის ბინის ჩხრეკა ღამის პირველ საათამდე გაგრძელდა.

ყოველ საეჭვო ნივთს, რომელსაც შეეძლო ნაწილობრივ მაინც რაიმე სიცხადე შეეტანა ძიებაში, ოპერატიული მუშაკები ცალკე ალაგებდნენ.

დერეფანში დადგმულ ტახტზე ერთმანეთის გვერდით ეწყო საწერი მაგიდის უჯრებიდან ამოღებული სამახსოვრო ფოტოსურათები, ინჟინერის დოკუმენტები; ხის მოგრძო, ძველებურ კოლოფში, რომელიც ოპერატიულმა მუშაკებმა საწოლ ოთახში გაკეთებული თახჩიდან გადმოიღეს, სასიყვარულო წერილების რამდენიმე დასტა იდო.

ამ გაცრეცილ, კოჭის ძაფით გულმოდგინედ შეკრულ წერილების დასტაში ლევან ხარბედიამ ლილი ჯაყელის გაკრული ხელით დაწერილი ერთადერთი პატარა ბარათი იპოვა.

თავის წერილში ლილი სამარადისო სიყვარულსა და ერთგულებას ეფიცებოდა ვასაძეს, რაღაც ჩადენილი დანაშაულისათვის უკანასკნელ პატიებას სთხოვდა მას და შეხვედრის ზუსტ დროსა და ადგილს უნიშნავდა...

იმ ოთახში, სადაც გია ვასაძემ თავი ჩამოიხრჩო, პოდპოლკოვნიკმა მორფის ცარიელი, თავწატეხილი ამპულა იპოვა, რომელიც ინჟინერს სარკმლის გასწვრივ დაბალ მაგიდაზე დადგმულ ბროლის განიერ ვაზაში ჩაედო.

ლევან ხარბედიას უკვე ჰქონდა საფუძველი ეფიქრა, რომ გია ვასაძე უკანასკნელ ხანებში არა მარტო ღვინოსა და კონიაკს ეძალებოდა, არამედ ჩუმ-ჩუმად მორფის ხსნარსაც იკეთებდა.

...ბინის ჩხრეკა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ლევან ხარბედია ტახტზე გაშოტილი ინჟინრის გვამთან შეჩერდა.

გულხელდაკრეფილი პოდპოლკოვნიკი რამდენიმე ხანი გარინდებული დასცქეროდა მიცვალებულს, მერე უცბად შეტოკდა, სწრაფად აუქცია გვერდი იქვე გაჩერებულ ექიმს და შუა ოთახში დადგმულ მაგიდასთან მიიჭრა.

არჩილ ლაფაური, რომელიც სანახევროდ გამოღებულ კარებთან იდგა და ყურადღებით ადევნებდა თვალყურს პოდპოლკოვნიკის მოძრაობას, მაშინვე მიხვდა, რომ ლევან ხარბედიამ რაღაც ახალ, მეტად მნიშვნელოვან დეტალს მიაგნო.

— არის რაიმე ახალი, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო?

ლევან ხარბედიამ ხელის აწევით შეაჩერა ლაფაური. ორიოდე წუთის შემდეგ ისევ ტახტზე გაშოტილ გვამისაკენ გამობრუნდა და მუხლებზე დამხობილი დაჟინებით დააშტერდა ვასაძის ყელზე წაჭერილ მარყუჟის ნასკვს.

— არის თუ არა რაიმე ახალი, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო? — მორიდებით გაიმეორა შეკითხვა ლაფაურმა.

პოდპოლკოვნიკი წამოდგა, ორივე ხელით გაიწმინდა იატაკის მტვრით დასვრილი შარვალი და თავისი ჭროღა, უძილობით შოლილი თვალები შეანათა არჩილ ლაფაურს.

გაგრძელება. იხ. ჟურნ. „დროშა“ № 8, 9.

— არის, ამხანაგო კაპიტანო!.. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენ თვითმკვლელობასთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე, არამედ მკვლელობასთან!...

ლევან ხარბედიამ ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი მაგიდაზე გაშლილ საჭმლის ნარჩენებს და ეჭვიანად ჩაილაპარაკა:

— დიახ, თუ ეს დასკვნა ნაადრევი არ არის, ვასაძემ თვითონ კი არ ჩამოიხრჩო თავი, არამედ ვიღაცამ ჩამოჰკიდა თოკზე!..

* * *

ოპერატიულმა მუშაკებმა დაადგინეს, რომ ლილი ჯაყული და გია ვასაძე წლინახევრის წინ ერთად მუშაობდნენ საფეიქრო კომბინატში.

ინჟინერ-ფეიქარი გია ვასაძე ერთ მშვენიერ დილას მთვრალი გამოცხადდა სამსახურში. რაღაც უმნიშვნელო წვრილმანის გამო საამქროში აურზაური ასტეხა და ცვლის ოსტატს შეურაცხყოფა მიაყენა.

კომბინატის ადმინისტრაცია, რომელსაც მსგავსი საქციელისათვის უკვე გაფრთხილებული ჰყავდა ვასაძე, იძულებული გახდა სამუშაოდან გაენთავისუფლებინა იგი.

უსაქმოდ დარჩენილი ინჟინერი ერთხანს რაიონში მცხოვრებ ძმასთან გაიხიზნა. ორიოდე თვის შემდეგ ისევ თბილისში დაბრუნდა და, რომელიღაც ნათესავის დახმარებით, საკონდიტრო ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა.

ლევან ხარბედიამ უკვე იცოდა, რომ სასიამოვნო შეხედულების, კოხტად ჩაცმული ვასაძე თავისი მხიარული ხასიათითა და მოსწრებული სიტყვა-პასუხით დიდი მოწონებით სარგებლობდა ქალებში. გარე-გარე სიარულმა მალე თავისი ბზარი დააჩინა ოჯახს. გიას ახალგაზრდა მეუღლემ ველარ გაუძლო ქმართან ყოველდღიურ უსიამოვნებას, სახლ-კარი მიატოვა და ბავშვიანად ბათუმში გადავიდა მშობლებთან საცხოვრებლად.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვასაძეს კიდევ ერთი ახალი უბედურება დაატყდა თავზე. სამოცდაათ წელს მიტანებული დედა, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობდა, მოულოდნელად შეუძლოდ გახდა და ვიდრე საავადმყოფოში მიიყვანდნენ, გზაშივე გარდაიცვალა.

დედის სიკვდილის შემდეგ გია საბოლოოდ დაეშვა უსაქმურობისა და ფუქსავატობის წუმპეში. მარტოდმარტო დარჩენილი ახალგაზრდა კაცი ნელნელა შეეჩვია სმას და თითქმის მთელ თავისუფალ დროს ამფსონებთან ერთად ქეიფსა და დროსტარებაში ფლანგავდა.

როგორც მეზობლებმა განაცხადეს, გიასთან ხშირად დადიოდა ხოლმე ვიღაც ახალგაზრდა, კოხტად ჩაცმული ქალი. გარეგნული ნიშნების მიხედვითაც კი ძნელი არ იყო იმისი მიხვედრა, რომ ეს ლამაზლამაზი, ბიჭურად თმაგაკრეჭილი ქალი ლილი ჯაყული იყო.

ლევან ხარბედია კარგად გრძნობდა, რომ ყველა საეჭვო ნასკვი, ბოლოს და ბოლოს, ვასაძის ოჯახში იყრიდა თავს, რომ სწორე ამ ბინაში უნდა დატრიალებულიყო ის ტრაგედია, რომელმაც შემდეგ ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

პოდპოლკოვნიკს მიაჩნდა, რომ უკვე ხელთა ჰქონდა რაღაც ძაფი, რომელიც საშუალებას მისცემდა შეუცდომლად წარემართა ძიება და სააშკარაოზე გამოეტანა ლილი ჯაყულისა და გია ვასაძის საიდუმლოებით მოცული მკვლელობის საქმე.

* * *

სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ნესტორ ხერგიანი სავარძელში იჯდა და ყურადღებით უსმენდა ლევან ხარბედიას.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, გია ვასაძის სიკვდილი, როგორც ეტყობა, ლილი ჯაყულის მოულოდნელ მკვლელობასთან უნდა იყოს დაკავშირებული... გამოძიებას უკვე დაუგროვდა მასალები, რომლის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ გია ვასაძემ თვითონ კი არ ჩამოიხრჩო თავი, არამედ ვიღაც გამოცდილმა ბოროტმოქმედმა ჩამოჰკიდა თოკზე...

— დამისაბუთეთ თქვენი მოსაზრებები, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო!..

— გია ვასაძე, ჩემთვის უკვე ცნობილია, რომ თბილისში დაიბადა და გაიზარდა... იგი, როგორც იტყვიან, დედის თბილი, მზრუნველი კალთის ქვეშ დავაჟკაცდა... ახალგაზრდა ინჟინერს არასოდეს არ უმსახურია ფლოტში, არც ალპინისტი ყოფილა.

— მერე რა?

— მერე ის, რომ მარყუჟის სამმაგი, ერთმანეთში ჩაწნული ნასკვი, რომელზეც გია ვასაძე იყო ჩამოკიდებული, ძნელი დასაჯერებელია, რომ გამოუცდელი კაცის ხელით ყოფილიყო შეკრული... ასეთ რთულ, პროფესიულ ნასკვებს, უმეტეს შემთხვევაში მეზღვაურები და ალპინისტები აკეთებენ ხოლმე...

ნესტორ ხერგიანმა თვალი თვალში გაუყარა პოდპოლკოვნიკს.

— ჩემი დაეჭვებისათვის კიდევ ერთი, სერიოზული საბაბი იმ გარემოებამაც მომცა, რომ გია ვასაძეს მარყუჟის მსხვილი, სამმაგად შეკრული ნასკვი ყელის მარცხენა მხარეს ჰქონდა მოქცეული...

ცაცია ადამიანები, როგორც ცნობილია, უმეტეს შემთხვევაში, თავისდაუნებურად მარცხენა ხელით ცდილობენ ხოლმე გააკეთონ საქმე... გია ვასაძემ, თუ იგი ნამდვილად ცაცია იყო და თავის დახრჩობა გადასწყვიტა, გასაკვირი არ არის, რომ თოკი მარცხენა ხელით განასკვა და ყელზე მარყუჟის წამოცმის დროს ეს ნასკვი უნებურად მარცხენა მხარეს მოიქცია.

მაგიდაზე გაშლილი საჭმლის ნარჩენების გულმოდგინე დათვალიერების დროს კი მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ გია ვასაძე ცაცია არ უნდა ყოფილიყო... დანა, საფერფლე, ჭიქა და სხვა ნივთები იმგვარად იყო განლაგებული მაგიდაზე, რომ ინჟინერს ისინი მარჯვენა ხელით უნდა მოეხმარა...

ლევან ხარბედიამ პოლკოვნიკს უსიტყვოდ ჩაუთართვა პაპიროსი და ასანთი წაუკიდა.

— ჩემი ვარაუდი მეორე დღესვე გამართლდა. ვასაძის მეგობრებმა და ახლო ნათესავებმა, რომლებსაც პირადად ვესაუბრე, ერთხმად აღიარეს, რომ გია ვასაძე არ ყოფილა ცაცია...

— დასტოვა თუ არა დამნაშავემ რაიმე კვალი ბინაში?

— გულმოდგინე ძებნის მიუხედავად, ჩვენ ვერ შევძელით რაიმე მამხილებელი ან საეჭვო ნივთიერი მასალა გვეპოვნა... ჩხრეკის დაწყებამდე, მე ბრძანება გავეცი, ახლოს არავინ მიჰკარებოდა შუა ოთახში დადგმულ მაგიდას. დაიბადა თუ არა ეჭვი, რომ ვასაძე ვიღაცა უცხო ადამიანის ხელით უნდა ყოფილიყო მოკლული, სამეცნიერო-კვლევითი ტექნიკური განყოფილების კრიმინალისტს ვთხოვე, რომ მორფის ცარიელ ამპულაზე, ჭურჭელზე და მაგიდის კრიალა ზედაპირზე დამნაშავის თითების ანაბეჭდის კვალის ძებნა დაეწყო...

— გვამი?

— ჩხრეკის დამთავრებისთანავე მითითება გავეცი, გვამი პროზექტურაში გადაესვენებინათ და მისი ბიოლოგიური და ქიმიური ანალიზი მოეხდინათ.

ხვალ დილით ალბათ უკვე ხელთ მექნება ლაბორატორიული ანალიზების დასკვნები და ნათელი გახდება, რამდენად სწორია ჩვენი ეჭვები ვიღაც უცნობი დამნაშავის არსებობის შესახებ...

— ყველაფერი გასაგებია, — ნესტორ ხერგიანმა ორთავე ხელი დაიკრიფა გულზე, — ახლა ეს მითხარით, პოდპოლკოვნიკო, მიაგენით თუ არა ვასაძის მიერ სიკვდილის წინ დაწერილ რაიმე ბარათს?

— სიკვდილის წინ ვასაძეს არავითარი ბარათი არ დაუტოვებია... ეს გარემოება კიდევ უფრო აღრმავებს ჩემს ეჭვს, რომ იგი ვიღაც სხვა ადამიანის ხელით უნდა იყოს მოკლული.

— მაინც რას ფიქრობთ, ვის შეეძლო მოეკლა ვასაძე?

— ძნელი სათქმელია! — ლევან ხარბედიამ სანახევროდ ჩამწვარ პაპიროსს ხელმეორედ წაუკიდა ასანთი, — ჩვენს ხელში არსებული მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვასაძე ლილი ჯაყულის ერთ-ერთმა ძველმა ნაცნობმა, ვინმე ბორის ლომაშვილმა მოჰკლა.

ეს ბორის ლომაშვილი მაღალ-მაღალი, შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი გახლავთ, რომლის სურათს ლილი საიდუმლოდ ინახავდა მაგიდის უჯრაში. ოპერატიულმა მუშაკებმა უკვე დაადგინეს, რომ გია ვასაძის გაცნობამდე, ლილი ჯაყული ხშირად ხვდებოდა პასუხისგებაში ნამყოფ ლომაშვილს და მათ შორის რაღაც საეჭვო კავშირი არსებობდა...

— შემდეგ?

— მეორე ვარიანტის მიხედვით, უნდა ვიგულისხმოთ, რომ გია ვასაძის მკვლელობაში ლომაშვილი კი არ უნდა იყოს გარეული, არამედ ვიღაც სხვა, საიდუმლოდ შენიღბული უცნობი, რომლის არსებობის შესახებ ჩვენ ჯერჯერობით არაფერი არ ვიცით...

— არსებობს თუ არა მესამე ვარიანტი, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო?

— რა თქმა უნდა, არსებობს. ეს ვარიანტი ყველაზე უტყუარ და დასაბუთებულ ვერსიად მიმაჩნია. ამ ვერსიის მიხედვით ვასაძის მკვლელი ლილი ჯაყულის ქმარი — გაიოზ ჯაყული უნდა იყოს...

— ამხანაგო პოლკოვნიკო, — ლევან ხარბედიამ ოდნავ აუწია ხმას, ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ მოტყუებულ გაიოზს ყოველგვარი საფუძველი ჰქონდა, რომ ასეთი მძიმე და სარისკო ნაბიჯი გადაედგა.

გაიოზ ჯაყული, როგორც დავადგინეთ, კარგად იცნობდა გია ვასაძეს და რაღაც მოტივით ყოველთვის შეეძლო ბინაში მისულიყო მასთან. გარდა ამისა, გაიოზ ჯაყული ცაცია გახლავთ და გია ვასაძის ყელზე მარცხენა მხარეს შეკრული ნასკვი შეიძლება სწორედ მისი ხელით იყოს გაკეთებული...

— რა შეგიძლიათ გვითხრათ კიდევ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო?

ლევან ხარბედიამ სავარძელი გასწია, სწრაფად წამოდგა ფეხზე და პოლკოვნიკის წინ მხედრულად გასწორდა.

— ვიდრე დეტალურად შევუდგებოდეთ ყოველგვარი წვრილმანის გარჩევას, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთი, მეტად საგულისხმო ეჭვის შესახებ მოგახსენოთ... ეს ეჭვი, თუ იგი გამართლდა, არსებითად შესცვლის ყველაფერს და ნათლად დაგვანახებს დამნაშავის შენიღბულ სახეს!...

(დასასრული იქნება)

**ნიკოლოზ ადამია**

## ც ე ც ხ ლ ი

ცეცხლო, ფოლადის დამადნობელო,
ჩვენი გულების გამათბობელო,
ელვის სადარო, ცისკრის სადარო,
მუხის, ძელქვის და წიფლის ღადარო,
თბილი კერის და სიკეთის დედავ,
სამარადისო დიდება შენდა!

შენზე არ ვამბობ თერმიტის ალო,
პიროგელის და ნაპალმის ალო
და ატომური ბომბის ხანძარო!
კოპიტის ცეცხლო, მურყანის ცეცხლო,
ფრთები არასდროს არ დაგეკეცოს,
შენ, ამირანის მონატაცარო!

## ძველი სენაკის ჭადარი

გაჭაღარავდა, აღარ ჰგავს მაისს
და დაუწვრილდა მჟიღა მკლავები,
მის ჩრდილში ყოფნა მიხარის მაინც,
სხვა ჭადარს განზრახ არ ვეკარები.

რადგან აქ ბრძენი ილია მჯდარა
და დიდ აკაკის უთქვამს ლექსები;
ამ ჭადრის ჩრდილი ტკბილია მარად
და მეც ამიტომ ვეალერსები.

## აჯამეთის ტყე

დრო მერცხალივით ველზე ნავარდობს,
შენ არ ბერდები, ქართულო ტყეო,
შენი შრიალი თუ არ ვისმინე,
ამ ქვეყნად აბა, რამ დამატყვევოს?

ტკბილად ვიმღერებ შენზე მანამდის,
ვიდრე მქუხარებს ქვეყნად რიონი;
ვარ დაჭერილი შენი ქამანდით
და მონათლული შენი მირონით.

## ხ ო ხ ო ბ ი

მომხიბლა შენმა ქათიბმა ჭრელმა,
ზღაპრულ ცდუნებას ჩამოგავს მეტად,
რაც ფერი არის, ბუნებას ყველა
თითქოს შენს ფრთებზე ჩამოუბერტყავს.

უშენოდ მიწა დაკარგავს იერს
და შენი მტრობა როგორ ვინებო...
იდიდეთ, მეფე ვახტანგის მიერ
ისარნაკრავი ხოხბის შვილებო!



სახალხო უნივერსიტეტის მსმენელები.

# იყალთოს ახალი აკადემია

## შინმოუსვლელო, სადა ხარ!

როგორც კი კავკასიონთან ცა-სამზეური ალისფრად შეიღებება, იყალთოელები ბაღ-ვენახებისაკენ მიეშურებიან. ხმამაღალი საუბრითა და სიცილით მიაბიჯებენ თემშარაზე.

სასოფლო კლუბის პირდაპირ ძაძებით მოსილი, ხმელ-ხმელი მოხუცი ქალი შეჩერდება და მერე ჭიშკრისაკენ გაემართება. იცის, რომ კლუბის კარები ღია დახვდება და ისიც ამ სისხამ დილით ისევ ინახულებს თავის ხამ ვაჟკაცს...

მოხუცი დედა დინჯად ადის კლუბის კიბეზე, აღებს კარებს და ვესტიბულში დადგმულ, ლამაზად გაფორმებულ სტენდს უახლოვდება. სტენდს კი დიდი ასოებით აწერია: „ვინც სამშობლოსთვის დაეცა, ის არ მოკვდება არასდროს“. სტენდიდან ასზე მეტი ვაჟკაცის სურათი იყურება...

დედა ცრემლებისაგან დიდი ხანია გამომშრალ თვალებს მიაპყრობს სურათებს. ხან ერთს შესცქერის, ხან მეორეს, ხან მესამეს და ბუტბუტებს:

— ბიჭო, მოგიკვდეს დედა, როგორა ხარ?! ხმა გამეცი შვილო!

მას შემდეგ, რაც შინმოუსვლელთა სტენდი გაიხსნა, ყოველ დილით აქ შეივლის ხოლმე სამი ვაჟკაცის დამკარგავი დედა — ტასო მიქელაშვილი.

ოთხასამდე ვაჟკაცი გაგზავნა იყალთომ ფრონტზე. მართლაც და „ქუდზე კაცი“ გამოვიდა. ასეც იყვნენ დაჩვეულები მამა-პაპათა მიერ. წავიდნენ ბიჭები შაშვიანთუბნიდან, მრელაანთუბნიდან, ჭიბალაანთუბნიდან, თალლაურიდან... ნახევარზე მეტი აღარ დაბრუნებია მშობლიურ კერას. შორს, ძალიან შორს გაითხარა მათი სამარე...

ახლა ამ სტენდიდან იყურებიან ისინი. იყურებიან მრელაშვილები და პაპალაშვილები, არსენაშვილები და დედაბრიშვილები, ბერძენიშვილები და ლაჩაშვილები... რომელი ერთი ჩამოითვლება! სამი ძმა მიქელაშვილის გვერდით დაღუპული და-ძმის სურათებიცაა. „თამარ და რეზო გიგოლაშვილები“ აწერია ძუნწად. რამდენი ცრემლი და ვაება იმალება ამ წარწერის უკან...

როდესაც სტენდი გაიხსნა, მთელი იყალთო აქ იყო დიდიან-პატარიანად, ფუტკარივით ეხვეოდნენ ნაცნობ სახეებს, თავიანთ შვილებს, მამებს, ძმებს, ქმრებს... ისეთი განცდა ჰქონდათ, თითქოს დაბრუნდნენო ვაჟკაცები...

... ისევ დინჯად ჩამოვიდა კლუბის კიბეზე დედა. შავი თავსაფრის ყურით იწმენდდა ცრემლიან თვალებს.

ჭიშკართან რამდენიმე მეზობელი შეჩერებულიყო, — იცოდნენ, რომ შვილების სანახავად შეივლიდა ტასო ბაბო.

დედამ დადუმებულ მეზობლებს გადახედა და ჩაილაპარაკა:

— აბა, წავედით, ხალხნო!

შავოსანი დედა ბაღ-ვენახებისაკენ გაუძღვა მეზობლებს.

## შოთაობა

შარშან, ოცდაოთხ ნოემბერს, იყალთოში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული თვით იყალთოს მკვიდრნი, ახლომახლო სოფლებისა და რაიონების მცხოვრებნი, თბილისელი სტუმრები.

საფუძველი ეყრებოდა სახალხო დღესასწაულ „შოთაობას“...

იყალთოელები უხსოვარი დროიდან აღნიშნავდნენ რელიგიურ „ამაღლებას“. აიყრებოდნენ სოფლიდან და მოჩარდახული ურმებით, ცხენებით, ფეხით გაუყვებოდნენ გზას ძველი აკადემიის ნანგრევებისაკენ. ლოცულობდნენ აკადემიის პატარა ეკლესიაში, ანთებდნენ სანთლებს, მუხლმოდრეკილნი ავედრებდნენ ხნეულთ და საპყართ.

და აი, „ამაღლების“ ნაცვლად — „შოთაობა“!

განა შესანიშნავი თაოსნობა არ არის?!

„შოთაობა“ დღეს კლუბის ეზოში გაიხსნა რუსთაველის ძეგლი.

მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილს ორიგინალურად გადაუწყვეტია უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახე. ახოვან ჭაბუკს დაგრაგნილი ეტრატი უჭირავს მარჯვენაში, მარცხენა კი ენერგიულად გაუწევია ოდნავ განზე.

ძეგლის გახსნის შემდეგ მრავალრიცხოვანი დამსწრენი აკადემიის ნანგრევებისაკენ გაემგზავრნენ. ჩუმათხევსა და რიყეს აუყვნენ, ნიაურის მთას შემოუარეს და აი, იყალთოს სახელგანთქმული აკადემიის ნაშთილი ეზოც.

გულისყურით მოისმინეს მათ საინტერესო ზეპირი ჟურნალი „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელშიაც ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები მონაწილეობდნენ.

## პაპას ქვევრი

თვალს უხარია, როცა იყალთოს ღვინის ქარხნის ეზოში შეხვალთ.

ეზოში ვარდისუბნიდან მოტანილი, მსხვილი მავთულებით შეკრული უზარმაზარი ქვევრები მხარშებოჭილი დევებივით ყრიან მხართეძოზე და თავიანთი „დასამარების“ რიგს ელოდებიან...

აქ, მაყაშვილისეულ მარანში ნახავთ სახელგანთქმულ „პაპას ქვევრს“, რომელშიაც ოთხასი დეკალიტრი ჩადის. ზღაპრული გველეშაპივით დაუღია ვეება პირი „პაპას ქვევრს“ და იმავე გველეშაპივით ამოუვსებელი სტომაქი აქვს. ჩახედავ და ფსკერი არ უჩანს, მიიხედ-მოიხედავ და გვერდები...

წელს თითქმის სამი ათასი ტონა ყურძენი უნდა გადაამუშაოს იყალთოს ღვინის ქარხანამ. ეს სახუმარო როდია, მაგრამ მისი მცირერიცხოვანი, მეგობრული კოლექტივი მზად არის!

სასახელო შრომასთან ერთად, ცოდნასაც გატაცებით ეწაფებიან იყალთოელები. ყველას ყურადღება მიიპყრო სოფელში გამოკრულმა განცხადებამ, რომელიც ასეთ ახალ ამბავს იუწყებოდა:

„1964 წლის 20 აპრილიდან იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის სახალხო უნივერსიტეტი აცხადებს მსმენელთა მიღებას პირველ კურსზე.

სწავლის ხანგრძლიობა 2 წელი, კურსის დამთავრების შემდეგ მსმენელები მიიღებენ დიპლომებს“.

## თავკაცები

დიახ, მიიღებენ დიპლომებს!

იყალთოს კულტურის სახალხო უნივერსიტეტი ჯერ სრულიად ახალგაზრდაა — მისი პირველი მსმენელები მომავალ წელს დაამთავრებენ კურსს, მაგრამ ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება ჩვენს რესპუბლიკაში.

ბევრი შესანიშნავი საქმე გააკეთა სახალხო უნივერსიტეტმა. მარტო შინმოუსვლელთა სტენდი, რუსთაველის ძეგლი და „შოთაობა“ რათა ღირს! მოისმინეს მრავალი საინტერესო ლექცია, როგორც ადგილობრივი, ისე დედაქალაქის ლექტორებისა, ხშირად იმართება „ზეპირი ჟურნალები“, სამეცნიერო-საწარმოო და თეორიული კონფერენციები.

უნივერსიტეტის მსმენელთა შორის შეხვდებით სულ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს. ისინი ერთნაირი მონდომებითა და სიყვარულით ეკიდებიან სტუდენტის საპატიო სახელს.

იყალთოს კულტურის სახალხო უნივერსიტეტის რექტორია გიორგი შათირიშვილი — ღვინის ქარხნის ტექნოლოგი. დიდად მოუსვენარი და ენერგიული ახალგაზრდაა ეს „გოგლიკო“, როგორც იყალთოელები ეძახიან სიყვარულით.

სამიოდე წლის წინათ ჩამოვიდა იყალთოში და მაშინვე სათავეში ჩაუდგა სოფლის კულტურულ ცხოვრებას. შემოიკრიბა გარშემო სოფლის თავკაცები და კულტურის სახალხო უნივერსიტეტი დააარსა („როგორ შეიძლება იყალთოში სახალხო უნივერსიტეტი არ იყოს!“).

გიორგი შათირიშვილს მხარში უდგანან სოფსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გიორგი დედაბრიშვილი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე არჩილ მრელაშვილი, კლუბის გამგე გულო ბატიაშვილი, პედაგოგები, აგრონომები, სოფლის აქტივი...

ისიც უნდა ითქვას, რომ სახალხო უნივერსიტეტის რექტორი არ გახლავთ იყალთოელი. თბილისში დაიბადა და გაიზარდა. შათირიშვილების ოჯახი განთქმული იყო მთელ ხარფუხში. გიორგის პაპა, ისიც გიორგი, ცნობილი თეატრალი და ქველმოქმედი იყო. ამ ოჯახთან დიდი მეგობრობა აქვს ჩვენს სასიქადულო პოეტს იოსებ გრიშაშვილს. თვით გოგლიკომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა და იყალთოში გაგზავნეს. გიორგი ყველაფერს ასწრებს და ყველაფერი ეხერხება — ხატვაც, წერაც, სიტყვაც... ის არის სახალხო უნივერსიტეტის რექტორიც, ღვინის ქარხნის ტექნოლოგიც... ამ გაზაფხულზე მოსკოვშიაც იყო საზოგადოება „ცოდნის“ საკავშირო თათბირზე, როგორც სანიმუშო კულტურის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი.

... იყალთოში ცხოვრობს საუკუნეს გადაცილებული ნიკო ბაჩიაშვილი. საოცარია, რას არ მოესწრო ეს ბერიკაცი. ბატონ-ყმობის ავ ეპოქაში დაბადებულმა, საკმაოდ რომ მოხუცდა, მერე ნახა პირველად მატარებელი და ავტომანქანა. ახლა ადამიანის გაფრენასაც მოესწრო კოსმოსში. იყალთოში სახალხო უნივერსიტეტის გახსნის ამბავი რომ გაიგო, მაინც არ დაიჯერა. წაიყვანეს და დაარწმუნეს. დინჯი და ბრძნული ლაპარაკი უყვარს პაპა ნიკოს, გაიხარა და უბრალოდ თქვა:

— დაილოცეთ, შვილებო!..

ალეკო სანადირაძე

იყალთოს სახალხო უნივერსიტეტში. ლექციას კითხულობს პროფ. შოთა ძიძიგური.





# ქართლოს კასრაძე

— ტომატი არ არის?

—არ არის,—მიუგებს თავგაბეზრებული ძია გაბო.

გადის წლები. ეს შეკითხვა ახლა პატეფონის ფირფიტიდან ისმის; და ძია გაბოს თვითონაც ვეღარ გაუხსენებია როდის ჩაიწერეს მისი ხმა. ან ჩაიწერეს კი? იქნებ ეს ის ბიჭი ლაპარაკობს, ბერიკაცს რომ არ ასვენებდა... როგორ კარგად გადაუღია, მოხუცს ესმის თავისი ხმა და ეღიმება.

ასეთი იყო ქართლოს კასრაძის პირველი ნაბიჯი ესტრადისაკენ.

1948 წელი. სტუდენტთა მინიატურების ესტრადის თეატრი, ე. წ. სმეთი. ავტორი — ქართლოს კასრაძე, რეჟისორი — ქართლოს კასრაძე, მსახიობი — ქართლოს კასრაძე...

ამის შემდეგ ქართლოსს რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრების სარეპეტიციო დარბაზებში ვხედავთ. მისი ხუმრობა-ოხუნჯობა და იმიტაციები ყველას იტაცებს. გულიანად ხარხარებს შალვა ღამბაშიძე, იღიმება ვერიკო, იცინის პიერი, ქართლოსს გულში იკრავს გიორგი შავგულიძე, ხალხს აჩუმებს ვასო გოძიაშვილი, დაძაბული ინტერესით შესცქერის ქართლოსს სერგო ზაქარიაძე. მის ირგვლივ ერთბაშად იკვრება სახელდახელო წრე, მსახიობთა საერთო ყურადღების ცენტრში ქართლოსი ექცევა, და ისიც ლაპარაკობს, ვითომც აქ არაფერიათ, ჰყვება ერთდროულად სერიოზულსა და სასაცილოს, თვალებს ეშმაკურად ჰუტავს, სხეულიც ოდნავ ერხევა, მისი მოქნილი ხმა ხან ვის ბაძავს და ხან ვის...

და ჰყვება ქართლოსი სერიოზულს არასერიოზული ტონით, არასერიოზულს სერიოზული ტონით, ტრაგიკულს—სასაცილოდ, სასაცილოს—ტრაგიკულად; უსმენ და იღიმები, იცინი, ხარხარებ, გინდა ოდნავ მაინც შეისვენო, მაგრამ არა, რა დროს შესვენებაა, მხიარული ხუმრობის ნაკადს ნაკადი ცვლის, წინასწარ მოფიქრებულს—მოცემული ვითარებით შთაგონებული ხუმრობა-ექსპრომტი. სიმღერა დასჭირდება? მღერის, ფიგაროა ქართლოსი. ცეკვა? ცეკვავს ქართლოსი. „ქართული?“ აქაც ოსტატია ქართლოსი. რუსული? აბა! ფრანგული მოგეხსიათათ, ინგლისური მოგესურვათ, გერმანული? ყველაფერი შეუძლია. ქართლოსი—ივ მონტანია, „პარდონ!“, ქართლოსი „სპიკს“, ქართლოსი „შპრიბტ“. ერევანში ორკესტრის პროგრამა სომხურად მიჰყავს, ტალინში—ესტონურად, ლიტვაში—ლიტვურად, ლატვიაში — ლატვიურად.

მოსკოვის მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალზე ის გამოდიოდა რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე. სსრ კავშირის თითქმის ყველა ქალაქში ათ-ათჯერ მაინც არის ნამყოფი საგასტროლოდ... ჩატარებული აქვს ორი ათასზე მეტი კონცერტი.

ბოლო ორი საგასტროლო ტურნე მოიარა საესტრადო ანსამბლით „ესტრადაზეა საქართველოს ახალგაზრდობა“, რომლის მხატვრული ხელმძღვანელიც და კონცერტის წამყვანიც თვითონ იყო...

ქართლოსი გამოჩნდა ეკრანზეც. მისი დათო („განაჩენი“), არქიტექტორი („აბეზარა“), ფოტოკორესპონდენტი სირბილაძე („თოჯინები იცინიან“), მზარეული („უდიპლომო სასიძო“), მამა („იყიდეთ იაფად“), მაყურებელს სიცილის გუნებაზე აყენებს. მოსკოვის ერმიტაჟის თეატრში მაყურებლის წინაშე ქართლოსმა დიდი სიყვარული დაიმსახურა. იგი არასოდეს არ ხმარობს გრიმს. უცებ შეიცვლის სახეს და თქვენს წინაშე ხან დამთხვეული ჰიტლერია, ხან დე-გოლი, ხან


ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე მაკედონელი, ხან ნაპოლეონი. რაში სჭირდება ქართლოსს ნიღაბი, გრიმი, პარიკი, როცა მისი სახის ყოველი ნაკვთის თვითეული მოძრაობა და ვარცხნილობის ოდნავი შეცვლაც სულ ახალ-ახალ შთამბეჭდავ სახეებს ქმნის.

ქართლოსი მრავალმხრივი ნიჭის პატრონია; იგი ავტორია იუმორისტული ნაწარმოებების, ლექსების, მინიატურების; ის ხატავს, სიმღერებსაც ქმნის. მას შესწევს ნიჭიცა და ძალაც სიხარულის ნათელი მოჰფინოს მსმენელთა და მაყურებელთა გულებს, სიამე ჰოჰფინოს მათ, სიცოცხლითა და ხალისით აღავსოს ისინი... ამიტომაც უყვარს ქართლოსი ყველას, ვისაც უნახავს და ვისაც მოუსმენია, ამიტომაც ეძახიან მას „ჩვენს ქართლოსს“.

მოსე ქარჩავა

# დირექტორის კაცი

იუმორი



## იანუშ ოსენკა

(პოლონეთი)

— დაბრძანდით, პან პაზერეკ!

პაზერეკი დაჯდა.

— რა არის ახალი? — ჰკითხა დირექტორმა.

პაზერეკმა მოწიწებით დაიწყო:

— ვერ წარმოიდგენთ რა გაბედა კამინსკიმ. მან თქვენზე თქვა — პან დირექტორი იდიოტიაო! — პაზერეკმა თვალები დახარა და გაჩუმდა.

— კიდევ რაო?

— დანარჩენებიც ასევე ამბობენ. სკაფარონსკი ამტკიცებს, რომ პან დირექტორი ხრიკებს აწყობსო, ხოლო ვრონსკი პან დირექტორს რეგვენსა და ღორს უწოდებს.

— როგორ, როგორ? — დაინტერესდა დირექტორი, — კარგად გაიხსენეთ!

პაზერეკმა თვალებზე ხელები აიფარა და ერთ წამს ჩაფიქრდა.

— არა, — თქვა მან მცირეოდენი ფიქრის შემდეგ, — თუ ზუსტად ვიტყვით, მაშინ მან პან დირექტორს რეგვენი და ტალახიანი ღორი უწოდა.

— რატომ ტალახიანი? — შეწუხდა დირექტორი.

— რა ვიცი, — მიუგო პაზერეკმა და მხრები აიჩეჩა — მე თვითონაც მიკვირს.

დირექტორმა მაგიდაზე თითები ააკაკუნა.

— შემდეგ...

— პავლიცკი პან დირექტორს სულელს უწოდებს, — განაგრძო პაზერეკმა, — ვალიგურსკიმ ასე თქვა პან დირექტორზე... — პაზერეკმა ბლოკნოტში ჩაიხედა: — „ტუტუცი, მამაძაღლი და თაღლითი“.

— ცოტა ჩუმათ ილაპარაკეთ, თუ შეიძლება, — დაისისინა დირექტორმა.

— „ტუტუცი, მამაძაღლი და თაღლითი“, — ჩურჩულით გაიმეორა პაზერეკმა.

— იქნებ მან უბრალოდ „ხულიგანი“ თქვა? — იმედით ჰკითხა დირექტორმა.

— არა, არა! ამაში ეჭვი ნუ შეგეპარებათ! სიტყვა „თაღლითი“ მე სპეციალურად რამდენჯერმე გავიმეორე ჩემთვის, რომ არ დამვიწყებოდა. ეს ფრაზა მთლიანად ასე ჟღერდა: „ეს თაღლითი ციხის ღირსია“.

დირექტორმა მძიმედ ამოიხვნეშა.

— ზაგვოჟინსკიზე რაღას იტყვი, — გაიხსენა მან, — მგონი ისიც ჩემზე რაღაცას ყბედობს?

— არაფერი არ ვიცი, ის ხომ შვებულებაშია.

პაზერეკმა ბლოკნოტი ამოიღო და გადაშალა.

„— ბებერი ჩერჩეტი“, — ამოიკითხა მან, — ეს უკვე მოგახსენეთ, კოვალსკაიამ თქვა. „—კარგი იქნება, თუ აქედან გააძევებენ“, — ეს მალინოვსკაიას სიტყვებია. „კრეტინი და უშნო ამპარტავანი“, — ეს კულიკოვსკის ფრაზაა. „კარიერისტი“ — ეს ახალმა თანამშრომელმა თქვა საგეგმო განყოფილებიდან, გვარი დამავიწყდა. აი სულ ეს არის, მგონი ყველაფერი გითხარით.

დირექტორი მძიმედ სუნთქავდა.

— გმადლობთ, პან პაზერეკ!

— არაფერს, პან დირექტორო...

პაზერეკი თითის წვერებზე შემდგარი გამოვიდა დირექტორის კაბინეტიდან. დერეფანში, როგორც ყოველთვის, თანამშრომლები ერთმანეთში საუბრობდნენ. მიუახლოვდა თუ არა მათ, პაზერეკმა უდარდელად ჩაულაპარაკა:

— ჩვენი მტერი დღესაც უხასიათოდ არის...

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

# ვერცხლისფერი ბუშტულების საიდუმლოება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უხილავი მტერი

საუკუნეების მანძილზე ადამიანები მრავალ გაუთვალისწინებელ საფრთხეს აწყდებოდნენ ზღვებში, ოკეანეებსა და მდინარეებში, მაგრამ ასეთ ძლიერსა და ვერაგ მტერს ისინი ჯერ არ შეხვედრიან. ვინ მოთვლის რამდენი საზრუნავი და სადარდებელი გაუჩინა, რამდენი ზიანი მიაყენა მათ ამ უხილავმა და ულმობელმა მოწინააღმდეგემ!

...აი, ნავსადგურში რატომღაც ზღვიდან ამოუწევიათ წყალქვეშაფრთებიანი ხომალდი „რაკეტა“. შეფიქრიანებული ტექნიკოსების ჯგუფი მის ხრახნთან დახრილა. ჯერ კიდევ სრულიად ახალი, იგი თითქმის მთლიანად დაუხრავს და დაუფლეთია რაღაც უხილავ ძალას. ხრახნი გამოცვალეს, მაგრამ ერთი თვის შემდეგ იგივე ისტორია გამეორდა: მის ზედაპირს ისევ გაუჩნდა მომაკვდინებელი იარები.

...ვოლგის ჰიდროელექტროსადგურში მოულოდნელად გააჩერეს გიგანტური აგრეგატი. ტურბინის ფრთებსა და სამუშაო კამერის ფოლადის კედლებს ნგრევისა და დაშლის საოცარი კვალი დამჩნეოდა. ტურბინას, რომელსაც თითქოსდა საუკუნეები უნდა გაეძლო, წელიწად-ნახევარიც კი არ უმუშავია.

მაღალმთიან ჰიდროსადგურებში, სადაც წყლის მძლავრი ნაკადი უფრო სწრაფად აბრუნებს აგრეგატებს, მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალოა. ტურბინების ფრთები იქ მწყობრიდან გამოდიან ყოველ ორ-სამ კვირაში. როგორც სასაკლაოზე, ისე ეზიდებიან აქ ახალ-ახალ ტურბინებს. ყველაზე უმტკიცესი ფოლადიც, რომელსაც შეუძლია გაუძლოს ყუმბარის აფეთქებას, ვერაფერს ხდება ამ უხილავ ძალასთან. მარტო ერთი ტურბინის ფრთებისა და სამუშაო კამერის შედუღება-შეკეთება მოითხოვს ელექტროშემდუღებელთა მრავალათასსაათიან მძიმე შრომას. აგრეგატის შეკეთება 30-40 დღე გრძელდება. იკარგება 700-900 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, ნიავდება 3-4 მილიონი მანეთი და ეს მარტო ერთი ტურბინის შეკეთებაზე. ახლა წარმოიდგინეთ ჩვენი დანაკარგი მთელი ქვეყნის მასშტაბით!

განა რას წარმოადგენს ეს ბოროტი ძალა, რომელსაც ვერ უძლებს ხომალდების ხრახნებისა და ტურბინების ფრთების ფოლადის ჯავშანი?

## საიდუმლოებას ფარდა ეხდება

ამ უხილავსა და ულმობელ მტერს კაცობრიობა ჩვენი საუკუნის დასაწყისში შეხვდა, თუმცა იგი არსებობდა იმ დღიდან, რაც დედამიწაზე ზღვები და მდინარეები გაჩნდნენ. მღვრიე ტალღებისაგან დამსხვრეულნი ინთქებიან ზღვის სიღრმეებში პიტალო კლდეები; არც თუ ისე დიდი ხნის წინათ თვლიდნენ, რომ ყოველივე ამის ჩამდენი ზღვის ბობოქარი ტალღები იყვნენ. ახლა კი მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ტალღები თავისთავად ბევრი არაფრის შემძლენი არიან და ამ კოლოსალური ნგრევის ერთი მეათედიც კი არ მოდის მათზე.

მაშ ვინღაა ის ვერაგი მტერი, რომელსაც აი უკვე ნახევარი საუკუნეა რაც გაშმაგებით ებრძვის მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკური აზრი?

გავიხსენოთ უბრალო ფიზიკური ცდა. მინის ხუფის ქვეშ დავდგათ წყლით სავსე ჭიქა და ხუფიდან ამოვქაჩოთ ჰაერი. ოთახის ტემპერატურაზე წყალი ადუღდება. სიცარიელეში, წნევის დაქვეითებასთან ერთად, სითხე „იფლითება“, გადაიქცევა უწვრილეს ვერცხლისფერ ბუშტულებად. სწორედ ეს, ერთი შეხედვით მეტად უვნებელი ბუშტულებია ის ბოროტი ძალა, რომლებმაც სასოწარკვეთილებამდე მიიყვანეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მეცნიერები. ამ ბუშტულების, ანუ სიცარიელეების წარმოქმნისა და გაქრობის პროცესს სწავლულებმა უწოდეს კავიტაცია, ლათინური სიტყვიდან „კავიტას“ — სიცარიელე.

დაახლოებით მსგავსი რამ ხდება წყალში ხრახნის ან ტურბინის ფრთის სწრაფი მოძრაობის დროსაც. წარმოიქმნება წნევის დაკარგვა-აღდგენის პროცესი, სითხე „იფლითება“, ჰიდრავლიკური დარტყმები ზედიზედ ატყდებიან თავს ლითონის ზედაპირს. ისინი ამსხვრევენ რომელიც გნებავთ შენადნობის მიკროსტრუქტურას, გლეჯენ, ხრავენ მის ნაწილაკებს. კავიტაცია ლითონებისათვის ბევრად უფრო საშინელი მტერი გამოდგა, ვიდრე კოროზია. სწორედ ამ ვერცხლისფერი ბუშტულების მირიადები ანგრევენ მიუვალ კლდეებსა და გრანიტის პიტალოებს.

## პირველი შეტაკება

თითქმის არც ერთ სამეცნიერო-ტექნიკურ დარგში არ წარმოებულა ბრძოლა ასეთი შემოვლითი მანევრებით, ასეთი უზარმაზარი თანხების, მასალებისა და ენერგიის დახარჯვით, როგორც წარმოებდა ბრძოლა კავიტაციასთან. თავდაპირველად მეცნიერებმა სცადეს მტერს პირისპირ შეტაკებოდნენ. რა საღებავებით, რა ლაქებით, რა პოლიმერული ფირებით არ დაფარეს ჰიდროდეტალების ზედაპირები! მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. ვერცხლისფერი ბუშტულების ჰიდრავლიკური ძალა ადრე თუ გვიან მაინც იჭრებოდა ლითონის სიღრმეში. მაშინ დაიწყეს შემოვლითი გზების ძებნა.

ყველაზე იოლი გამოსავალი იყო მბრუნავი ხრახნებისა და ჰიდროტურბინების ფრთების სიჩქარის შემცირება. მაგრამ მაშინ მკვეთრად ეცემოდა მათი სიმძლავრე. მაშასადამე, უნდა გადიდებულიყო ხრახნებისა და აგრეგატების ზომა. ამ თითქოსდა ლოგიკურმა გადაწყვეტილებამ ჰიდრომშენებლები ახალ ჩიხში მოამწყვდია.

მაგალითად, თანამედროვე ჰიდროტურბინი თავისი სიდიდით ოთხ-ხუთსართულიან შენობას უტოლდება. მისი ღერძი წამში მხოლოდ ერთ ბრუნვას აკეთებს, მაგრამ ოდნავ გადიდდება თუ არა ბრუნვის რეჟიმი, კავიტაცია მაშინვე გლეჯს და ასახიჩრებს მის ფრთებსა და კედლებს.

რა ვიღონოთ? ავაგოთ კიდევ უფრო დიდი ზომის აგრეგატები? მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი საზღვარი აქვს? ნუთუ მეცნიერება აქაც ჩიხში მოემწყვდა?

## მეცნიერებას კარნახობს... დელფინი

დიახ, რაც არ უნდა დაუჯერებელი ჩანდეს ეს ამბავი, სწავლულებს გამოსავალი დელფინმა უკარნახა.

რამდენიმე წლის წინათ კავიტაციასთან ბრძოლის საკითხს ხელი მოჰკიდა ურალის პოლიტექნ. ინსტიტუტის პროფესორმა ივანე ბოგაჩოვმა. მან როგორღაც ყურადღება მიაქცია ასეთ თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტს: დელფინები ზღვის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფმავალი მცხოვრებნი არიან. წარმოუდგენელი სისწრაფით — 10 მეტრი წამში — მოძრაობენ ისინი წყალქვეშ. მათი სხეულის ზედაპირზე წარმოიქმნება უდიდესი ძალის კავიტაციური ქარიშხლები. დელფინის ნაცვლად რომ აგრეგატი ყოფილიყო, იგი თვალისდახამხამების უმალ განადგურდებოდა. მაგრამ დელფინები მათ აინუნშიც არ აგდებენ. ბუნებამ ისინი რაღაც საიმედო ფარით უზრუნველყო.

და აი, პროფესიით მეტალურგმა ბოგაჩოვმა დახმარებისათვის მიმართა ჯერ ჰიდრავლიკას, მერე კი ბიოლოგიას. დელფინის ტყავის შესწავლამ ცხადყო, რომ კავიტაციური დარტყმების დროს მისი განსაკუთრებული აღნაგობა საიმედო ამორტიზატორის როლს ეწევა. ტყავი თითქოსდა ახშობს მათ.

შეიძლებოდა თუ არა ფოლადის ისეთი სტრუქტურის შექმნა, რომელიც მიახლოვებით მაინც დაემსგავსებოდა დელფინის ტყავის მიკროაღნაგობას, სიმტკიცით არ ჩამოუვარდებოდა ალმასს, ხოლო ელასტიურობით — რეზინს? ეს საოცრად მაცდუნებელი და თითქმის აუხდენელი ოცნება იყო მეცნიერისათვის.

ი. ბოგაჩოვმა და მისმა თანაშემწეებმა დაიწყეს ლაბორატორიული კვლევა. სპეციალურ სტენდზე, რომელზეც განსაკუთრებული ინტენსივობის კავიტაციები იქმნებოდა, ცდიდნენ სხვადასხვა ლითონის შენადნობთა ასობით ნიმუშს. აღმოჩნდა, რომ კავიტაცია სხვადასხვა ლითონზე სხვადასხვაგვარად მოქმედებდა. ჰიდრავლიკური დარტყმები ერთზე მთლიანად გლეჯდნენ ნაწილაკებს, სხვებზე კი თვით ნაწილაკებს შლიდნენ. შედეგი კი ერთი და იგივე იყო: ფოლადი ილუპებოდა.

ასე მისდევდა ერთმანეთს ძიებანი, ცდები, იმედგაცრუებანი...

და აი, ერთ ჩვეულებრივ დღეს ლაბორატორიის მაგიდის მიხაზე გაიწკრიალა ფოლადის ფირფიტამ. ამ ფირფიტამ გაიარა კავიტაციური ქარიშხლებით ყველაზე მკაცრი გამოცდა, მაგრამ მის სარკისებურ ზედაპირს განვლილი ბრძოლის კვალიც არ აჩნდა. ეს იყო პირველი წარმატება, პირველი მრავალი წლის თავაუღებელი მუშაობის განმავლობაში.

## ბრწყინვალე გამარჯვება

რით განსხვავდება ეს ფირფიტა თავისი წინამორბედებისაგან, რომლებიც კავიტაციასთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპნენ? ახალი შენადნობის სტრუქტურა მკვეთრად განსხვავდება ყველა დანარჩენი შენადნობისაგან: ეს არის ერთმანეთზე უცნაურად ახორხლილი ე. წ. მარტენსიტული ნემსები. სწორედ ეს ნემსები იცავენ ფოლადის ზედაპირს მრისხანე ბუშტულების შემოტევისაგან. ისინი ფოლადის ზედაპირზე ჰქმნიან ისეთ მოხატულობას, როგორსაც ქმნის ყინვა ფანჯრის მინაზე.

ბუშტულებისა და ნაწილაკების ბრძოლა დაახლოებით ასე მიმდინარეობს: ბუშტულა დაეჯახა ნაწილაკს, აფეთქდა და თავს დაატეხა ჰიდრავლიკური დარტყმა, მაგრამ ნაწილაკს ეს დარტყმა ვეღარაფერს აკლებს. დარტყმის ზემოქმედებით იგი გამოისვრის კრისტალურ ნემსს. რაც უფრო ხშირია დარტყმები, მით უფრო გრძელია ნემსები. ისინი იზრდებიან, ჰკვეთენ ერთმანეთს და როგორც ბექთარით, ისე ფარავენ ლითონს. ამ ბექთართან კი ბუშტულები ვეღარაფერს ხდებიან — ისინი ცურდებიან მისი ზედაპირიდან.

შემდგომმა გამოცდებმა სწავლულებს დაანახვეს ახალი ფოლადის ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი თვისება: კავიტაციის დარტყმებისაგან იგი კიდევ უფრო მტკიცდებოდა და იწრთობოდა.

ეს იყო ბრწყინვალე გამარჯვება ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი უშესანიშნავესი მეცნიერულ-ტექნიკური აღმოჩენა!..

ამ ღირსშესანიშნავ დღიდან თითქმის სამმა წელმა განვლო. კავიტაციის გამძლე ფოლადის წარმოება აითვისა ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭომ. უკვე დიდი ხანია მუშაობს ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურში ამ ფოლადით დაცული აგრეგატი. ფრთებსა და კამერის კედლებზე უბრალო განაკაწრსაც ვერ შეამჩნევთ, მაშინ როცა ჩვეულებრივი ფოლადისაგან დამზადებული მეზობელი აგრეგატები ყოველ 6-8 თვეში მაინც ჩერდებიან შესაკეთებლად.

შორს არ არის ის დრო, როცა ეს საოცარი ჯავშანი, ადამიანის აზრისა და ლითონის ჭეშმარიტი შენადნობი, საიმედოდ დაიცავს თანამედროვე ტურბინების, ხომალდებისა და სხვა მანქანების დეტალებს.







# ელზა ბასკოლეიტი

ნოველა

## ჰაინრიხ ბიოლი

სახლის სარდაფში, რომელშიაც ჩვენ ოდესღაც ვცხოვრობდით, მედუქნე ბასკოლეიტი ვაჭრობდა. დუქნის კართან ყოველთვის ვაშლით სავსე ყუთები ეწყო და ეზოში დამპალი ხილის სუნი იდგა. დამპალი ხილი ბასკოლეიტს გარეთ იმიტომ გამოჰქონდა, რომ მენაგვეებს წაეღოთ. სარდაფის სარკმლიდან ხშირად გაიგონებდით მედუქნის წუწუნს — იგი მძიმე დღეებს უჩიოდა, თუმცა ბუნებით მხიარული კაცი იყო. ჩვენ, ბავშვებმა ეს კარგად ვიცოდით; ისიც ვიცოდით, რომ მისი წუწუნი თამაში იყო; როცა ჩვენ გვებუზღუნებოდა, ამოჰყვებოდა ხოლმე კიბის საფეხურებს, გამოვიდოდა ქუჩაში, იღებდა გატენილი ჯიბეებიდან ვაშლებს ან ფორთოხლებს და ბურთებივით გადმოგვიგდებდა.

ჩვენ ყველაზე მეტად მედუქნის ქალიშვილი ელზა ბასკოლეიტი გვაინტერესებდა. ელზა ბალერინობას აპირებდა. იქნებ ის უკვე ბალერინაც იყო. ყოველ შემთხვევაში, ელზა ბევრს მეცადინეობდა. მეცადინეობდა სარდაფში, პატარა ხუხულაში, რომელიც ბასკოლეიტის სამზარეულოს გვერდით იყო; სარდაფის კედლები ყვითლად ბზინავდა. ელზა ქერათმიანი, ფერმკრთალი, ტანწერწეტა ქალიშვილი გახლდათ. მწვანე ტრიკო ეცვა. მუდამ ფეხის წვერებზე იდგა — ან გედივით დაფრინავდა, ტრიალებდა, ხტოდა და ყირაზე დგებოდა.

ღამით ჩემი ოთახის ფანჯრიდან ვუყურებდი მწვანედ შემოსილ მის ტანს, ფერმკრთალ, დაღლილ-დაქანცულ სახეს და ქერათმიან თავს. ხანდახან, ახტომისას, თავით ნათურას წამოედებოდა ხოლმე. ნათურა ქანაობდა, ირწეოდა და სანთლის ყვითელი წრე ეზოს ერთი წამით უფრო ძლიერ ანათებდა. ჩვენი სახლის ზოგი მდგმური, დაინახავდა თუ არა ელზას, კახპაო, დაუძახებდა ეზოდან. არ ვიცოდი, რას ნიშნავდა კახპა. სხვები „საძაგლობაა!" იძახდნენ. საძაგლობის მნიშვნელობა მგონი, მესმოდა, მაგრამ არა მჯეროდა, რომ ელზასა და საძაგლობის შორის რაიმე საერთო იყო. აყვირდებოდნენ თუ არა ავყია მეზობლები, მაშინვე გაიღებოდა ბასკოლეიტის სამზარეულოს სარკმელი და უეცრად გამოჩნდებოდა მედუქნის მელოტი, დიდი თავი და, შუქთან ერთად, სარკმლიდან, ბნელ ეზოში უხვად იღვრებოდა ლანძღვა-გინება, რომლის არც ერთი სიტყვის აზრი მაშინ არ მესმოდა.

მალე ელზას ოთახის სარკმელს ფარდა ჩამოაფარეს, სქელი, მწვანე ხავერდოვანი ფარდა, რომელსაც სინათლე ძლივს ატანდა. მე მაინც ყოველ საღამო ვუცქერდი მკრთალად მოლიცლიცე ფარდას, მიუხედავად იმისა, რომ ელზას ვერ ვხედავდი — გამხდარს, ქერათმიანს, გედივით რომ დაფრინავდა ნათურის შუქზე ხუხულაში.

მალე ჩვენ ბინა გამოვიცვალეთ და სხვა სახლში გადავედით. გავიდა ხანი. გავიზარდე. გავიგე, რას ნიშნავდა კახპა, საძაგლობა. ვხვდებოდი ბალერინებს, მაგრამ არც ერთი ისე არ მომწონდა, როგორც ერთ დროს მომწონდა ელზა ბასკოლეიტი.

ჩვენ მეზობელ ქალაქში გადავსახლდით. დაიწყო ომი, მძიმე და ხანგრძლივი. აღარ მეცალა ელზაზე საფიქრელად, არც მაშინ მომგონებია, ჩვენს ქალაქში რომ დავბრუნდით. ბევრი ხელობა გამოვიცვალე ამ ხნის განმავლობაში და, ბოლოს, ხილით ბითუმად მოვაჭრეს დავუდექი შოფრად. ყოველ დილით მივიღებდი სიას, ჩავიბარებდი ვაშლითა და ფორთოხლით სავსე ყუთებს, ქლიავით სავსე კალათებს და გავყვებოდი გზას ქალაქისაკენ.

ერთხელ, სიის მიხედვით რომ ვსინჯავდი, თუ რას მიტვირთავდა საწყობის გამგე, ბუღალტერი გამოვიდა თავისი კაბინიდან, რომელიც რეკლამების პლაკატებით იყო აჭრელებული.

— შეგვიძლია, ბასკოლეიტს საქონელი წავუღოთ? — ჰკითხა ბუღალტერმა საწყობის გამგეს.

— შეგვიკვეთა განა? შავი ყურძენი ხომ არ უნდა?

— დიახ, — მიუგო ბუღალტერმა, ყურზე შემოდებული ფანქარი გამოიძრო და გაკვირვებით შეხედა საწყობის გამგეს.

— დროდადრო, — უთხრა საწყობის გამგემ ბუღალტერს, — ბასკოლეიტი ერთბაშად გვიკვეთავს საქონელს და რატომღაც ყოველთვის შავ ყურძენს, მაგრამ ვერ ვაწვდით ამ საქონელს. აბა, ფრო ბარდა და პარკში ჩაყარა. ამას რომ აკეთებდა, ხელები უცახცახებდა.

— ქალიშვილი გარდამეცვალა, — წარმოთქვა ისევ ბასკოლეიტმა.

ქალი ხმას არ იღებდა.

მიმოვიხედე. გარშემო მტვრით დაფარული მაკარონის პარკები ეწყო და იდგა ძმრით სავსე დიდი კასრი, რომლის ონკანიდან წვრილად უჟონავდა ძმარი. მომინანქრებული აბრიდან ქერათმიანი მომღიმარი ბიჭუნა მიცქეროდა, შოკოლადს ჭამდა. დიდი ხანია შოკოლადის ხსენებაც აღარ იყო ქვეყნად.

ქალმა ძმრიანი ბოთლი ჩანთაში ჩადო, ზუმფარით სავსე პარკიც იქ მოათავსა და ფული დახლზე დააგდო. გვერდით რომ ჩამიარა, გამიღიმა და შუბლზე მსუბუქად მიიკაკუნა თითი.

ვიდექი და ვფიქრობდი იმ დღეებზე, როცა ისეთი პატარა ვიყავი, ცხვირით რომ დახლს ვერ ვწვდებოდი. ახლა მინის ვიტრინას ზევიდან დავცქეროდი. ვიტრინაში ფქვილით სავსე დამტვერილი პარკები ელაგა. უცებ მომეჩვენა, ვითომ დავპატარავდი, ისევ ისეთი გავხდი, ცხვირით რომ ვერ ვწვდებოდი ბინძურ დახლს, ხელში რამდენიმე ფენიგი მეჭირა კამფეტის საყიდლად, დავინახე, როგორ ცეკვავდა ელზა, გავიგონე როგორ ეძახდნენ ეზოდან „კახპას!", საძაგლობაა!". რამდენიმე წუთი ასე გაგრძელდა. მედუქნის ხმამ გამომაფხიზლა.

— ქალიშვილი გარდამეცვალა — მითხრა ანგარიშსწრაფად! — შეუძახა საწყობის გამგემ ნაცრისფერხალათიან მტვირთავებს.

ბუღალტერი კაბინაში შებრუნდა. მე კი, აღარ ვუყურებდი, რას მიტვირთავდნენ. თვალწინ მედგა ბასკოლეიტის მოლიცლიცე სარკმელი, თვალწინ მედგა ელზა, გამხდარი, ფერმკრთალი, მუქმწვანე ტრიკოთი და იმ დილით დანიშნული მარშრუტით აღარ წავედი.

ფანრების ბოძებიდან, რომლებთანაც ჩვენ ვთამაშობდით, მხოლოდ ერთიღა გადარჩენილიყო და ფანარი იმაზედაც არ ეკიდა. სახლების უმეტესობა დაენგრია ყუმბარებს. ანგრეული იყო ქუჩაც. მანქანა ჯაჯგურითა და რახრახით მიიკვლევდა გზას. აქ, სადაც წინათ ბავშვების ტევა არ იყო და მთელი დღე მათი ჟრიამული იდგა, მხოლოდ ერთი ბიჭი დავინახე — ფერმკრთალი, სუსტი. ჩამოქცეული კედლის ნანგრევ-ნამსხვრევებში ჩაცუცქულიყო და დაქანცული გამომეტყველებით მტვერში რაღაცას ხაზავდა. გვერდით რომ ჩავუარე, თავი ასწია, მაგრამ მერე ისევ ჩაღუნა.

მანქანა ბასკოლეიტის დუქნის წინ დავამუხრუჭე და გადმოვედი. დუქნის პატარა ვიტრინა მტვრით იყო დაფარული, მუყაოს პირამიდები დანგრეულიყო. თავი ავწიე და სახლის შეკეთებულ კედლებს შევხედე, მერე მორიდებით შევაღე კარი და ნელა ჩავყევი საფეხურებს.

დანესტიანებული სანელებლების ცხარე სუნი მეცა. შეწებებული, დაგუნდავებული სანელებლები კართან მდგარ ყუთებში ეწყო. ბასკოლეიტი დიდ კასრთან იდგა და ბოთლში ძმარს ასხამდა. ვუცქეროდი მის ზურგს, ქუდიდან გამოჩრილ მის თეთრ თმას და ვგრძნობდი, რარიგ უჭირდა ძმრის გადმოსხმა კასრიდან. მჟავე სითხე თითებზე ექცეოდა, იატაკზე ძმრის გუბე იდგა. სიმყავით გაჟღენთილი, დამპალი ფიცრები მის ფეხქვეშ ყრუდ ჭრიალებდნენ.

დახლის შორიახლო გამხდარი ქალი იდგა, მოწითალო პალტო ეცვა, გულგრილად, მშვიდად უყურებდა მოხუცს. როგორც იქნა, ბასკოლეიტმა ბოთლი გაავსო და საცობი დაუცო. მე გავიმეორე ის, რაც დუქანში შესვლისას ჩუმად ვთქვი:

— გამარჯობათ!

ახლაც არავინ მიპასუხა. მედუქნემ ბოთლი დახლზე დადგა, გაფითრებული, გაუპარსავი იყო. ქალს შეხედა და უთხრა:

— ქალიშვილი გარდამეცვალა, ჩემი ელზა!

— ვიცი, — ხრინწიანი, ჩახლეჩილი ხმით მიუგო ქალმა, — ხუთი წელია ვიცი. ზუმფარა ამიწონე.

— ქალიშვილი გარდამეცვალა, — უთხრა ბასკოლეიტმა. ისე შეჰყურებდა ქალს, თითქოს ელზა ახლახან გარდაცვლილიყოს. შესცქეროდა შეშფოთებული, ჯავრისაგან გაოგნებული.

— ზუმფარის ფხვნილი, ერთი კილოგრამი, — უთხრა ქალმა.

ბასკოლეიტმა დახლიდან კასრი გამოიღო, ლითონის აქანდაზით ამოჩიჩქნა ზუმფარის მონაცრისმიუცემლად. ვიტრინასთან იდგა და ეზოში იხედებოდა.

— ჰო, — ვუთხარი მე.

— აღარა მყავს ჩემი ელზა!

— ჰო, — გავიმეორე ყრუდ.

ბასკოლეიტი ჩემკენ ზურგშექცევით იდგა. ხელები დალაქავებულ ხალათის ჯიბეებში ეწყო.

— ელზას ყურძენი უყვარდა... შავი ყურძენი, მაგრამ ელზა აღარა მყავს.

ბასკოლეიტს არ უკითხავს, რა გნებავთო, ან, რით შემიძლია გემსახუროთო. ვიტრინასთან იდგა, ძმრის კასრის გვერდით. კასრის ონკანიდან ძმარი ჟონავდა და დამპალ იატაკზე ეცემოდა. „ქალიშვილი გარდამეცვალა... აღარა მყავს ჩემი ელზა", იმეორებდა მედუქნე.

მეგონა, დიდხანს ვიდექი იქ, მივიწყებული, დაკარგული, და დრო ჩემს მიღმა მიდიოდა თავისი გზით. დუქნიდან გამოსვლა რომ დავაპირე, კიდევ ერთი ქალი შემოვიდა. ტანდაბალი, მსუქანი ქალი იყო. ბასკოლეიტი იმ ქალისკენ მიბრუნდა და უთხრა:

— ქალიშვილი გარდამეცვალა.

— ჰო, — თქვა ქალმა და ატირდა, — თუ შეიძლება, კილოგრამი ზუმფარის ფხვნილი ამიწონეთ! — უთხრა მედუქნეს.

ბასკოლეიტი დახლთან მივიდა და ლითონის აქანდაზით კასრში ზუმფარის ჩიჩქნა დაიწყო. დუქნიდან რომ გამოვდიოდი, ქალი ისევ ტიროდა.

ფერმკრთალი, სუსტი ბიჭი, რომელიც წეღან კედლის ნანგრევ-ნამსხვრევებში იყო ჩაცუცქული და მტვერში რაღაცას ხაზავდა, ჩემი მანქანის საფეხურზე იდგა, საჭეს ათვალიერებდა, მერე ღია სარკმელში ხელი შეჰყო, ჯერ მარჯვენა ფარი აანთო, მერე მარცხენა. ბიჭმა დამინახა და შეეშინდა. მივედი, ხელში ავიყვანე, დავაცქერდი მის ფერმკრთალ, შეცბუნებულ სახეს. ძარაში მდგარი ყუთიდან ვაშლი ამოვიღე და ხელში ჩავუდე. ბავშვმა გაოცებით შემომხედა, ისეთი გაოცებით, რომ შევკრთი. ძირს დავსვი და კიდევ მივეცი ვაშლი, ჯიბეები ვაშლით გავუვსე, უბეშიაც ჩავუყარე და მხოლოდ ამის შემდეგ ჩავჯექი მანქანაში და წავედი.

თარგმნა გრ. ჩიქოვანმა.



# სოფიო ამირეჯიბი



ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფიო ამირეჯიბს ჩვენი მკითხველი ნაკლებად იცნობს; ეს იყო ძალზე საინტერესო პოეტი-ქალი, რომელიც, იმავე დროს, ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა. მან არა ერთი ქართველი პოეტის ნაწარმოები გააცნო რუს მკითხველს; მისი თარგმანების კრებულმა თავის დროზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

სოფიო იყო მეუღლე კავკასიის ომების გამოჩენილი გმირის მ. ამირეჯიბისა და დედა ცნობილი ქართველი პროფესორის კოტე ამირეჯიბისა.

წარმოშობით სოფიო არღუთინსკების გვარს ეკუთვნოდა. არღუთინსკები—არღუთაშვილები უძველეს დროიდან თბილისის მკვიდრნი იყვნენ. ისინი მუდამ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში. სოფიო დაიბადა ამ გვარის შთამომავლის—ვასილ არღუთინსკის ოჯახში, 1847 წლის 1 ოქტომბერს.

დაწყებითი განათლება სოფიომ სახლში მიიღო. შემდეგ, ცამეტი წლის ქალიშვილი ფაბრის პანსიონში მიაბარეს; აქ მან სულ რაღაც წელიწადნახევარი დაჰყო. ამის შემდეგ იგი სახლში განაგრძობდა მეცადინეობას.

სიყვარული პოეზიისა და ხელოვნებისადმი სოფიო ამირეჯიბს ბავშვობიდანვე გაეღვიძა. ლექსების წერა მან სომხურ ენაზე დაიწყო, სულ მალე ბრწყინვალედ შეისწავლა ქართული, რუსული, ფრანგული ენები.

პოეტი ქალი მუდამ ახლო იყო იმ დროის მოწინავე საზოგადოებასთან, დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი მისი უახლოესი მეგობარი და მისი ლიტერატურული ნაწარმოებების პირველი შემფასებელი იყო.

ჩუმ, უპრეტენზიო პოეტ ქალს აკაკიმ შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა:

სხვებმა უმღერონ ვარდ-ბულბულს,
ადიდონ ლომი ძლიერი,
თვალ-მარგალიტით შეამკონ,
მშვენიერება ციური,
სხვა არის ჩემი გალობის
და ჩემი ჭანგის საგანი
პატარა ბუზი... ფუტკარი
იობის ჭიათაგანი.

სოფიო ამირეჯიბის სახით პოეტი ხედავდა ხალხის მოსიყვარულე, გულისხმიერსა და შესანიშნავ ადამიანს; ეს ასეც იყო, სოფიო მუდამ იმას ცდილობდა, რომ დახმარებოდა დაჩაგრულ ხალხს.

სოფიო როდი სჯერდებოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, ის პრაქტიკულადაც ცდილობდა შეემსუბუქებინა დატანჯული ხალხის ცხოვრება. ამ მიზნით ახალგაზრდა ქალი ხშირად ჩადიოდა სოფელში, შემოირბენდა გლეხების ოჯახებს, ვის ფეხსაცმელით, ტანისამოსით ეხმარებოდა, ვის ფულით და წამლით. ის იყო დაუღლელი მზრუნველი და გულშემატკივარი გლეხებისათვის, აქეზებდა მათ თავიანთი შვილები სასწავლებლებში მიებარებინათ.

განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო მან სოფელ ავლევში ექვსკლასიანი სასწავლებლის დაარსების საქმეს. მას მხარში ედგა მისი შვილი კოტე ამირეჯიბი.

ეს იყო ერთადერთი კეთილმოწყობილი სკოლა მთელ ფრონის ხეობაში; გარდა ზეინკლების და აგრონომებისა, ამ სასწავლებლიდან გამოდიოდნენ ჭრა-კერვის მცოდნე სპეციალისტი ქალები.

სოფიო ამირეჯიბმა უფრო ფართო ყურადღება მიიქცია მის შემდეგ, როცა „კავკაზსკი ვესტნიკის“, „არგონავტის“, „ნოვოე ობოზრენიეს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მისი თარგმანები.

თავდაპირველად, როგორც უკვე ვთქვით, სოფიო ორიგინალურ ლექსებსაც წერდა; ეს ლექსები გამსჭვალული იყო ნაზი ლირიკული განწყობილებებით, მაგრამ რატომღაც თვითონ ავტორს არ უცდია მათი გამოქვეყნება.

ნამდვილ წარმატებასა და ლიტერატურულ აღიარებას მან ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებების თარგმნით მიაღწია. ამ საქმეს მან მთელი გატაცებით მოჰკიდა ხელი. მაგრამ, ცხადია, მარტო აქ ვერაფერს გააწყობდა, რომ მას ამ საქმეში არ დახმარებოდა ქართული ლიტერატურის დიდი მოამაგე ალ. ხახანაშვილი.

1901 წელს სოფიო ამირეჯიბი ალ. ხახანაშვილს წერდა მოსკოვში:

„ყოვლად პატივცემულო, დაუვიწყარო ალექსანდრე სიმონის-ძევ!

თუმცა დიდიხანია აღარ მინახავხართ და უკანასკნელ ნახვაზე მოსკოვში ცრუ თავმოყვარეობით, ვითომ პოეტისა, მგონი ისე გაწყენინეთ, რომ იქნებ დავიწყებას მიმეცით და ახლა არც ჩემი თავის მოგონება გესიამოვნებათ, მაგრამ თქვენ, რომელიც ბრძანდებით სამაგალითო ერთგული შვილი თქვენი ქვეყნისა, ამ საერთო საქმის გამო მაპატიებთ და მომიგონებთ, როგორც მე, ისე იმ სასიამოვნო დროსა, როცა შორს ჩვენი ქვეყნიდან ვამაყობდით, ვსაუბრობდით ჩვენს მშობლიურ ლიტერატურაზე, რომელმაც მე აღმავსო სიამოვნებით და აღმაფრინა ცრნებით და ზოგჯერ გულის ჯავრიც გამიქარვა.

რაც მოსკოვს გავშორდი, ბევრი ვიმუშავე და ბევრჯერ ვიყავი სიკვდილის კარსა. მაინც იმედით ვცოცხლობდი და ვცოცხლობ, მანამ დაუნდობელი სენი არ მომიღებს ბოლოს. მსურს გამოვცე ჩემი კრებული და თქვენ უნდა დამავალოთ და მიხედოთ მანდ გამოცემაზე, ესე იგი როგორც ცენზორის მიმართვაზე, ისე დაბეჭდვაზე ჩემის ხარჯით“. (ლიტერატურული მუზეუმი, ალ. ხახანაშვილის არქივი № 161).

ასე ზრუნავდა სოფიო ამირეჯიბი ჩვენი ეროვნული კულტურისათვის, ასე გულწრფელად უყვარდა მას დიდი ქართული მწერლობა და მისი პოპულარიზაციისათვის არც ენერგიას და არც საკუთარ ხარჯებს ზოგავდა.

სოფიო ამირეჯიბის სხვა წერილებიც ალ. ხახანაშვილისადმი გვიდასტურებს, რომ პოეტი ქალი წლობით მუშაობდა ქართველი პოეტების ნაწარმოებთა რუსულ ენაზე სათარგმნელად და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის კრებულის სრულყოფილად გამოცემის საქმეს.

„ყდა ჩემი კრებულისა გამოდის ლამაზი და მსუბუქი.

ზევიდან წარწერა იქნება ოქროს ასოებით „წარსულის მოსაგონებლად“.

მე ძალიან ბევრს ვფიქრობ და ვზრუნავ ჩემი კრებულის გამოცემის ფორმალურ მხარეზე და ბუნებრივად მაგონდება ერთი ანდაზა:—ტანისამოსით მიგილებენ და ჭკუით გაცილებენო—მეც სწორედ ამ გაცილებისა მეშინია, მაგრამ მაინც წინ მივდივარ, არ ვკარგავ გამარჯვების იმედს თქვენი წყალობით.

მოუთმენლად ველოდები თქვენ პასუხს, მანამდე გიგზავნით კიდევ განსახილველად „სადღეგრძელოს“ და „გამზდელს“ (იქვე).

როგორც წერილიდან ვხედავთ, სოფიო თავის თარგმანებს განსახილველად ალ. ხახანაშვილს უგზავნიდა და მხოლოდ მისი კომპეტენტური აზრისა და შენიშვნების შემდეგ თავს ნებას აძლევდა ემუშავა დანარჩენ თარგმანებზე.

ალ. ხახანაშვილი მას ყოველმხრივ უწყობდა ხელს. ადვილი როდი იყო ახალგაზრდა გამოუცდელი ქალისთვის რუსულ ენაზე ეთარგმნა ნ. ბარათაშვილის „ფიქრი მტკვრის პირას“, გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“, ი. ჭავჭავაძის „დედა და შვილი“, „ელეგია“, აკ. წერეთლის „თორნიკე ერისთავი“ და „გამზრდელი“, ვაჟა-ფშაველას, რ. ერისთავის, ი. ევდოშვილის ნაწარმოებები. მთარგმნელმა ქალმა კარგად გაართვა თავი აღებულ ამოცანას. მის თარგმანებში ქართული პოეზია ამეტყველდა მთელი შინაგანი ძლიერებით, მან თარგმანებს შეუნარჩუნა ეროვნული კოლორიტი, ზუსტად გადმოსცა დედააზრი და მთელი მხატვრული ქსოვილი.

ალ. ხახანაშვილი არა მარტო თავისი პრაქტიკული შენიშვნებით დაეხმარა მთარგმნელს. კრებულში შეტანილ ნაწარმოებებს მან ავტორების მოკლე ბიოგრაფიებიც დაურთო. წიგნში ცხრამეტი პოეტი იყო წარმოდგენილი. გარდა ზემოთჩამოთვლილი მწერლებისა, აქ იყო მიხეილ თუმანიშვილის, მამია გურიელის, დუტუ მეგრელის, ნინო ორბელიანის, დომინიკა ერისთავ-განდეგილის, კატო მიქელაძის, ლ. ციციშვილის ნაწარმოებები.

სოფიო ამირეჯიბის თარგმანების კრებული გამოვიდა ასეთი სათაურით: „Сборник стихотворений грузинских поэтов в русском переводе княгини С. В. Амиреджиби“.

წიგნი დაიბეჭდა 1909 წელს, პოეტი ქალის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ. ალ. ხახანაშვილმა აქაც შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა; როცა კრებული გამოსაცემად მომზადდა, წიგნს წინ დაურთო თავისი შესანიშნავი წერილი გარდაცვლილი პოეტი-ქალის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

„ეს იყო ფაქიზი, მგრძნობიარე, იშვიათი გულისხმიერი ქალი,—წერდა ალ. ხახანაშვილი,—იგი გულწრფელად სარგებლობდა ყველას ყურადღებითა და სიყვარულით. სოფიო ამირეჯიბი მუდამ დაუვიწყარი იქნება ყველა ჩვენთაგანის ხსოვნაში, ვინც მას ცოტად თუ ბევრად ახლო იცნობდა“.

სოფიოს ანდერძი იყო, მისი კრებულის შემოსავალი მთლიანად სკოლების საჭიროებისათვის გადაეცათ.

ქართველმა ხალხმა გულთბილად დაიტირა თავისი საყვარელი პოეტი-მთარგმნელი ქალი. იგი მოსკოვიდან ჩამოასვენეს და დიდუბის პანთეონში მიუჩინეს უკანასკნელი სამყოფელი.

საფლავზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი.

მგრძნობიარე სიტყვებითა და ლექსებით გამოემშვიდობნენ მის ცხედარს აკაკი წერეთელი, კატო მიქელაძე და სხვები. ძალზე ამაღელვებელი იყო გაბრიელ სუნდუკიანის სიტყვა:

„შენ იყავ არაჩვეულებრივად თავმდაბალი და ეს შენი თავმდაბლობა შენს საზოგადოებრივ მოღვაწეობას კიდევ უფრო ამაღლებდა ყველას თვალში, ვინც კი გიცნობდა შენ.

ღარიბი გლეხი, მუშა, ინტელიგენტი—ყველა ესენი შენში ხედავდნენ ნამდვილ გულწრფელ მეგობარსა და ამხანაგს.

შენ დაჯილდოვებული იყავი ნამდვილი პოეტური ნიჭით და შენ ღრმად გწამდა გამაკეთილშობილებელი მნიშვნელობა პოეზიისა ადამიანისათვის“.

მის საფლავზე თავი მოიყარეს ქართველი და სომეხი ხალხების საუკეთესო შვილებმა. სოფიო ამირეჯიბის მთელი ცხოვრება ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცების წმინდა საქმეს ემსახურებოდა.

ნინო ჩიხლაძე
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

# ახალი წიგნები

# ახლობელი და შორეული




სერგო კლდიაშვილი ეკუთვნის სიტყვის იმ გამოჩენილ ოსტატთა რიცხვს, ვინც საფუძველი ჩაუყარეს ახალ ქართულ საბჭოთა პროზას და გაამდიდრეს იგი ჩვენი ეპოქის ამსახველი მოთხრობებითა და რომანებით. ამ წერილში ჩვენ შევეხებით მისი მოთხრობების ახალ კრებულს, რომელსაც „ახლობელი და შორეული" ეწოდება და რომელიც ნათელ და სრულ წარმოდგენას იძლევა მწერლის შემოქმედებითს სამყაროზე.

ს. კლდიაშვილი ხასიათებს წარმოქმნის ნიშანდობლივი იერითა და ელფერით. მისი პერსონაჟები ერთმანეთისაგან მარტო სახელებით როდი განსხვავდებიან, როგორც ეს ბევრს ემართება ხოლმე. ყველა მათგანი ცხოვრებისეული და ჩვენთვის კარგად ნაცნობი ადამიანები არიან.

ს. კლდიაშვილის მოთხრობები გამოირჩევიან უპრეტენზიო სისადავით. მაგრამ ამ სისადავეში არის სიღრმე, ჭეშმარიტება, ის სიბრძნე ცხოვრებისა, რომელიც ყოველ ნამდვილ შემოქმედს გამოარჩევს.

ლიტერატურა ადამიანისმცოდნეობააო, ამბობდა გორკი. ამ მხრივ ს. კლდიაშვილი ადამიანის სულის სიღრმეში ჩაწვდომის ბრწყინვალე ოსტატია. მან შესანიშნავად იცის, თუ რა ამოძრავებს, რა აწუხებს და რა ახარებს მის გმირებს, რომელთაც იგი ძალოვანი სიცოცხლით და განსაცვიფრებელი სისწორით წარმოსახავს; ამის დასადასტურებლად საკმარისია დავასახელოთ მოთხრობა „მინდვრის ყვავილი", რომლის მთავარი მოქმედი პირის სანდრო მინდიაშვილის სულიერ ინტერესს აქტიური მოქმედება შეადგენს.

უსაქმურობა, უმოქმედობა ადამიანს უფრო ღლის და ქანცავს, ვიდრე ცოცხალი და დაუცხრომელი შრომა. ადამიანის ბუნება მოითხოვს ცხოველი მონაწილეობა მიიღოს ცხოვრების მშენებლობაში — აი ამ ნაწარმოების ძირითადი იდეა, გამოთქმული დიდი მხატვრული სიმართლით.

ს. კლდიაშვილის მოთხრობები გამსჭვალულია ჰუმანიზმის მაღალი იდეალებით. მას მთელი არსებით უყვარს ადამიანი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი „ჭინკა ბიჭები". მწერალი ღრმად განიცდის იმ უბედურებას, რაც ომმა მოუტანა ხალხს. მოთხრობა აღბეჭდილია სიცოცხლის უკვდავების იდეით და გამოხატავს იმ აზრს, რომ მომავალში აღარ გამეორდება კაცობრიობისათვის შემაძრწუნებელი ტრაგედია, რომლის ერთ ეპიზოდს წარმოადგენს აქ მოთხრობილი ამბავი.

მოთხრობაში „ნაზოლარა" მწერალი ამხილებს იმ ადამიანებს, ვინც მოსწყდა მიწას, გაექცა მამა-პაპის კერას და იოლი ცხოვრების გზების ძებნა დაიწყო. ამ მოთხრობაში ჩვენს წინაშეა ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ღრმად მოხუცი მამა ღვთის ანაბრად დასტოვა. „კიდევ მადლობა ღმერთს, ყველა ჩემი შვილივით არ არის, — ამბობს მოხუცი, — ზოგ-ზოგი ვინმე, ვინც აქ დარჩა, ურიგოდ არ ცხოვრობს. აგერ, შენც ხედავ ახალი ოდა-სახლები წამოიჭიმა. წინათ რომ ჭრაქით ვიჭყარტლებოდით, ახლა აქაურობა ელექტრონით არის გაჩაღებული. კარგი საქმეა, მარა ბატონო, ეს ხალხი თუ შემოეცალა სოფელს, ვიღას გაუნათოს ელექტრონმა?" ამ კეთილი, სულითა და გულით საყვარელი ადამიანის სიტყვაშია მოქცეული ნაწარმოების ძირითადი აზრი; საერთოდ ამ შესანიშნავი ოსტატის მოთხრობებში ტენდენცია ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, თავისთავად გამოდის ფაბულიდან, რომელზედაც აგებულია მისი ესა თუ ის თხზულება.

დიდ სამამულო ომზე და მის გმირებზე ბევრი რამ არის დაწერილი და მომავალში კიდევ ბევრი დაიწერება. ამ ციკლის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება ს. კლდიაშვილის მოთხრობა „ერთი მოხუცის ამბავი", რომლის მთავარი მოქმედი პირი სასტიკად იძიებს შურს შემოსეულ მტრებზე, რომელთაც მისი პატრიოტული გრძნობა შეურაცხყვეს.

ს. კლდიაშვილი ხშირად გარდასულ ეპოქასაც მიმართავს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მისი „ერისთავი ცოტნე", „დავით გურამიშვილის დღე-ღამე" გარდასულ დროს ეხებიან, თავისი პათოსით თანამედროვეობას ეხმაურებიან. ისინი ისტორიულ ასპექტში ჩვენი წინაპრების დიად გმირულ სულს გამოხატავენ. ამიტომაც ვამბობთ, ს. კლდიაშვილი აქაც წარსულში და წარსულით კი არ ცხოვრობს, არამედ თანამედროვეობის ინტერესებით ცოცხლობს და სუნთქავს.

ს. კლდიაშვილის ამ წიგნში ყურადღებას იქცევენ ნაწარმოებები — „ლექსები იყო მისი საგზალი", „ალექსანდროს სალონი", „დასასრულ ქაიანური", „დიდი გადმოსახლება" და სხვ. აქ ჩვენ ვხვდებით რეალურ პიროვნებებს, ვეცნობით პ. იაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, ტ. ტაბიძის და სხვების ცხოვრებას და მაშინდელ ყოფას. ამ ნაწარმოებებს აქვთ არა მარტო მხატვრული ღირსება, არამედ დიდი შემეცნებითი მნიშვნელობაც. ისინი ნათელს ფენენ ქართული ლიტერატურის გარკვეულ პერიოდს და ერთგვარ დახმარებას უწევენ მკვლევარებს აღნიშნული პერიოდის ლიტერატურის შესწავლის სფეროში.

გამოჩენილ ქართველ კლასიკოსს დავით კლდიაშვილს ერთხელ თავისი შვილისათვის უთქვამს: „გავა დრო, ლიტერატურული სკოლები გაქრებიან, ნაწარმოებიდან კი მხოლოდ ის დარჩება, რაც ადამიანისადმი სიყვარულით არის სავსე". მშობელი მამის ეს შეგონება თავიდანვე ჩვენი მწერლის შემოქმედების ქვაკუთხედად, გზის მაჩვენებლად იქცა.

ამაზე მეტყველებს ს. კლდიაშვილის მოთხრობების ეს კრებულიც.

**ვლადიმერ ჯიბუტი**

# მონოგრაფია გიორგი წერეთელზე

გიორგი წერეთელი

შემოქმედების გზა

1877—1878 წლებში, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო გაფთრებული ბრძოლების ასპარეზად იყო გადაქცეული. თურქებმა გადმოსხეს დესანტი სოხუმსა და ოჩამჩირეში, ბრძოლები მიმდინარეობდა ბათუმისა და ფოთის, ახალციხისა და ახალქალაქის მიდამოებშიც. სწორედ იმ ხანებში გიორგი წერეთელი მოქმედ არმიაში იყო, როგორც პეტერბურგის გაზეთ „გოლოსის" სამხედრო კორესპონდენტი. ის თან ახლდა კავკასიის კორპუსის შტაბს და ხშირად ბრძოლის წინა ხაზზეც იმყოფებოდა. წერილებს, რომლებსაც ის ფრონტიდან უგზავნიდა რუსულ და ქართულ გაზეთებს, მკითხველი ღრმა ინტერესით ხვდებოდა.

და აი, ერთ დღეს თბილისში ხმა გავრცელდა —გიორგი წერეთელი უგზო-უკვლოდ დაიკარგაო.

ქართული საზოგადოებრიობა, ცხადია, დიდად შეაშფოთა ამ ამბავმა. დაიწყეს ძებნა, რომელსაც პირველ ხანებში არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ბოლოს საქმეში კავკასიის მთავარი სამმართველო ჩაერია; და აი, 1878 წლის ივნისში გაზეთ „დროების" ფურცლებზე შემდეგი სტრიქონები დაიბეჭდა:

„ამ დღეებში ქალაქში მოვიდა ნამდვილი ცნობა, რომ გიორგი წერეთელი ამჟამად ტრაპიზონში ყოფილა. უფალ ფრენკელს, „გოლოსის" თბილისელ აგენტს მოსვლია იმისგან დეპეშა, რომელშიც იწერება, აქა ვარო და ფული აქაური იტალიის კონსულის სახელზე გამომიგზავნეთო. ტრაპიზონიდან უფ. წერეთელი არზრუმში აპირებს წასვლას".

ეს ეპიზოდი ნათლად გვიჩვენებს რაოდენ დაუცხრომელი ადამიანი იყო გ. წერეთელი. თურმე ბათუმში ის წარუდგა თურქების სარდალს — დერვიშ-ფაშას და ტრაპიზონს წასვლის ნებართვა სთხოვა. თურქებმა, ცხადია, უარი უთხრეს. მაშინ მან მოახერხა და ფოთიდან სავაჭრო გემით არალეგალურად გაიპარა... მწერლის იმდროინდელი წერილები, რომელიც პირველად აქცია კვლევის საგნად ანდრო ჭილაიამ თავის ვრცელ მონოგრაფიაში „გიორგი წერეთელი", კიდევ ერთხელ ადასტურებენ ამ შესანიშნავი მოღვაწის დაუცხრომელ პატრიოტულ საქმიანობას. მონოგრაფიის ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ყოველივე ეს იყო „მწერლის დიდი პატრიოტული და მოქალაქეობრივი სულისკვეთების მძაფრი გამოხატულება".

და განა მარტო ეს ერთი ამბავი იქცევს ყურადღებას ხსენებულ წიგნში! ანდრო ჭილაიამ მზის სინათლეზე გამოიტანა მრავალი ამბავი თუ დოკუმენტი გიორგი წერეთლის მოღვაწეობიდან, რომლებიც მკითხველისათვის დღემდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი იყო და ამ მხრით მოგვცა სრული სურათი ამ მწერლის მოღვაწეობისა: ამ წიგნში ჩვენ დავინახეთ რაოდენ ფართო მასშტაბები ჰქონდა გიორგი წერეთლის მოღვაწეობას — არ დარჩენილა არც ერთი უბანი არა მარტო კულტურის ფრონტზე, არამედ მთლიანად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ სამეურნეო ცხოვრებაში, სადაც გიორგი წერეთელს უაღრესად აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს. ამ წიგნის ფურცლებიდან ჩვენს წინაშე დგება პროგრესულად მოაზროვნე მწერალი, უნივერსალურად განსწავლული ადამიანი; და რაოდენ მრავალფეროვანია მისი ასპარეზი — იგი არის პედაგოგი, ჟურნალისტი, მხატვრული სიტყვის ოსტატი—გამოჩენილი პროზაიკოსი, ფილოლოგი, თეატრალური მოღვაწე, ისტორიკოსი, ეკონომისტი არქეოლოგი, ფოლკლორისტი, ბუნებისმეტყველი, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განმტკიცებისათვის თავდადებული მოამაგე, და ყველგან ის გამოდის, როგორც იდეური მებრძოლიც და პრაქტიკული მოღვაწეც. მისი სიცოცხლის ყოველი დღე აღსავსეა ბრძოლით ქართველი ხალხის ნათელი მომავლისათვის, მისი ეკონომიური და კულტურული აღორძინებისათვის. თავისი დიდი ერუდიციით, ფილოსოფიური განათლებითა და ცხოვრების ღრმა ცოდნით გიორგი წერეთელი, უტოლდებოდა ილიასა და აკაკის, ღირსეულად ედგა მათ მხარში, მათთან ერთად ეწეოდა საქვეყნო ჭაპანს. მონოგრაფიის ავტორმა სრულად და ნათლად გვიჩვენა გიორგი წერეთლის ეს დიდი ღვაწლი და ამაგი სამშობლოს წინაშე.

მონოგრაფიაში ავტორმა ხაზგასმით გვიჩვენა ის მაღალი იდეალები, რომლებიც სტიმულს აძლევდნენ მწერლის მთელ მოღვაწეობას. ესაა სამშობლოს და ხალხის სიყვარული, ხალხთა მეგობრობის წმინდა გრძნობა. „ჩვენ, საქართველოს ხალხს და იმათს დაწინაურებულს კაცებს, — წერდა გიორგი წერეთელი, — დღეს ბაირაღზე ეს უნდა გვეწეროს: ერთმანეთის დახმარება, ერთმანეთის პატივისცემა, სამივე ერის (ლაპარაკია ამიერკავკასიაზე — ა. ს.) გულით ერთად ზრუნვა, ძმური კავშირი და საერთო ძალით იმ შინაური ცუდის გამოსწორება, რომელიც ასე აჩერებს ჩვენს კეთილმდგომარეობის გზაზე წინსვლას".

მონოგრაფიის მთავარი ნაწილი მიძღვნილია გიორგი წერეთლის მხატვრული შემოქმედების განხილვისადმი. მკვლევარი საფუძვლიანად არჩევს გ. წერეთლის რომანებსა და მოთხრობებს, განსაზღვრავს მათ ადგილს ქართული პროზის განვითარების ისტორიაში.

**ალ. სიგუა**



ქალთა IV საერთაშორისო ტურნირი ქ. სოხუმში.

სურათზე (მარცხნიდან): გ. ბუცხრიკიძე, ვ. ნედელკოვიჩი, ა. ჩაიკოვსკაია და ნ. გაფრინდაშვილი.

უველას გაგვეცინა და შევუდექით შექმნილი პოზიციის ანალიზს.

... მახსოვს ალა ჩაიკოვსკაიას პირველი ჩამოსვლა თბილისში, მოსწავლეთა ტურნირში სათამაშოდ. შემდგომ ზოგჯერ მას დედაც — კირა იალოვაია ჩამოუყვებოდა ხოლმე. იგი თავის დროზე ბათუმში კარგ მოჭადრაკედ ითვლებოდა, ქალაქის ჩემპიონიც უოფილა. სწორედ მან შეაუვარა ჭადრაკი ალას.

გავიდა წლები. გოგონამ საშუალო სკოლა დაამთავრა და გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის" სტამბაში ლინოტიპისტად დაიწყო მუშაობა. მაგრამ მას წამითაც არ დაუვიწყებია ჭადრაკი და ლექსების წერა, ბევრს მუშაობდა ჭადრაკის სიღრმეების ჩაწვდომისთვის. 1956 წლიდან ჩაიკოვსკაია წარმატებით თამაშობს საქართველოს ქალთა პირველობებში.

1958 წლის ზაფხულზე ალას საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალისთვის ვამზადებდი ბათუმში. სწორედ მაშინ გავიცანი ახლოს ეს ნიჭიერი ახალგაზრდა. პირველ უოვლისა, როგორც იტყვიან, თვალში გეცემოდათ მისი შრომისუნარიანობა და უაღრესად სალი აზროვნება, სტრატეგიული თამაშის თავისებური გაგება. სწორედ ამ დროს მივხვდი ალას თამაშის ძლიერ მხარეს — ის არ აკეთებდა უხეშ შეცდომებს, რაშიც სამწუხაროდ ხშირად სცოდავენ მოჭადრაკე ქალები. და აი ნახევარფინალიც, რომელშიც ალა ნონა გაფრინდაშვილთან ერთად თამაშობს. ჩაიკოვსკაია არ ჩამორჩა სახელოვან თბილისელ კოლეგას და პირველად გავიდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის ფინალში. ნათლობა დიდ ტურნირში არ უოფილა ცუდი. ალამ მაშინ დამაკმაყოფილებელი ადგილი დაიჭირა, თანაც პარტია მოუგო მსოფლიო ჩემპიონს — ბიკოვას.

გავიდა ხანი და ალამ ფეხი აუწყო დიდ მოჭადრაკეებს. იგი თითქმის უოველ წელს თამაშობს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში, გუნდურ პირველობებში. 1961 წელს, საქართველოს ქალთა მეორე საერთაშორისო ტურნირში წარმატებისათვის მას ჯერ სპორტის ოსტატის, შემდეგ საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა. მომდევნო წელს იგი პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი. 1964 წელს მან ეს ტიტული „პატარა ნანასთან" — ნანა ალექსანდრიასთან ერთად გაინაწილა.

ამ დროისათვის კი ალა უკვე თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა და პატარა ოჯახის დიასახლისიც.

ბოლო ოთხი წელია ჩაიკოვსკაია ვახტანგ ქარსელაძესთან მეცადინეობს და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევს. ახლაც თან ახლავს მას მზრუნველი მწვრთნელი და მეგობარი...

— კარგი, გეხუმრები ალა, — უუვავებს ვახტანგი, — ბოლომდე გვიჩვენე პარტია.

და გაღიმებული ოსტატი განაგრძობს პარტიის ჩვენებას.

33. g3 ed3 34. gf ef 35. მფf1 მფg7 36. კe1 h6 37. მფg2 მფf7 38. მფh3 ed1 39. კc3 eh1 40. c6.

— გეგმაში მაქვს ამ პაიკის შენარჩუნება და შავი მეფისთვის თეთრი პაიკების განლაგებაში შემოჭრის გზების გადაღობვა, — ამბობს ალა. — რასაკვირველია, შავებს მუდამ აქვთ უაიმი. მაგრამ ისინი ძალით მოგების შანსების შექმნას ცდილობენ.

40... eg1 41. კd5+ მფg6 42. კe4+ მფf7 43. მფh4 eg5 44. კb4 a5 45. კc3 მფe6 46. კd4 კd8 47. მფh3 მფd6 48. კc3 მფc5 49. კd2 კc7 50. კc3 მფc4 51. კf6 eg1 52. მფh4 eg2 53. h3 eg3 54. კe7 მფd4 55. კf6+ მფe3 56. კe7 მფe2.

—მართალია, შავმა მეფემ შეძლო შემოჭრა, მაგრამ 56.... e:f3 57. კ:f3 მფ:f3 58. მფh5 შემდეგ თეთრი კუ თავს სწირავს გამსვლელ პაიკში, მეფე კი h6-ზე პაიკის აყვანის შემდეგ a5 პაიკისკენ გაემართება, — გვიხსნის ალა. — მეფის შემოჭრამ ბიკოვას არაფერი მისცა.

57. კf3 მფe3 58. კ:h6 კd3+ 59. მფh5 e:h3+ 60. მფg6 eh1 61. კf8 eb1 62. კc5+ მფe2 63. მფf5 კc7 64. მფe6 ed1 65. კd5 e:d5.

— ბიკოვა ისევ გამარჯვებაზე ფიქრობს, მაშინ, როცა უაიმზე უნდა ეზრუნა, — გვეუბნება ალა. — ახლა მოგება არ არის ძნელი, ოღონდ ზუსტი თამაშია საჭირო.

66. მფ:d5 მფ:f3 67. კd6 კb6 68. a4 მფg4 69. კc5 კc7 70. მფe6 f3 71. მფd7 კf4 72. c7 კ:c7 73. მფ:c7 მფf5 (შავების სწრაფვაა მეფით მოხვდნენ a8 უჯრაზე, რაც უაიმს იძლევა. მაგრამ ამაოდ) 74. მფb6 მფe6 75. მფ:a5 მფd7 76. მფb6. მფc8 77. მფa7 მფc7 78. a5 მფc6 79. კf2 მფb5 80. a6 შავები დანებდნენ.

— ამ პარტიამ თითქოს რწმენა შემმატა და მომდევნო შეხვედრებისთვის კარგი სტიმული მომცა. — დაამთავრა ალამ პარტიის ჩვენება.

# ლაზიერი კუსა, პაიკსა და... კამფეტში

— არა, ძალთა ასეთი შეფარდება არც მსმენია, — სიცილით მეუბნება ვახტანგ ქარსელაძე, — ეს საარაკოა: კამფეტში, პაიკსა და კუში მისცე ლაზიერი და პარტია მოიგო!

— როგორ, კამფეტი რა შუაშია?

— ეს ალას ჰკითხე, — ამბობს ვახტანგი და ჩაიკოვსკაიაზე მანიშნებს თვალით.

უველა, ვინც ამ საუბარს ესწრებოდა, ალას შეაჩერდა. ის კი მორცხვად იღიმებოდა.

— პატივცემული ვახტანგი ხუმრობს, — თქვა მერე მან, — განა ვის მოუგია კამფეტით პარტია, ისიც ბიკოვასთან.

— შენ მოიგე, ჩემო ალა, — არ იშლის ვახტანგ ქარსელაძე, — არა, კამფეტში მაინც როგორ მიეცი ლაზიერი!

— კარგი, პარტიას გიჩვენებთ და ისე მოგითხრობთ, სინამდვილეში რაც მოხდა, — გადაწყვიტა ალამ და იქვე პატარა მაგიდაზე აი, ეს პოზიცია გააწყო:



— თეთრებით მე ვთამაშობ, შავებით ელისაბედ ივანეს ასული. როგორც ხედავთ, ჩემი პოზიცია უკეთესია, — გვიუვება იგი, — უკანასკნელი სვლით ბიკოვა დაეცა ლაზიერს. ის იუო ჩავფიქრდი, რომ მესმის: მიირთვით კამფეტი! ეს ბიკოვა მთავაზობდა. გამოვართვი, ვუთხარი „გმადლობთ" და უნებურად ლაზიერით ავიუვანე პაიკი b6 — 24. ლ:b6. ავიუვანე და მაშინვე მივხვდი შეცდომას! მაგრამ გარეგნულად არ გამომიმჟღავნებია რაიმე. ბიკოვა ჯერ პოზიციას დააცქერდა, შემდეგ შემომხედა და მერე დიდი ხნით მიეცა ფიქრს. „ეს რა ვქენი, როგორ მომივიდა! ჯანდაბა ამ კამფეტს!" — ვტუქსავდი საკუთარ თავს.

ერთი სიტყვით პარტია ასე გაგრძელდა:

24... კd8 (ლაზიერი გამომწყვდეული. გადავწყვიტე, რაც შეიძლება ძვირად დამეთმო იგი) 25. ლ:b7. ლ:b7 26. bc ლc7 27. cd მ:d6 28. c5 მ:e4 29. კ:e4 eb8 30. d6 e:b1 (ბიკოვა, როგორც ჩანს, შეაშინა ჩემმა პაიკებმა და გადაწყვიტა მხოლოდ ზედმეტი ხარისხით დარჩენილიყო. პოზიცია ხომ მაინც უკეთესი რჩებოდა) 31. bc e:g1+ 32. მფ:g1 კ:c7.

— ეს პოზიცია ჯერ არ არის წაგებული, — ამბობს ვახტანგ ქარსელაძე, — შეიძლება უაიმისთვის ბრძოლა.

— მეც ასე ვფიქრობდი, — დაუდასტურა ალამ მწვრთნელს.

— მგონი შენ ამ სვლაზე შეჭამე კამფეტი, — ისევ ხუმრობს ვახტანგი. — მან ძალა შეგმატა და პარტიაც მოიგე.

თენგიზ გიორგაძე

გარეკანის პირველ გვერდზე: რესპ. სახალხო არტისტი სპარტაკ ბაღაშვილი — ხევისბერი გოჩა (ფილმი „ხევისბერი გოჩა"). მეოთხე გვერდზე: ლვინის ქარხანაში. ჩანართის პირველ გვერდზე: კიდევ ერთი გასეირნება. ფოტოები ო. თურქიასი და ე. პესოვისა. მეოთხე გვერდზე: რუსთაველის პროსპექტი. ფოტო თ. არჩვაძისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/X-64 წ. გამოც. № 94, ქაღ. ზომა $70 \times 108^1/_8$. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 23.000. შეკვ. № 2577, უე 12035
Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



# კეთილი მეზობლები

ფოტო შ. კრიმსკაისა

დამწყები ფოტოგრაფი.

ქორბუდამ ყელი მოიღერა.



გემრიელი საუზმის შემდეგ.



— დილა მშვიდობისა, მეზობლებო!





ვარხვი.

ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა